პური ხალხის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია და არავის არა აქვს მისი გაძვირების საკითხის თვითნებურად გადაწყვეტის უფლება

პრეზიდენტი

„ჩემს არჩევანს“ რუმინელები მშობლიურ ენაზე წაიკითხავენ

ედუარდ შევარდნაძის წიგნი „ჩემი არჩევანი“ რუმინულ ენაზე ითარგმნა და უკვე მისაწვდომია რუმინელი მკითხველისათვის. ახალი გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარი საქართველოს პრეზიდენტს 23 ივლისს გადასცა საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კონსტანტინ გირბეამ.

„ჩემი არჩევანის“ რუმინული თარგმანი მაისის დამლევს წარედგინა მკითხველს. პრეზენტაცია ბუქარესტში, წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე გაიმართა და მასში პირადად რუმინეთის პრეზიდენტი იონ ილიესკუ მონაწილეობდა. სწორედ პრეზიდენტმა ილიესკუმ წარადგინა ფესტივალზე ედუარდ შევარდნაძის წიგნი და, როგორც კონსტანტინ გირბეამ განაცხადა, „მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ შეახსენა, თუ ვინ არის ედუარდ შევარდნაძე როგორც მთლიანად მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით, ისე რუმინეთისათვის“.

იხ. მე-2 გვ.

არჩევნების წინ

ნავსი გატყდა

კარგად არის ცნობილი, თუ როგორი გაურკვევლობა და აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა ქართულ პოლიტიკურ სპექტრში საქართველოდან ბეიკერის გამგზავრებისთანავე.

ამ დღეებში უქვორუმობით ჩაშლილი საპარლამენტო სხდომების პარალელურად, ინტერფრაქციული ჯგუფი გამალებული მუშაობდა. უნდა ითქვას, რომ მწვავე განცხადებების მიუხედავად, არც ერთ მხარეს ცესკოს დაკომპლექტების საკუთარი ვარიანტი გუშინდლამდე არ წარმოუდგენია.

ინტერფრაქციული ჯგუფი სამთავრობო ფრაქციისგან მოითხოვდა, რომ მას კონკრეტულად ეთქვა, თუ როგორი პრინციპით დააკომპლექტებდა მისთვის გამოყოფილ ხუთ ადგილს, ასევე, „მრეწველებისა“ და „აღორძინებისგან“ ითხოვდა მოსაზრებების ფორმულირებას.

იხ. მე-2 გვ.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №194 (4573) ხუთშაბათი, 24 ივლისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

ურჩები

დიდ კორუფციაში

ასეთი გულმავიწყობა არ „ჭრის“

საზოგადოებრიობა კარგადაა ინფორმირებული იმის შესახებ, რომ „კომუნისტური“ გეგმიანი ეკონომიკური ურთიერთობიდან „კაპიტალისტურ“ საბაზრო ურთიერთობაზე გარდამავალ პერიოდს საქართველოში, სამწუხაროდ, მრავალი ნეგატიური მომენტი ახლავს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ ისიც, რომ ასეთი მოვლენები მარტო ჩვენი „პრეროგატივა“ არ არის, ისინი სხვაგანაც იჩენენ თავს და არა მარტო გარდამავალ, არამედ უკვე ეკონომიკურად „დალაგებულ“ ქვეყნებშიც, მაგრამ ჩვენთვის ეს ვერაფერი შეღავათია.

იხ. მე-3 გვ.

რკინიგზა

„დიდი აბრეშუმის გზის“ პროგრამის განხორციელებაში საქართველოს რკინიგზას განსაკუთრებული მისია აკისრია. წლეულს 17 მილიონამდე ყველა სახის ტვირთის გადატანაა ნავარაუდევი. მაგრამ ამ სერიოზული განაცხადის შესრულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფრასტრუქტურის შესაბამის განვითარებაზე. ბოლო წლებში საქართველოს რკინიგზამ თავისი ძალებით და მატერიალური საშუალებებით დიდი სამუშაოები შეასრულა როგორც ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, ისე ახალ-ახალი ობიექტების აშენების თვალსაზრისით. ერთი სიტყვით, იგი ტრასეკას საიმედო პარტნიორია.

გადატანილია 7680500 ტონა ტვირთი

იხ. მე-2 გვ.



აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

«როცა საკითხი ხალხს ეხება, კომპრომისი დაუშვებელია»

ასეთი შეფასება მისცა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 23 ივლისს გამართულ მთავრობის სხდომაზე პურის ფასის გაძვირებასთან დაკავშირებით პარლამენტის წევრის ირაკლი გოგავას მიერ გაკეთებულ განცხადებას, მაგრამ ეს ფრაზა ეხებოდა აქ განხილულ ყველა იმ საკითხს, რომლებიც ქვეყნისა და ხალხის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო დროს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ფონის მიუხედავად, მთავრობის სხდომამ საქმიან და კონსტრუქციულ ვითარებაში ჩაიარა, რაც თავად სხდომის თავმჯდომარის პოლიტიკურმა ტაქტმა განაპირობა. სხდომის მონაწილეებმა იმსჯელეს არა ზოგადად ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე, არამედ კონკრეტულ საჭირბოროტო საკითხებზე და მათი გაანალიზების საფუძველზე რთული სიტუაციიდან თავის დაღწევის გზები დასახეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას დაეთმო. ფინანსთა მინისტრმა კონკრეტულად გააანალიზა თუ როგორ ასრულებენ ცალკეული სამინისტროები და უწყებები ქვეყანაში სავალუტო ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გათვალისწინებულ დავალებებს. ყველა ის დავალება, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს დაეკისრა, სადღეისოდ შესრულებულია. კერძოდ, შექმნილია საფუძველი საბაჟო და საგადასახადო სამსახურების საქმიანობის ძირეული გარდატეხისათვის, შესაბამისი ცვლილებებია შეტანილი საგადასახადო კოდექსში, შემუშავებულია საპენსიო და სახელფასო დავალიანებათა დაფარვის გეგმა-ღონისძიებები და სხვა. სავალუტო ფონდის რეკომენდაციებიდან განსაკუთრებით რთული შესასრულებელია ბიუჯეტის გასავლის ნაწილის კორექტირება, ამ საკითხის გადაწყვეტას უაღრესად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, რათა სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულებას რაიმე გართულება არ მოჰყვეს.

იხ. მე-2 გვ.

მილოცვა

ბატონ სევერიან ცაგარეიშვილს

ბატონო სევერიან,

საიუბილეო თარიღს გილოცავთ ცნობილ მეცნიერს, ქართული კულტურის, განათლების, ქართველი კაცის ნიჭის დაუღალავ მხარდამჭერს.

თქვენი ძალისხმევითა და პირადი მონაწილეობით მოსკოვსა და მთელ რუსეთში არაერთი მნიშვნელოვანი ქართული საქმე გაკეთებულა და კეთდება.

თქვენ ის გამორჩეული ადამიანი ბრძანდებით, რომელსაც გულთან ახლოს მიაქვს რუსეთში მცხოვრები თითოეული ქართველის პრობლემა და ჩვენს თანამემამულეებს გვერდში უდგახართ.

მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

პატივისცემით,

ედუარდ შევარდნაძე.

გიხაროდენ!

დავით პაპაშვილი გერმანიიდან

ამას წინათ ბერლინიდან პირველი შვილიშვილის შეძენა ამცნეს ჩვენს ახლობლებს – ნანული და კარლო პაპაშვილებს. მათ ვაჟს გიორგი პაპაშვილს და რძალს თამარ ბაზაზაშვილს ბიჭი შეეძინათ. გიორგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომელია და ამჟამად ბერლინში თავისუფლების უნივერსიტეტის ასპირანტურაში სწავლობს, თამარი გერმანისტია. ისინი ორი წლის წინათ ბერლინში შეხვდნენ ერთმანეთს, შარშან კი ოჯახი შექმნეს, წლეულს, 30 ივნისს მათ ოჯახს საპატიო წევრიც შეემატა. მშობლებმა მას დავითი დაარქვეს.

პირველ შვილს ვულოცავთ თამარს და გიორგის, ბედნიერებას და ულევ სიხარულს ვუსურვებთ. ნანულის და კარლოს კი – ბედნიერი ბებია-პაპობა დაბედებოდეთ.

ბელა დურგლიშვილი ოჯახით.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ინფორმაცია

საქართველოს დღეები სანკტ-პეტერბურგში

სანკტ-პეტერბურგში 23-28 ივლისს გაიმართება საქართველოს დღეები.

23 ივლისს რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ქართველ ავტორთა იმ ნაწარმოებების გამოფენა, რომლებიც გამოიცა სანკტ-პეტერბურგში ქალაქის დაარსების დღიდან. სანკტ-პეტერბურგის მხატვართა კავშირში კი გაიმართა ქართველ მხატვართა გამოფენა. 27 ივლისს საქართველოს კულტურის ცენტრის მშენებლობის ადგილზე დაიდება ქვა, აგრეთვე დელეგაციის წევრები ეწვევიან ქართული მრევლის მესტოკოვის ღვთისმშობლის ხატის ეკლესიას. 28 ივლისს ოფიციალური დელეგაცია ეწვევა ალექსანდრე ნეველის ლავრას და ყვავილებით შეამკობს ა. სობჩაკის, გ. ტოვსტონოგოვის, დ. ჩუბინიშვილის, ბაგრატიონის დინასტიის წარმომადგენლებისა და საქართველოს სხვა თვალსაჩინო მოღვაწეების საფლავებს. საქართველოს დღეები დამთავრდება დიდი სადღესასწაულო კონცერტით, რომელიც გაიმართება „ოქტიაბრსკის“ დიდ საკონცერტო დარბაზში.

მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში მომხმარებელთა ინტერესების დამცველის ახალი ინსტიტუტი შეიქმნება.

საქართველოს პარლამენტმა „ეროვნული მარეგულირებელი კომისიების შესახებ“ კანონში ცვლილებები და დამატებები შეიტანა, რომელთა მიხედვით, მომხმარებელთა უფლებების დამცველ პიროვნებას ომბუდსმენის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია შეარჩევს.

მომხმარებელთა უფლებების დამცველის ინსტიტუტი დამოუკიდებელი სტრუქტურა იქნება და კომისიის სხდომებზე მომხმარებელთა ინტერესებს წარადგენს.

დაღუპულთა გადმოსვენებას ორშაბათიდან დაიწყებენ

აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისია ბაბუშერას აეროპორტიდან ზოგიერთი ქართველი მეომრის ცხედრის თბილისში გადმოსვენებას ორშაბათისთვის ვარაუდობს. ამ მიზნით აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ დობორჯგინიძე ბაბუშერას აეროპორტთან მდებარე ქართველ მეომართა სასაფლაოდან 35 ცხედრის გადმოსასვენებლად აფხაზეთში დღეს გაემგზავრება. მასთან ერთად ამჯერად სოხუმში კომისიის 15-კაციანი ჯგუფი ჩავა, რომლის შემადგენლობაში კომისიის წევრების გარდა, ექსპერტი და მუშებიც იქნებიან.

გაიხსნება ორი ახალი საგუშაგო

ივლისის ბოლოს კიდევ ორი ახალი საგუშაგო გაიხსნება. ჩეჩნეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე, კერძოდ, „ჭეშისა“ და „მამისონის“ უღელტეხილზე საგუშაგოების გახსნისთანავე დამატებითი ძალები იქნება დისლოცირებული. ეს ღონისძიებები პროფილაქტიკის მიზნით ხორციელდება. საზღვარზე უნდა გამკაცრდეს კონტროლი, რათა აღიკვეთოს ქვეყანაში ჩეჩენთა შეიარაღებული ფორმირებების შესაძლო შემოსვლა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

წუხელ ალბანეთში

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის I საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრა – „ტირანა“ – თბილისის „დინამო“ 3:0 (პირველი მატჩი 0:3). პენალტებით 5:4 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ალოობა შირაქში

დედოფლისწყაროელთა ხვავი და ბარაქა

მიწა იფიტება და შველას ითხოვს, – ამბობს რაიონის გამგებელი ვაჟა ძადაგიძე

თვალს გტაცებს და გატყვევებს საქართველოს ამ კუთხის სილამაზე, მხარდამხარ გადაბმული და ატეხილი ჭალები, ოქროსფრად მოლივლივე მინდვრები. ხომ წარმოუდგენელია ისეთი კუთხე, სადაც თუნდაც მთის ერთ მწვერვალს ვერ მოჰკრა თვალი, აქ კი მისი ნასახიც არსად ჩანს. თითქოს კაბადონი უშუალოდ ტრიალ მინდვრებს ებჯინება. არც ხის მსგავსი რამ არის ახლოს, ყველგან ვაკე და ვაკე. ამ ერთფეროვნებას მარტო ყანის შრიალი თუ არღვევს...

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს

ირანის ხელისუფლებამ გუშინ განაცხადა, რომ ქვეყანაში დააკავეს „ალ-ყაიდას“ ტერორისტული ჯგუფის წევრები. დაკავებულთა ვინაობას ირანის ხელისუფლება ჯერ არ ასახელებს და არც „ალ-ყაიდაში“ მეორე კაცის – არმან აზ-ზავახირის დაპატიმრების ინფორმაციას ადასტურებს.

ერაყში ამერიკის ჯარების ცენტრალური სარდლობა გეგმავს სადამ ჰუსეინის დაღუპული შვილების უდეისა და კუსაის ცხედრების ფოტოს გამოქვეყნებას, მაგრამ ჯერ უცნობია, როდის მოხდება ეს. პენტაგონელი ანონიმი ავტორი ამტკიცებს, რომ მათი სახეები ძალიან არის დამახინჯებული, თუმც გამოცნობა შესაძლებელია.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში ქარი 8-13 მ/წმ.
დაბლობში ღამით +19^0, დღისით +24^0, მთაში ღამით +14^0, დღისით +24^0, მაღალ მთაში ღამით +14^0, დღისით +22^0.

აღმოსავლეთ საქართველოში ქარი 8-13 მ/წმ.
ბარში ღამით +19^0, დღისით +24^0, მთაში ღამით +15^0, დღისით +21^0. მაღალ მთაში ღამით +8^0, დღისით +14^0.

თბილისში ქარი 8-13 მ/წმ.
ღამით +19^0, დღისით +24^0.

ლარის კურსი

23 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.4285	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1400	ლარი
ევრო	1	2.4268	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0706	ლარი.

ინტერპანორამა

სადამ ჰუსეინის ვაჟების უდეისა და კუსაის გარდაცვალების შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე ერაყის დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ატყდა ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების სროლა. ამგვარად აღნიშნავდნენ ბაღდადელები თავიანთ სიხარულს მომხდარის გამო.



ერაყელი ინფორმატორი, რომელმაც ამერიკელებს აჩვენა ადგილი, სადაც სადამ ჰუსეინის შვილები უდეი და კუსაი იმალებოდნენ, 30 მილიონ დოლარს მიიღებს. მას ახლა აშშ იცავს. ზოგიერთი მონაცემებით ეს არის ქურთების ლიდერი ჯალიალ თალაბანი.

ამერიკელმა სამხედროებმა ერაყში შეიპყრეს სადამ ჰუსეინის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირე ბარზან აბდულ გაფურ სულეიმან მაჯიდ ატ-ტიკრიტი, რომელიც ერაყის სპეციალურ რესპუბლიკურ გვარდიას სარდლობდა.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– დამელუპა მეუღლე, სამამულო ომის ვეტერანი, სერჟანტი, რომელსაც პენსია თვეში 45 ლარის ოდენობით ეძლეოდა. მეკუთვნის თუ არა გარდაცვლილი მეუღლის პენსიის დანიშვნა?

ლამარა ინწკირველი.

– საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, ომის ვეტერანის პენსია ენიშნებათ უშუალოდ ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს.

მათი გარდაცვალების შემთხვევაში მეუღლე პენსიას იმავე ოდენობით, რაც ვეტერანს ეძლეოდა, ვერ მიიღებს.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 194, ხუთშაბათი, 24 ივლისი, 2003 წელი

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

«როცა საკითხი ხალხს ეხება, კომპრომისი დაუშვებელია»

პირველი გვერდიდან

ამ გლობალური საკითხის განხილვაში მონაწილეობდა მთავრობის თითქმის ყველა წევრი, მათ შორის სახელმწიფო მინისტრიც. განსაკუთრებული ყურადღება მაინც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას გამოსვლას მიეპყრო, რომლის უწყებასაც სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი ეხება. ამ რეკომენდაციებში ფონდის მოთხოვნა გამახვილებულია დახარჯული ელექტროენერგიის თანხების ამოღების პროცენტული მაჩვენებლების უცილობელ გაზრდაზე, ტარიფის რეალურ დანახარჯებთან შესაბამისობაში მოყვანასა და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ურჩი გადამხდელების მიმართ მკაცრი სანქციების დაწესებაზე. ყოველივე ამის შესრულების შესაბამისად გაიზრდება შეღავათიანი კრედიტები და სხვა დახმარება ქვეყნის ენერგეტიკისათვის, რაც უზრუნველყოფს ზამთრის პირობებში მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგებას.

ენერგეტიკაში შექმნილ მდგომარეობას შეეხო თავის გამოსვლაში საქართველოს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, მან აღნიშნა, რომ ამ დარგის სხვადასხვა სამსახურში დაშვებულია სერიოზული დარღვევები, რომელთა მიმართაც აღძრულია კიდეც სისხლის სამართლის საქმე. გენერალურმა პროკურორმა ამ კუთხით გამოკვეთა სემეკის მიერ სამომხმარებლო ტარიფის თვითნებურად და უკანონოდ გაზრდის და იაფფასიანი ელექტროენერგიის ხელოვნურად გაძვირების ფაქტები. როგორც მან აღნიშნა, თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა „თბილგაზში“. გენერალური პროკურორი შეეხო ცალკეული ელექტროსადგურების პრივატიზების დროს დაშვებულ დარღვევებს.

საქართველოს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია სავალუტო ფონდის რეკომენდაციებთან მიმართებაში განეხილათ სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის ინფორმაცია 2003 წლის შვიდი თვის (მათ შორის ივლისის თვის) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, შეეხო რა წარმოდგენილ ინფორმაციებს, აღნიშნა, რომ ის, რაც მოვისმინეთ, უკვე გვიქმნის ნათელ სურათს პასუხი გაეცეს ყველა იმ კითხვას, თუ რატომ დაგვჭირდა მიგვეღო სახელმწიფო ბიუჯეტის სეკვესტრის გადაწყვეტილება. ჩვენ არ დავუშვებთ დაძაბულობის შექმნას და კიდეც ვცდილობთ ამისათვის გამოვიყენოთ ყველა რეზერვი და საშუალება. საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებული მოთხოვნები წაუყენა საბაჟო და საგადასახადო სამსახურებს. პრინციპულად დასვა საკითხი მიზნობრივი საგადასახადო კოდექსის ჩამოყალიბების, ქვეყნისათვის სასიცოცხლო კანონების შესამუშავებლად პარლამენტთან თანამშრომლობის გააქტიურების აუცილებლობაზე. ედუარდ შევარდნაძემ ბიუჯეტის შესრულების საქმეში მკაცრად განსაზღვრა, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის როლი და პასუხისმგებლობა. საქართველოს პრეზიდენტმა ამ მიმართებით განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ეკონომიკის სამინისტროს მოვალეობასა და პასუხისმგებლობაზე. აქვე გააანალიზა რა დღეისათვის ენერგეტიკაში შექმნილი პრობლემები, საქართველოს პრეზიდენტმა მკაცრად აღნიშნა, რომ არავის არ აქვს უფლება თვითნებურად ჩაერიოს ამ სამსახურების საქმიანობაში. ყველა, ვინც არ უნდა იყოს იგი, ვალდებულია გადაიხადოს დახარჯული ელექტროენერგიის საფასური.



საქართველოს პრეზიდენტი შეეხო „ეი-ი-ეს თელასში“ მიმდინარე პროცესებს და აღნიშნა, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს მის შესანარჩუნებლად, და თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ საკითხი დროულად, ქვეყნის სასარგებლო შედეგების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. საქართველოს პრეზიდენტმა წინადადება მისცა გენერალურ პროკურორს — მოამზადოს საკითხი ენერგეტიკაში გამოვლენილი დარღვევების მთავრობის სხდომაზე განსახილველად.

შეეხო რა სიღარიბის დაძლევის პროგრამას, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი სახით შექმნილია ქვეყნისათვის ცენტრალური და საარსებო მნიშვნელობის დოკუმენტი. ახლა უმთავრესია, უახლოეს მომავალში მოხდეს კონკრეტული გარდატეხა მოსახლეობის ცხოვრებაში.

მთავრობის სხდომაზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ წარადგინა კანონპროექტი „ნარჩენების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ შესაბამის კანონებში ცვლილებებსა და დამატებებს. როგორც მინისტრმა აღნიშნა, კანონპროექტში გასათვალისწინებელი ყველა ცვლილება გამომდინარეობს საერთაშორისო კანონმდებლობიდან და შედგენილია საზღვარგარეთელი ექსპერტების უშუალო დახმარებითა და რეკომენდაციებით. აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ იგი როგორც დღევანდელ, ისე მომავალი თაობისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხია. სწორედ ამ კანონის შესრულება შეგვიქმნის მყარ საფუძველს, შევინარჩუნოთ საქართველოს უნიკალური ბუნება. მთავრობის სხდომაზე მოისმინეს ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვაჟა შუბლაძის ინფორმაცია „ბაზალეთის ტბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობის მიმდინარეობის თაობაზე“.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს კომპლექსი უნიკალურია და მას შეუძლია დუშეთის რაიონის ინფრასტრუქტურის მთლიანად გარდაქმნა. ეს ეხება როგორც მოსახლეობის დასაქმებას, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების მოზიდვას. ამდენად, მას ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი.

მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი „2003-2005 წლებში მაღალმთიანი რაიონების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“ წარადგინა რეგიონალური სამსახურის უფროსმა ირაკლი ბოჭორიძემ. ასევე მოისმინეს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მეძმარიაშვილის ინფორმაცია ზაფხულის 28-ე ოლიმპიური თამაშებისათვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების მიმდინარეობის თაობაზე.

ინფორმაცია 2002 წელს საქართველოს მოსახლეობის აღწერის ძირითადი შედეგების შესახებ წარმოადგინა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თემურ ბერიძემ.

პურის ფასების მომატებასთან დაკავშირებით მთავრობის სხდომაზე გამოსულმა პარლამენტის წევრმა ირაკლი გოგავამ აღნიშნა, რომ ეს პრობლემა წარმოქმნილია ხელოვნურად, ხალხის ასამხედრებლად და მას ხელს უწყობს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო. პურის გაძვირებას ადასტურებს ანტიმონოპოლიური სამსახური, სახსტანდარტი, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ხოლო თავად სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი უარყოფს ფაქტს და ცდილობს ყოველივე ამას დაუსაბუთებელი გამართლება მოუძებნოს.

მოისმინა რა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის ახსნა-განმარტება ამის თაობაზე, საქართველოს პრეზიდენტმა დაავალა კონტროლის პალატის თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს, ერთი კვირის ვადაში დამატებით შეისწავლოს ეს საკითხი და წარმოადგინოს დასკვნა. დადასტურების შემთხვევაში, ფაქტს მიეცემა უმკაცრესი შეფასება, რადგან პური ხალხის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია და არავის არა აქვს უფლება, თვითნებურად გადაწყვიტოს მისი გაძვირების საკითხი.

პეტერბურგის 300 წლისთავთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეების შესახებ სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა პარლამენტის წევრი ვახტანგ რჩეულიშვილი.

საქინფორმი.

პრეზიდენტი

„ჩემს არჩევანს“ რუმინელები მშობლიურ ენაზე წაიკითხავენ

პირველი გვერდიდან

ელჩმა საქართველოს პრეზიდენტს ინფორმაცია მიაწოდა იმის შესახებ, რომ რუმინეთში სულ უფრო იზრდება დაინტერესება საქართველოსთან ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებით. ელჩის შეფასებით, ამ თვალსაზრისით ორ ქვეყანას საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. იმის გათვალისწინებით კი, რომ წარმატებით ფუნქციონირებს საბორნე გადასასვლელი, დამატებითი საუკეთესო პირობები იქმნება ამ ურთიერთობის განვითარებისათვის.

კონსტანტინ გირბეამ რუმინეთის მთავრობის სახელით ერთხელ კიდევ დაუდასტურა საქართველოს პრეზიდენტს, რომ მისი ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას და მზად არის ეს პოზიცია დაიცვას ყოველთვის ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

ნიკოლოზ ცირამუას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ომის ვეტერანთა მოძრაობის განვითარებასა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ჩხოროწყუს რაიონის ომის ვეტერანთა საბჭოს წევრი **ნიკოლოზ ცირამუა** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

დოკუმენტი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 22 ივლისი ქ. თბილისი

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის 2003 წლის გამოშვებისათვის გიორგი V ბრწყინვალეს სახელის მინიჭების შესახებ

ეროვნული არმიის მშენებლობისა და მისი ახალი პრინციპების ჩამოყალიბების პროცესში ქართული მხედრული ტრადიციების აღორძინებისა და პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების მიზნით დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის 2003 წლის გამოშვებას მიენიჭოს სახელოვანი ქართველი მეფისა და მხედართმთავრის გიორგი V ბრწყინვალეს სახელი.

ედუარდ შევარდნაძე.

ვიზიტი

პარლამენტებს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად

გრძელდება რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი საქართველოში.

23 ივლისს დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ რჩეულიშვილს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარეს ვახტანგ ყოლბაიას, ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრებს. შეხვედრებზე, რომლებიც დახურულ კარს მიღმა გაიმართა, ყურადღება ძირითადად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე გაამახვილეს.

როგორც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაციის ხელმძღვანელმა, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ ლუკინმა განაცხადა, შეთანხმდნენ, რომ პარლამენტებს შორის თანამშრომლობა უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს, რადგან ეს ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოწესრიგებას.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაციის სამუშაო ვიზიტი საქართველოში 24 ივლისს დამთავრდება. ამ დღეს დელეგაცია შეხვდება საქართველოში არსებულ რუსულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

საქინფორმი.

შესრულდება სავალუტო ფონდის რეკომენდაციები?

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების არც ერთი პუნქტი შესრულებული არ არის, თუმცა ყველაფერი კეთდება ამისთვის, — განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში თემურ ბასილიამ.

მას იმედი აქვს, რომ 15 აგვისტომდე, მთავრობის ერთიანი ძალისხმევით, რეკომენდაციების შესრულება აუცილებლად მოხერხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, 10 ოქტომბერს ვაშინგტონში დაგეგმილი სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭო საქართველოსთვის არცთუ სახარბიელო გადაწყვეტილებას მიიღებს, — აღნიშნა ბასილიამ.

თუ გადაცემის პროცესი გამჭვირვალე იქნება...

ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის შემსწავლელი საგამოძიებო საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი საქართველოს მთავრობას ურჩევს, „ეი-ი-ეს“-ს სასამართლოში უჩივლოს. მთავრობამ ეს იმ შემთხვევაში უნდა გააკეთოს, თუ „ეი-ი-ესი“ თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანიის აქციათა 75 პროცენტს ქართული მხარისთვის მიუღებელი პირობებით მიჰყიდის რუსულ კომპანია „რაოესს“, — განუცხადა „ინტერ-პრესს“ ჩუბინიშვილმა.

მისი აზრით, „ეი-ი-ესი“ სახელმწიფოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებას არღვევს, როცა „რაოესთან“ მოლაპარაკებას ფარულად აწარმოებს. პარლამენტარი „რაოესის“ საქართველოში შემოსვლის წინააღმდეგი არ იქნება, თუ „თელასის“ აქციათა 75 პროცენტის მისთვის გადაცემის პროცესი გამჭვირვალედ განხორციელდება.

„რაოესსა“ და „ეი-ი-ეს“ შორის ფარული გარიგება ქართველ ჩინოვნიკებს აძლევთ ხელს, რადგან ამით მათაც შეუძლიათ იხეირონ. მაგრამ თუ „რაოესის“ ხელმძღვანელები გარკვევით იტყვიან, რატომ მოდიან საქართველოში, რა უნდათ და რა გეგმები აქვთ, წინააღმდეგი ვერ ვიქნები. ამ შემთხვევაში, მათი პირობების განხილვა უკვე საზოგადოებას შეეძლება“, — განაცხადა ჩუბინიშვილმა.

ავარია „ქართლი-2-ზე“

გუშინ, 13 საათზე ავარიულად გამოირთო 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი „ქართლი-2“, რის გამოც აღმოსავლეთ საქართველოს ენერგომომარაგება შეუწყდა. გაითიშა თბილისის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, მათ შორის ტელეანძა, „მეტროპოლიტენი“ და საავადმყოფოები.

საქართველოს ელექტროსისტემის ავარიული მდგომარეობიდან გამოყვანა რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის დახმარებით მოხერხდა. რუსეთთან პარალელურ რეჟიმში მუშაობამ გაამართლა და სისტემის სქემის აღსადგენად საჭირო ძაბვა ქართულმა ელექტროსისტემამ რუსეთიდან მიიღო.

მოგვიანებით „ენგურჰესის“ ერთი აგრეგატი ჩაირთო და ელექტროენერგია სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს მიეწოდა. შემდეგ სხვა ჰესების აგრეგატებიც ჩაირთო და სისტემამ ჩვეულ რეჟიმში დაიწყო მუშაობა.

საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს

„სახელმწიფო ელექტროსისტემის“ და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ანგარიშებს გუშინ ყადაღა დაადეს. ენერგოსისტემის ორი ორგანიზაციის ერთდროული დაყადაღება სხვადასხვა მიზეზებს უკავშირდება.

ბაზრის სატრანსფერო ანგარიშს ყადაღა საგადასახადო ინსპექციამ დაადო. ამის მიზეზი „თბოელექტროცენტრალის“ (თეცი) მიმართ ბაზრის მილიონიანი დავალიანება გახდა.

ირლანდიელების მმართველობაში მყოფი „სახელმწიფო ელექტროსისტემა“ კი ერთ-ერთმა კომერციულმა ბანკმა დაყადაღა. კომპანიაში ბანკს და ყადაღის მიზეზს არ ასახელებენ, თუმცა, სავარაუდოდ, ყადაღა ელექტროსისტემის მიერ ელექტროენერგიის შესაძენად აღებულ კრედიტს უკავშირდება.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

არჩევნების წინ

ნავსი გატყდა

პირველი გვერდიდან

საპასუხოდ, სამთავრობო ფრაქციები განმარტავდნენ, რომ ბოლომდე მხარს დაუჭერენ ბეიკერის პრინციპებს და მის ჩარჩოში ოპოზიციის ერთსულოვნებას მიესალმებიან, 5-კაციან სიას კი მხოლოდ ოპოზიციის შეთანხმების შემდეგ წარმოადგენდნენ. ამასთან, აცხადებდნენ, თუ ცალკე მდგარი ოპოზიციური პარტიები ისეთ ვარიანტს წარმოადგენენ, რომელიც ბეიკერის გეგმას არ შეეწინააღმდეგებოდა, შესაძლოა, მხარი მასაც დავუჭიროთო.

გუშინ ოპოზიციის ბოლო კონსულტაცია გაიმართა, დაინიშნა ცესკოს დაკომპლექტების წესზე კენჭისყრის დრო — 5 საათი. პოზიციაც და ოპოზიციაც ირწმუნებოდა, სხდომაზე მაქსიმალური მობილიზაციით გამოვცხადდებითო, რაც კიდეც შეასრულეს, თუმცა საარჩევნო კოდექსზე საუბარი დანიშნულ დროზე ორი საათის დაგვიანებით დაიწყო, მანამდე კენჭი ცალკეულ კანონპროექტებს ეყარა.

საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ვახტანგ ხმალაძის განცხადებამ, რომ პირველი მოსმენით კენჭისყრაზე ცესკოს ფორმირების წესის გარდა, ყველა წარმოდგენილი ცვლილება დასმულიყო, ცესკოს ფორმირების წესი კი მეორე მოსმენით განეხილათ. ინტერფრაქციული ჯგუფის ამ წინადადებამ განსაკუთრებით „გაერთიანებული დემოკრატები“ გააღიზიანა. საქმე ის გახლავთ, რომ „მრეწველებმა“ წარმოადგინეს თავიანთი ვარიანტი, რითაც ცესკოს თითო წევრი ინიშნება 2002 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში რვა საუკეთესო შედეგის მქონე ოპოზიციური პარტიის მიერ, რომლებმაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას თავიანთი წარდგინებით ყველაზე მეტი სადეპუტატო მანდატი მოიპოვეს. ამ ვარიანტის მიხედვით, როგორც იცით, „გაერთიანებული დემოკრატები“ ცესკოში ვერ ხვდებიან.

ბუნებრივია, ოპოზიციიდან ორი ან მეტი ვარიანტი რომ შემოსულიყო, უმრავლესობის წევრებს არჩევანის უფლება ექნებოდათ და იმ პროექტს დაუჭერდნენ მხარს, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევდნენ. ეს კი ზოგიერთებს ხელს არ აძლევს.

ასეა თუ ისე, ყინული დაიძრა. დეპუტატებმა, როგორც იქნა, საარჩევნო კოდექსზე სასაუბროდ მოიცალეს და სესიაზე არნახული ქვორუმით გამოცხადდნენ.

ცხარე დებატების მიუხედავად, პარლამენტმა ღამის 0 საათსა და 45 წუთზე, პირველი მოსმენით, ჯეიმს ბეიკერის ვარიანტი მიიღო და გაწამაწიას წერტილი დაუსვა.

მზია გელენავა.

დედაქალაქი

მონობლოკებიდან გაზის გაყიდვა აიკრძალება

თბილისის ვიცე-პრემიერი გიორგი კარბელაშვილი და მერიის ენერგეტიკის სამსახური დედაქალაქში თხევადი გაზის მონობლოკებიდან ვაჭრობის აკრძალვას იწყებენ და ამ ბიზნესით დაკავებულ პირებს ერთი კვირის ვადას აძლევენ.

თუ ისინი ამ დროის მანძილზე საკუთარი ნებით არ შეწყვეტენ აღნიშნულ საქმიანობას, მათ მიმართ მკაცრი ზომები გატარდება — საქალაქო სამსახურები ყველა უნებართვო მოვაჭრეს მანქანებს ჩამოართმევენ და დააჯარიმებენ.

— არ შეიძლება თხევადი გაზის მონობლოკებიდან ვაჭრობა სკოლებისა და ბაღების მიმდებარე ტერიტორიებზე, რადგან ნებისმიერ ავარიას შესაძლოა სავალალო შედეგები მოჰყვეს, — აღნიშნა კარბელაშვილმა.

როგორც „თბილგაზის“ ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციაში აცხადებენ, თბილისში დღეისთვის უკანონოდ 110 თხევადი გაზის მონობლოკიდან მიმდინარეობს გაზის რეალიზაცია, რაც დაუშვებელია.

ინტერ-პრესი.

რკინიგზა

გადატანილია 7680500 ტონა ტვირთი

პირველი გვერდიდან

დროის მოთხოვნათა მიხედვით რკინიგზაში მიმდინარე ამ პროცესებს უეჭველად უნდა პასუხობდეს იმ საწარმოთა საქმიანობაც, ვისთან ურთიერთობაც ამ უწყებას უხდება. მათ შორის არის ბათუმისა და ფოთის პორტები. წლეულს მათი გამტარუნარიანობა 5 მილიონი ტონით გაიზარდა. **ეს თითქოს არც ისე ცოტაა, მაგრამ მაინც აშკარად არასაკმარისია: როგორც საქართველოს რკინიგზის გადაზიდვების სამსახურის უფროსმა ილია ტაბიძემ გვაცნობა, ათი დღეა, ბათუმში გაჩერებულია და ვერ იცლება 700 ვაგონი ნავთობი. მიზეზი „უბრალოა“ — ტერმინალი გადატვირთულია, ან ტანკერები დროზე ვერ შემოდის.**

მიუხედავად ასეთი არცთუ იშვიათი შეფერხებებისა, **საქართველოს რკინიგზამ წლეულს უკვე მოახერხა 7680500 ტონა ტვირთის გადაზიდვა. ეს მთელი 636600 ტონით მეტია, ვიდრე შარშან იყო. ივლისის ანგარიშზე 1000474 ტონა მოდის.**

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გარდა ამჟამად რკინიგზა დაკავებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისათვის განკუთვნილი მრავალტონიანი მილების გადაზიდვით. **ბათუმიდან უკვე გამოტანილია 2088 ვაგონი, ფოთიდან — 3101. საერთო ანგარიშში ეს არის 35248 მილი. ბათუმიდან ბაქოში გაიგზავნა 10440 მილი, ხოლო ფოთიდან რუსთავსა და მარნეულში — 24248 მილი. ამჟამად მილები შეაქვთ წალკაში. 5 აგვისტოს ბათუმში შემოვა ამ ტვირთიანი გემი. ეს ტვირთი ახალციხისკენ აიღებს გეზს.**

საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძის განკარგულებით ხორციელდება დამატებითი ღონისძიებები, რათა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისათვის განკუთვნილი ტვირთი დანიშნულების ადგილზე შეუფერხებლად მივიდეს. მთელ რიგ სარკინიგზო მონაკვეთებზე, ისე, რომ მოძრაობა არ შეფერხდეს, აგებენ ახალ ლიანდაგს, ცვლიან მოძველებულ განძელებს, აახლებენ ხიდ-ბოგირებს, ასწორებენ მცირერადიუსიან მრუდებს, რაც უსაფრთხოების მეტ გარანტიებს ქმნის.

რკინიგზის საიმედოობისა და გამტარუნარიანობის შემდგომი გადიდებისათვის ხორციელდება სხვა ღონისძიებებიც. გათვალისწინებულია საზღვაო ტერმინალების შემდგომი გაფართოებაც: ბათუმსა და ფოთში უახლოეს ხანში მათი მოცულობა კიდევ 4 მილიონი ტონით გაიზრდება.

— ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ რკინიგზამ ქვეყნის წინაშე კვლავაც პირნათლად მოიხადოს ვალი — წლეულს, სულ ცოტა, 17 მილიონი ტონა ტვირთი გადავიტანოთ, — ამბობს ილია ტაბიძე.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რკინიგზის შემოსავალი წლეულს 250 მილიონ ლარს მიაღწევს, ბიუჯეტში შენატანი კი 60 მილიონს (შეადარეთ: 1995 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 8,3 მილიონს უდრიდა).

ელგუჯა ლებანიძე.

საქმიანი ოპტიმისტები

ჰოთდოგი — ქოლგის ქვეშ

რას არ უნდა უკმაყოფილონი ვიყოთ ცხოვრებით, განვლილ ბოლო ათ წელიწადს თუ გადავავლებთ თვალს, აღმოვაჩენთ, რომ ბევრი რამ კარგიც გაკეთდა. რაც მთავარია, ექსტრემალურ სიტუაციაში გაძლება და ყოფის სწრაფი ცვალებადობის შეგუება ვისწავლეთ.

არავის დაავიწყდება, დანგრეული ეკონომიკა და ცარიელი მაღაზიები როგორ შეიცვალა ქუჩებში და ბაზრებთან აღმოცენებული უსახური ჯიხურებით. შესაძლებელია, თავის დროზე ეს აუცილებელი იყო დამშეული ხალხის გამოსაკვებად, მაგრამ საშინლად ამახინჯებდა გარემოს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, დამთრგუნველად რომ მოქმედებდა...

რამდენიმე ხანში ჯიხურები აიღეს. ბევრი ქუჩა და ბაზრის გარეთა ტერიტორია მოსუფთავდა და მაღაზიებიც გაიხსნა; თუმცა ეს ტრაგედია აღმოჩნდა ამ ჯიხურების მფლობელებისა თუ იქ მომუშავე ადამიანებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი 50 დოლარ ქირასაც კი იხდიდნენ (პლუს ენერგიის გადასახადი). სულ მოკლე ხანში დაუნდობელმა ყოფამ ეს ხალხი აიძულა სწრაფად მოეძებნა ლუკმა-პურის შოვნის ახალი გზა.

ერთ ჩემს ნაცნობს მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზება დასჭირდა, რათა საარსებო წყარო გამოენახა... ჯერ კატლეტებისა და კარტოფილის პიურეს კეთება დაიწყო და ქუჩა-ქუჩა ბენზინგასამართ სადგურებში დაატარებდა, მერე ეს პროდუქტი ბუტერბროდით შეცვალა. რომ იტყვიან, მთელ დღეს „ძაღლივით დაწანწალებდა“ და საღამოს ფეხები ისე სტკიოდა, ტელევიზორის ცქერის თავიც აღარ ჰქონდა.

თავს კი ირჩენდა, მაგრამ დაღლილ-დაქანცულს ოცნებად ჰქონდა სადმე, ერთ ადგილზე გაჩერებისა და ვაჭრობის უფლება მოეპოვებინა, მუხლი ზოგჯერ მაინც რომ მოეხარა. და აი, იდეა გამოჩნდა. ბაზრობაზე ნანახი სავაჭრო ურიკის მიხედვით მან ააწყო საკუთარი ურიკა, შეღება, პატარა გაზქურაც ითხოვა ნაცნობისგან, ლიცენზიაც აიღო და რამდენიმე ხანში ქოლგის ქვეშ დაიწყო ჰოთდოგის გაყიდვა. პირველივე დღეს 120 ცალი გაყიდა (თითო 60 თეთრად). ერთი ჰოთდოგი დაახლოებით 40 თეთრის საფასურს შეიცავდა (მეტნაკლებად, ვალუტის კურსის მიხედვით) და 20 თეთრის მოგებას იძლეოდა. მართალია, ამ მოგებით ვაჭრობა დიდხანს არ გაგრძელებულა და მალე თბილისი ჰოთდოგის ურიკებმა აავსო, მაგრამ ჩემი ნაცნობი ბედის მაინც კმაყოფილია — ამ ვაჭრობით დღეში 10 ლარი მაინც რჩება. ეს კი თვეში 300 ლარია და ამ თანხით ერთი პატარა ოჯახის არსებობა გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეიძლება.

ნიკო გორგიჯანიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალოობა შირაქში

დედოფლისწყაროელთა ხვავი და ბარაქა

მიწა იფიტება და შველას ითხოვს, — ამბობს რაიონის გამგებელი ვაჟა ქადაგიძე

ცის დასალიერში თითქოს ცისარტყელამ გამოანათა, ალბათ, ალაზნის ველიდან თუ ამოირკალა და შირაქის ბარაქიან მინდვრებს გადაევლო, და ტარიბანასაც გადასწვდა. გამიგონია, თუ ცისარტყელას შვიდფერში ღვინისფერი სჭარბობს, ვენახს კარგი პირი ექნება, ხორბლისფერი როცა გადაჭარბავს, ხორბალი იქნება უხვი. ვნახოთ, დღეს კი ცხელა, მაგრამ ეს ორი დღეა, დამღამობით წვიმს, ნათესებს ნესტი რომ არ შეეპაროთ, მემინდვრეები იცდიან, როცა მზე სხივებს დაუნანებლად მოაფრქვევს თავთუხებს, დიდი შირაქის ფართო ყანებში ალოობა მთელი ძალით გაჩაღდება...

დედოფლისწყაროს რაიონს საქართველოში პურის ბეღელს უწოდებდნენ ოდითგან, რადგან ყველაზე უხვად პურეულს სწორედ აქ მოიწევდნენ ხოლმე.

ცნობისთვის: 1980 წლისათვის რაიონში მარცვლეულის წარმოებამ 60.000 ტონას მიაღწია.

წლეულს საშემოდგომო კულტურები სულ 24.000 ჰექტარზე დაითესა. მათ შორის ხორბალი – 20.000 ჰექტარზე, ქერი – 4.000 ჰექტარზე. უკვე აღებულია ხორბალი – 2.000 ჰექტარი, გალეწილია 4.409 ტონა, ჰექტარზე საშუალოდ 2,2 ტონა (22 ცენტნერი), ქერი აღებულია 6.840 ტონა.

აქაურ კაცს საზრუნავს და გასაკეთებელს რა დაულევს. განსაკუთრებით ალოობის დროს იჩენს ხოლმე თავს უამრავი სატკივარი, ამიტომ **რაიონის გამგებელი ვაჟა ქადაგიძე** უწინარესად სწორედ ალოობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მესაუბრება:

– დღეს მიწასაც უჭირს და მხვნელ-მთესველსაც, – ამბობს იგი, – სამწუხაროდ, ვერ ხერხდება აგროვადებისა და თესლბრუნვის სრულად დაცვა, მოშლილია სარწყავი სისტემები, ამიტომ მიწის მეპატრონე თითქმის მოკლებულია იმის საშუალებას, რომ მიწა დაამუშაოს, მიიღოს სარჩო-საბადებელი და გადასახადიც გადაიხადოს.

მიუხედავად იმისა, რომ ხორბლის მოსავლის აღების ტემპი დღითი დღე იზრდება, სავარაუდოდ, მოსავლიანობა დაბალი იქნება და ჰექტარზე, ალბათ, 2 ტონაზე ცოტა მეტს ავიღებთ.

რაიონის ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს ის, რომ 4200 ჰექტარი სახნავი ფართობი დღემდე გაუცემელია, რადგან ნიადაგი მწირი, გვალვიანი და მლაშობია. ასეთ მიწებზე 1998 წლამდე საიჯარო ქირა 26 ლარი იყო, დღეისათვის კი 36,5 ლარია. ჩვენი თხოვნაა, საშუალო რაიონული გადასახადი 1998 წლის მაჩვენებელს დაუბრუნდეს (ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის წინაშეც დავსვით საკითხი, როცა იგი ჩვენს რაიონს ეწვია), ანუ 10 ლარით გაიაფდეს. მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ეს მიწებიც გავცეთ იჯარით, რადგან ეს რეალური შემოსავალი იქნება, მიწაც არ მოცდება და ბიუჯეტი 100 ათას ლარზე მეტ დამატებით შემოსავალს მიიღებს.

ასევე, აქტუალურად მესახება ნიადაგის კატეგორიისა და ხარისხობრივი შემადგენლობის დადგენის სამუშაოები, რაც ჰექტარზე 40 ლარამდე ღირს. მინიმალური გადაანგარიშებით ეს 940 ათასი ლარია. რაიონს, რა თქმა უნდა, ამის დაფინანსება არ შეუძლია, ამიტომ ამ საკითხების მოსაგვარებლად გვჭირდება სახელმწიფოსგან დახმარება, ჩვენი რაიონის მიწები ის აღარ არის, რაც 10-15 წლის წინათ იყო; აღარ ირწყვება, გაიჩეხა ქარსაცავი ზოლები, ირღვევა აგროტექნიკური ვადები, აღარ ხდება განოყიერება, ამიტომ მიწა გამოიფიტა და შველას ითხოვს.

ამ სამუშაოების შესრულება გამგებელს უპირველეს საზრუნავად მიაჩნია.

დედოფლისწყაროელებს კარგად ახსოვთ ბოლო წლებში თავს დამტყდარი სტიქიური მოვლენები და ის თანადგომა, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ რომ გამოიჩინეს, თუმცა, სამინისტროსგან კვლავაც ითხოვენ დახმარებას ქარსაცავი ზოლების აღდგენაში.

– საქართველოს ბეღელს ზოგჯერ ისეთი ქარიშხალი დაუბერავს ხოლმე, რომ მიწაში ჩაგდებული მარცვალი კი არა, სახნავი მიწის ფენაც კი აზერბაიჯანში მიაქვს, ასე ვკარგავთ მოსავალსაც და მიწასაც, – დანანებით ამბობს ბატონი ვაჟა. მისი მოსაზრებით, ასევე, აუცილებელია თანმიმდევრულად მოხდეს რაიონში სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია და ახლის აშენება, რადგან სარწყავი და სასმელი წყლის გარეშე დარჩა ზილიჩას, ტარიბანას, თელაწყლის, მწარეწყლის, ალაზნისპირა მიწები, პატარა შირაქ-ელდარისა და სამუხის მაღალნაყოფიერი მინდვრები. – ყოველივე ამის შედეგად, – დასძენს გამგებელი, – სავარგულების დიდ ნაწილზე აღარ ითესება ერთწლიანი კულტურები, გადახმა და ამოიძირკვა ვენახი, მინიმუმამდე შემცირდა მეცხოველეობის საკვები ბაზის წარმოების დონეც.

ცნობისთვის: წლევანდელმა ექსთვიანმა მკაცრმა და ცივმა ზამთარმა მეცხოველეობაში ნამატის რაოდენობა გაანახევრა, რამაც რაიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად გააუარესა.

სასიხარულოა, რომ ალაზნის პირზე სარწყავი წყლით უზრუნველყოფის იმედით მასობრივად დაიწყო ვენახების გაშენება და გამოუყენებელ ფართობებზე საშემოდგომო თავთავიანი მარცვლოვანი კულტურების მოყვანა. ყუშისხევის წყალსაცავის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების შემდეგ ნავენახარში ადგილებზე თავთავიანი კულტურების მოყვანა დაიწყეს, თუ წყალი ნამდვილად ექნებათ, ვენახების გაშენებასაც შეძლებენ, – ეიმედება რაიონის ხელმძღვანელს.

ბატონი ვაჟა არ მალავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას იმპორტულ ხორბალზე დამატებითი ღირებულების გადასახადის განაკვეთის შემცირების გამო და იგი როგორც ფერმერებისთვის, ასევე მთელი ქვეყნისთვის მიუღებლად მიაჩნია.

საუბრის დასასრულს, ბუნებრივია, ხორბლის ფასსაც შევეხეთ – ნურავის გაუკვირდება, – ამბობს გამგებელი, თუ ჩვენი ხორბლის ფასი საერთაშორისო ბაზრის ფასებს მიუახლოვდება. ეს რეალობაა, შარშან სწორედ ყურძნის მაღალმა ფასმა განაპირობა, რომ ამჟამად რაიონში მევენახეებს მიწის გადასახადის დავალიანება არა აქვთ, მოგების ნაწილი, რასაკვირველია, თვითონ დაიტოვეს და ვენახების გაშენებაც დაიწყეს. არა მგონია, რომ დღეს ხორბალსა და ფქვილზე ფასების მომატება ხდებოდეს. ეს, უბრალოდ, ჩვეული პროცესია, ჩვენი ხორბალი საერთაშორისო ფასებს უნდა მიუახლოვდეს.

უფლის წყალობით, თუ მოსავალს უდანაკარგოდ ავიღებთ, გლეხკაცი გადასახადებსაც გადაიხდის და მომავალში უფრო მეტ ფართობზე დათესავს ხორბალს. დროა, მიწაზე მომუშავის შრომა სათანადოდ დაფასდეს.

დედოფლისწყაროს რაიონში წლების განმავლობაში არ მუშაობდა აგროქიმიური ლაბორატორია. გამგებელმა 2000 ლარი გამოყო ლაბორატორიის აღსადგენად. მალე დაიწყებენ ნიადაგის საკვლევი აგროქიმიური სამუშაოების ციკლს.

ამ დღეებში აგროქიმიური ლაბორატორია გამგებელთან ერთად დაათვალიერეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა **დავით კირვალიძემ**, კახეთის გუბერნატორმა **ბიძინა სონღულაშვილმა** და სხვებმა. ეს ლაბორატორია როგორც წითელწყაროს, ასევე სხვა მეზობელ რაიონებსაც მოემსახურება.

მოსავლის აღება-დაბინავება, მართალია, აქაურთათვის ერთობ პრესტიჟული საქმეა, მაგრამ რაიონის გამგებელს ამის გარდა, სხვა უამრავი საქმეც აქვს, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ დაძაბულობა იმატებს, მაგრამ ბატონი ვაჟა არ კარგავს იმედს, რომ დედოფლისწყაროელები სწორ არჩევანს გააკეთებენ და პირნათელი იქნებიან ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

* * *

მოსავლის აღების საკითხებთან დაკავშირებით საუბარი რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოშიც გაგრძელდა, რადგან აქ დღეს სხვა საზრუნავი, სხვა ფიქრი, გარდა მოსავლის აღება-დაბინავებისა, არ არსებობს.

აი, რა თქვა **სამმართველოს უფროსმა მერაბ მაძღარაშვილმა**:

– დიდი ტრადიციები, რაც აქაურ გლეხს ჰქონდა, დღითი დღე იკარგება. მიზეზი ერთია: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოძველებული ტექნიკის, სასუქებისა და ხარისხიანი თესლეული მასალების უქონლობის გამო სავალალო მდგომარეობაშია. მოსავალი ყოველწლიურად კლებულობს, 1990 წლის შემდეგ რაიონში არ შემოსულა მარცვლის ასაღები კომბაინი და სხვა სახის ტექნიკა, თუ არ ჩავთვლით ორიოდე ფერმერის მიერ შეძენილ კომბაინს.

საქმეს ართულებს ისიც, რომ მოიჯარეთა 70 პროცენტი 1-1,5 ჰექტარ ნაკვეთს ფლობს, მცირე ნაკვეთების დამუშავებასა და მოსავლის აღებაზე კერძო ტექნიკის მფლობელები უარს ამბობენ. ამიტომაც დავაყენეთ საკითხი ტექნიკური ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ. სავალალო მდგომარეობაშია სასუქებით უზრუნველყოფაც. ადრე რაიონი 40 000 ტონა ფოსფოროვან და აზოტოვან სასუქებს იღებდა და თითქმის არც ერთი ჰექტარი არ რჩებოდა გაუნოყიერებელი.

ახლა მარტო ჩვენთან კი არა, საერთოდ ქვეყანაში არ არის ფოსფოროვანი სასუქები, რუსთავის აზოტის ქარხანა დიდი შეფერხებებითაც მუშაობს და პროდუქციის სარეალიზაციო ფასსაც თითქმის ყოველწლიურად ზრდის. გლეხსაც, ფერმერსაც უჭირს მისი შეძენა და შემოტანა. ასეთივე მდგომარეობა იყო პესტიციდების შემოტანის მხრივაც, მაგრამ საკითხი მოგვარდა: სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის და მცენარეთა დაცვის სამსახურის უფროსის ზურაბ ლიპარტიას უშუალო ძალისხმევით რაიონში გაიხსნა 3 სპეციალიზებული მაღაზია, სადაც პესტიციდების შემოტანა ორგანიზებული წესით მოხდება.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად სამმართველოს უფროსი ხარისხიანი თესლეულით ფერმერებისა და გლეხების უზრუნველყოფას მიიჩნევს.

– სპეციალური ნაკვეთები, სადაც აპრობაციას გადიოდა ესა თუ ის თესლი, სამწუხაროდ, აღარ არსებობს, რადგან ნაკვეთები კერძო პირებზეა გაცემული და მათი აღდგენის იურიდიული საფუძველი უკვე აღარ არსებობს. გვინდა აღვადგინოთ ჯიშთა გამოცდის სადგური, რომელიც ხარისხიანი თესლის წარმოების საფუძველი გახდება, – გამანდო ბატონმა მერაბმა.

– ვინაიდან გლეხი მიწის დამუშავების ახალ ფორმას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა, ჩემი აზრით, დღევანდელ ეტაპზე მიწის გაყიდვაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ იმაზე, თუ როგორ შევეხიდოთ და შევუმსუბუქოთ ჩვენს მშრომელებს, მიწასთან შეჭიდებულ ადამიანებს ჯაფა. დაე, ყოველმა სოფელმა თავისი მიწა-წყალი თვითონ განკარგოს, – ასეთია სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსის მერაბ მაძღარაშვილის პოზიცია.

* * *

სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს მუშაკებთან **ივერი ჭუჭულაშვილთან, ზურიკო ტოკლიკიშვილთან** და **ნანა ჭიჭინაძესთან** ერთად შირაქის ველ-მინდვრების მოსანახულებლად მივდივართ.

– მიწა თავისას მოითხოვს, – ამბობს ბატონი ივერი, – უმალ შევატყობთ, რომელი ნაკვეთია მოვლილი და რომელი – არა. თესლეულის შეწამვლის შემდეგ, როცა ნათესი აღმოცენდება, აუცილებელია მინდორში ჰერბიციდების გამლა, ნათესს გუდაფშუტა და გორველა რომ არ მოერიოს. ზოგი ისეთი ნაკვეთია, სარეველას ვერ იპოვით, დაუმუშავებელ ნაკვეთში კი ბალახი ჭარბობს.

– 64 ათასი ჰექტარი მარტო საძოვარია რაიონში, სახნავი ფართობი – 47 ათასი ჰექტარი, სამმართველოს კი ერთი მანქანაც არ ემსახურება, როგორ გინდა, ფეხით, ან თუნდაც საკუთარი მანქანით კვირაში ერთხელ მაინც მემინდვრეებთან მიხვიდე, როცა ბენზინიც ასე ძვირია, – საყვედურს ვერ მალავს ბატონი ივერი. მასობრივი ალოობა ჯერ არ დაუწყიათ, გზადაგზა ტრაქტორები, კომბაინები, მანქანები გვხვდება. ზოგი ტექნიკას ელოდება, ზოგი – ხორბლის მუშტარს...

ვესაუბრები **ზურაბ მიშელაძეს**. იგი სოფელ გამარჯვებიდან არის, 15 წელია, კომბაინზე მუშაობს. ადრე, თურმე, დღეში 50 ტონა ქერიც გაულეწავს. 2 ტონა ხორბალს რომ გალეწავს, 150-140 კილოგრამი მისია. შევიდა **ნოდარ ბენაშვილის** ნაკვეთში, მაგრამ ისევ უკან გამოვიდა.

– რა, უკვე აიღე? – ეხუმრებიან ზურაბს.

– სარეველა ისე მომძლავრებულა, ბალახი უფრო მეტია, ვიდრე ხორბალი, – ამბობს იგი. წუხს ნაკვეთის პატრონიც. ჰერბიციდი ხელზე ვიყიდე, ალბათ, ვადაგასული და ფალსიფიცირებული იყო. 5 ტონა მოსავალს ველოდებოდი და, ალბათ, გასაყიდი აღარ დამრჩება, რასაც ავიღებ, თავად მოვიხმარ.

ნოდარ პოპიაშვილი: 1,5 ჰექტარი ნაკვეთი მაქვს, მოვლა მიჭირს, მარტო გზა თქვი, ჩემს სახლამდე 60-მდე კილომეტრია. ამიტომ ექვსი მეზობელი გავერთიანდით, ხარჯებიც ერთად გავწიეთ, ვნახოთ რა გამოვა, ყანა ცუდი არა გვაქვს...

მოახლოებულ არჩევნებზეც ჩამოვაგდეთ სიტყვა, თბილისში რას დამაბარებთ-მეთქი, – ვეკითხები ყველას. თითქმის ერთხმად მპასუხობენ.

– გლეხობას მიხედონ, უკეთესია, თორემ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი. ჩამოდიან, იხვეწებიან, ხმა მოგვეცითო, საქმის კაცი ასე ნამდვილად არ მოიქცევა.

– მაინც ვინ ჩამოდიან?

– ნაციონალები, მემარჯვენეები, ჟვანიას გუნდის წევრები. გუშინ პრეზიდენტის გვერდით იდგნენ, გვეგონა, საქვეყნო საქმის კეთებაში ეხმარებოდნენ, თურმე პრეზიდენტსაც ატყუებდნენ და ხალხსაც, აბა, მათი როგორ უნდა ვიწამოთ?

გზადაგზა სიღნაღელი, ძველი ანაგელი, თიანელი კომბაინერები მხვდებოდნენ, ჩამოსულან, რათა გვერდით დაუდგნენ აქაურებს და მოსავლის აღებაში დაეხმარონ. როცა ალოობა მორჩება, კომბაინერებიც სხვაგან გადაინაცვლებენ, უპირველესად, ქართლს მიაშურებენ ხოლმე სამუშაოდ.

ხორბალი თუმცა ოქროსფერია, როგორც აქაურები ამბობენ, ზოგან მარცვალი ჯერ მაინც ნედლია, რადგან ღამღამობით ცოტა წამოიწვიმებს ხოლმე, ამიტომ დაისიცხება თუ არა აქაურობა, ტარიბანას მიმართულებით დიდ შირაქში დიდ-პატარა სამკალში გავა.

ივლისის მზე უკვე გადახრილი იყო, როცა მინდვრებიდან დავბრუნდით.

თქვენი გამარჯვებისა იყოს, გამრჯე დედოფლისწყაროელო მხვნელ-მთესველნო!

ნაზი იმნაიშვილი.
თბილისი-დედოფლისწყარო.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

**– გლეხობას მიხედონ, უკეთესია, თორემ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი. ჩამოდიან, იხვეწებიან, ხმა მოგვეცითო, საქმის კაცი ასე ნამდვილად არ მოიქცევა.
– მაინც ვინ ჩამოდიან?
– ნაციონალები, მემარჯვენეები, ჟვანიას გუნდის წევრები. გუშინ პრეზიდენტის გვერდით იდგნენ, გვეგონა, საქვეყნო საქმის კეთებაში ეხმარებოდნენ, თურმე პრეზიდენტსაც ატყუებდნენ და ხალხსაც, აბა, მათი როგორ უნდა ვიწამოთ?**

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

ათი წელიწადი უსახლკაროდ

აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებულ დროებით საპარლამენტო კომისიაში შემოსული წერილებისა და თხოვნა-მიმართვების მნიშვნელოვანი ნაწილი ბინით უზრუნველყოფის საკითხებს ეხება. ეს პრობლემა დღეს უმწვავესია.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ თბილისში დევნილები 117 შენობაში შეიჭრნენ. აქედან 68 შენობა დღემდე შეინარჩუნეს, დანარჩენი შენობებიდან კი ისინი სასამართლო გადაწყვეტილებათა საფუძველზე გამოასახლეს. გახსოვთ, წლეულს, 14 მაისს, სააღსრულებო დეპარტამენტის სპეცრაზმმა გეოლოგიის ინსტიტუტის შენობაში შეჭრილი დევნილები უხეში ფორმით გამოასახლა. მათგან ზოგიერთი მძიმედ დაშავდა. ამ შემთხვევამ საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, რის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, დევნილები მათთვის სხვა, დროებით საცხოვრებელი ფართის გამოყოფამდე, კვლავ ინსტიტუტის შენობაში დააბრუნეს.

საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით, მიღებული აქვს უამრავი კანონი, დადგენილება, ბრძანებულება... მათგან უმნიშვნელოვანესია საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულება, რომლის თანახმად, სამხარეო ადმინისტრაციათა ხელმძღვანელებს, ქალაქების მერებსა და რაიონების გამგებლებს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მორალური და სოციალური დაცვის მიზნით, კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგებამდე, კერძო სექტორში განთავსებული დევნილების დროებით თავისუფალ, უმოქმედო შენობებში განსახლება დაევალათ. დაევალათ, მაგრამ ამ უწყებებმა ამ ბრძანებულების შესასრულებლად კეთილი ნება საკმარისად არ გამოიჩინეს. სწორედ ამან განაპირობა უმოქმედო ობიექტების თვითნებური დაკავება. დევნილებმა იციან, ასეთი ქმედება უკანონოა, მაგრამ არც იმას მიიჩნევენ სამართლიანად, რომ დევნილობის მე-10 წლისთავზე თავშესაფარიც არა ჰქონდეთ.

ბოლო ხანებში კი დედაქალაქში დევნილთა საკითხებზე ზრუნვა ცალკეულმა სამინისტროებმა, უწყებებმა და გამგეობებმა საერთოდ შეწყვიტეს და ამ პრობლემის მოგვარება აფხაზეთის დევნილ სტრუქტურებს შეატოვეს. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ, დევნილთათვის დამატებითი საცხოვრებელი ფართის გამოყოფის თაობაზე აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა სტრუქტურას არაერთხელ მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ.

ამ მტკივნეულ საკითხებზე იყო მსჯელობა ამას წინათ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე, სადაც საქართველოს ძალოვნების, დევნილთა და განსახლების სამინისტროსა და სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მოსალოდნელია დედაქალაქში მდებარე ცხრა ობიექტიდან 278 დევნილის გამოსახლება, – განაცხადა სხდომაზე აღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ტუშურმა.

რა უნდა გაკეთდეს მსგავსი მოვლენების, სხვადასხვა შენობებში დევნილთა თვითნებური შეჭრის ფაქტების განმეორების თავიდან ასაცილებლად?

ვახტანგ ყოლბაია, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე: – პრობლემა საბინაო რესურსების რეალურ დეფიციტშია, მაგრამ რეზერვები არის როგორც ქალაქში, ასევე ქალაქის გარეუბნებში. სამინისტროებისა და სხვადასხვა სტრუქტურების ბაზაზე არსებობს ისეთი ფართი, რომელიც ცარიელი და მიტოვებულია. იქნებ არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ამ შენობების მოწესრიგება მოხერხდეს ისე, რომ იქ ცხოვრება, შეიძლებოდეს, პრობლემა ისაა, რომ ამ ფართის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის გადაცემა ყოვნდება. ალბათ, მალე ამ შენობების ფარული პრივატიზაცია დაიწყება. საკითხი მეტად მწვავეა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში და ხელისუფლების ყველა შტოს მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს.

პრობლემის მოსაგვარებლად პარლამენტმა შესაბამისი დადგენილებაც გამოიტანა. ამასთან დაკავშირებით, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ 9 აგვისტომდე უნდა შეიმუშაოს გეგმა. გეგმაში უსახლკაროდ დარჩენილი დევნილების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება იქნება გათვალისწინებული. აფხაზეთის სააღსრულებო სტრუქტურებმა ჩვენს მთავრობას შესაბამისი მასალები უნდა მიაწოდონ, რათა ამ გეგმის შედგენა-შესრულება დაჩქარდეს. დევნილების ამ მდგომარეობაში დატოვება დიდხანს უკვე აღარ შეიძლება.

* * *

სხდომაზე ითქვა, რომ სულ 262 ათასი დევნილიდან 112 ათასი დღეს სახელმწიფოს კუთვნილ ობიექტებში ცხოვრობს. მარტო ქ. თბილისში 2500-ზე მეტი დევნილთა ოჯახი თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი. შესაბამისი უწყებებისა და სამინისტროს მონაწილეობით კომისია სექტემბერში კიდევ ერთ სხდომას გამართავს, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების ზემოთ ხსენებულ გეგმას განიხილავენ.

მზია გელენავა.

მახვილი კუთხე

განწირული ხიდები

ხიდები სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებია და მათ გამორჩეული დაცვა სჭირდებათ. რატომღაც ეს ჭეშმარიტება დავივიწყეთ და ხიდები საბოლოოდ გავწირეთ. მე საუბარი მაქვს იმ ხიდებზე, რომელთა გვერდითაც ჩვენ ბენზინგასამართი სადგურები წამოვჭიმეთ და საფრთხე ჩვენვე „გავინაღდეთ“.

ავიღოთ ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი, რომელიც დიდუბესა და საბურთალოს აერთებს. ზედ ხიდის ყურში, დიდუბის მხარეს, ბენზინგასამართი სადგურია. გადმოხვალთ აქეთ, საბურთალოს მხარეს და ზედიზედ სამი ბენზინგასამართი სადგურია. ნეტა ამდენი ვაჭრობა აქეთ? და გინდაც ჰქონდეთ, შეიძლება ხიდის სიახლოვეს ამდენი „საცეცხლე“ წერტილები წამოვჭიმოთ და უბედურებას ველოდოთ?

ახლა მეორე ხიდი ავიღოთ, რომელიც იგივე დიდუბესა და ნაძალადევს შორის ძევს. მასზე რკინიგზა გადის. ორივე მხარეს კი ბენზინგასამართი სადგურებია. მატარებლები დაგრიხინებენ, იქნებ ნაპერწკლებსაც წარმოშობენ, იქვე კი ბენზინით სავსე ავზებია... განა ამ ბენზინგასამართი სადგურების პატრონები სხვაზე თუ არა, საკუთარ თავზე მაინც არ უნდა ფიქრობდნენ?

ეტყობა, არ ფიქრობენ. სხვაგვარად მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ელიავას ბაზრობასთან, ბენზინგასამართ სადგურს არ ააშენებდნენ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ანძების ქვეშ. დიახ, ქვეშ, ზუსტად ქვეშ.

განწირული ხიდებია პატარა დიღომშიც, ვარკეთილის მასივშიც, ლოჭინის ხეობაშიც...

ღმერთმა გვაშოროს ცეცხლიც და ხანძარიც, მაგრამ ვინაა დაზღვეული უბედური შემთხვევისაგან? მაშ, რად ვაშენებთ ბენზინგასამართ სადგურებს საშიშ ადგილებში?

ნინო კახიშვილი,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

ბენზინის გასამართი სადგური დიღმის ხიდზე.
ჯემალ კასრაძის ფოტო.

მახვილი კუთხე

ასეთი გულმავიწყობა არ «ჭრის»

პირველი გვერდიდან

უწინარესად, ეს გადასახადებისაგან თავის არიდებასა და სხვადასხვა თაღლითობას ეხება. ამ თემასთან დაკავშირებით, თავის დროზე, არა ერთი ამბავი გახმაურდა, რომლებიც ცნობილი ფირმისა თუ ბიზნესმენის სახელს უკავშირდებოდა, მაგრამ მრავლად არიან არცთუ მსხვილი მეწარმეები, რომელთა ვინაობა საზოგადოებრიობისათვის ნაკლებადაა ცნობილი. მათ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადაუხდელი გადასახადების თანხები, უკანონოდ მიღებული ჩათვლები ცალკე აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში, ქვეყნის მასშტაბით არ არის მაინც და მაინც მნიშვნელოვანი, მაგრამ საბოლოო ანგარიშით საქმე სოლიდურ ციფრებთან გვაქვს. ამიტომაცაა, რომ ეს საკითხი გამუდმებით არის მოქცეული ჩვენი ყურადღების ფოკუსში.

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის სამტრედიის ზონალური საგადასახადო ინსპექციის ბრძანების საფუძველზე, საგანგებო ლეგიონმა შეამოწმა ინდივიდუალური საწარმო „ზვიად გიორგაძის“ საქმიანობის კანონიერება და სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება. შემოწმების შედეგად, რომელმაც 2002 წლის 15 აპრილიდან 2003 წლის 1 თებერვლამდე პერიოდი მოიცვა, ინდმეწარმე ზ. გიორგაძეს ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით 196816 ლარის გადახდა დაეკისრა.

საგანგებო ლეგიონის მონაცემებით, საწარმოს ექვსი მიმწოდებელი ჰყავს. შესამოწმებელ პერიოდში ზ. გიორგაძეს შპს „ორმეთისაგან“ ორი ანგარიშ-ფაქტურით შეძენილად ნაჩვენები აქვს 89436 და 11793 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საშენი მასალა და კვების პროდუქტი. ამავე დროს, ზემოხსენებული ანგარიშ-ფაქტურები შპს „ორმეთზე“ გაცემული არ არის და ისინი შპს „დილერი-2000“-ზე ირიცხება. გარდა ამისა, ზ. გიორგაძეს ინდივიდუალური საწარმო „გრიგოლ გაბუნიასაგან“, როგორც სხვა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაშია მითითებული, შეძენილი აქვს 89466 ლარის სხვადასხვა დასახელების საშენ-სამონტაჟო მასალები. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური მეწარმეების გრიგოლ გაბუნიასა და რამონ გოგიძის მიმართ, ყალბი დოკუმენტების გამოყენებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისაგან თავის არიდების ფაქტზე, საგანგებო ლეგიონს აღძრული აქვს სისხლის სამართლის საქმე.

საგულისხმოა, რომ ინდივიდუალური საწარმოს ხელმძღვანელმა ზ. გიორგაძემ „ვერ გაიხსენა“, თუ რა სახსრებით შეიძინა საშენი მასალები და სად დაასაწყობა ისინი(?!). გარდა ამისა, მეხსიერებამ იმდენად უღალატა, რომ ისინი სიტყვიერადაც ვერ აღწერა, რაც აშკარად მოწმობს, რომ განხორციელებული ფინანსური ოპერაცია ფიქტიურია.

საგანგებო ლეგიონის მიერ ჩატარებული მოკვლევით გამოიტანეს დასკვნა, რომ ინდივიდუალური საწარმო „ზვიად გიორგაძე“ წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ „ფილტრ საწარმოს“ და მისი შექმნის მიზანი სულაც არაა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება. თავისი მოქმედებით ზვიად გიორგაძემ, ყალბი დოკუმენტების მანიპულირებით, საქონლის მყიდველად მითითებულ სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირს დამატებითი ღირებულების გადასახადში ფიქციური ჩათვლების მიღებისა და, შესაბამისად, მოგების გადასახადის შემცირების საშუალება მისცა. ამის შედეგად, მისგან საქონლის შემძენ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, 28 შემთხვევაში, ყალბად, დღგის სახით, მიღებული აქვთ 132157 ლარის ჩათვლა.

რამდენადმე განსხვავებულია კანონდარღვევის მეორე ფაქტი, რომელიც ასევე საგანგებო ლეგიონმა გამოიკვლია. ინდივიდუალურმა მეწარმე ლევან გაბინაშვილმა კუთვნილი უძრავი ქონების განკარგვის უფლება გადასცა მამუკა ნებიერიძეს, რის შედეგად ეს უკანასკნელი „მინდობილი მესაკუთრე“ გახდა. მ. ნებიერიძემ დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციიდან გამოიტანა 10 კომპლექტი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელთაგან გარკვეული ნაწილი დახარჯა, მაგრამ ერთი, რომელიც ინდმეწარმე „ზვიად თელიას“ მიაწოდა, მართალია ინდსაწარმო „ლევან გაბინაშვილის“ ბეჭდითაა დამოწმებული, თუმცა... შეუვსებელია(?). ეს გარემოება, როგორც საგანგებო ლეგიონის მასალებშია აღნიშნული, დამატებით შემოწმებას საჭიროებს. გარდა ამისა, დადგინდა, რომ 2002 წლის ნოემბრის დეკლარაციაში ერთ-ერთი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომლითაც გამოწერილია 10213 ლარის დღგ, დეკლარირებული არ არის.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის მიერ 2003 წლის 23 აპრილს შედგენილი ინდსაწარმო „ლევან გაბინაშვილის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხის შემოწმების აქტის მიხედვით, მას დღგ-ს გადასახადში დამატებით დაერიცხა (სანქცია-საურავის გათვალისწინებით) 10758 ლარი.

იმის გამო, რომ განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა, სისხლის სამართლის საქმე საგანგებო ლეგიონში აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

კოტე კანდელაკი,
საქინფორმის კორ.

თბილისის მთავრობა მოითხოვს

თბილისის მთავრობა საგზაო ფონდიდან დედაქალაქის ქუჩების აღსადგენად ორი სახის გადასახადის გადმოცემას მოითხოვს. აღნიშნული ინიციატივით თბილისის მთავრობამ პარლამენტს მიმართა, რათა „საგზაო ფონდის შესახებ“ კანონში ცვლილებები შევიდეს და ტრანსპორტის ფლობის და გზებით სარგებლობის გადასახადები თბილისის ბიუჯეტში გადავიდეს.

მერიაში მიიჩნევენ, რომ თუ პარლამენტი დააკმაყოფილებს თბილისის მთავრობის მოთხოვნას და ორი სახის გადასახადს თბილისის ბიუჯეტში გადაიტანს, მთავრობა 4 მლნ. ლარამდე თანხას მიიღებს, რაც დედაქალაქის დაზიანებული ქუჩების რეაბილიტაციას მოხმარდება.

შეხვედრები სამეთვალყურეო საბჭოების წევრებთან

საწარმოთა მართვის ახლადშექმნილი სააგენტოს ხელმძღვანელებმა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოთა სამეთვალყურეო საბჭოების წევრებთან შეხვედრები დაიწყეს. გუშინ ისინი 21 საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოების წევრებს შეხვდნენ.

როგორც „ინტერ-პრესს“ სააგენტოში განუცხადეს, ამგვარი შეხვედრები სისტემატურად ჩატარდება, ხოლო სექტემბერში სააგენტო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და სამეთვალყურეო საბჭოების სრულ შემადგენლობებთან შეხვედრას გეგმავს.

„სააგენტო, როგორც სახელმწიფო პარტნიორს, სურს, საწარმოებთან საქმიანი და ნაყოფიერი ურთიერთობა დაამყაროს და ამით ხელი შეუწყოს სამეწარმეო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას. ასე საწარმოთა მუშაობის ეფექტურობა ამაღლდება და საწარმოების მოგებაც გაიზრდება“, – განაცხადა შეხვედრაზე სააგენტოს თავმჯდომარემ ვაჟა კაპანაძემ.

დააკავეს ძმის მკვლელობაში ეჭვმიტანილი

გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა საკუთარი ძმის განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ზურაბ ხარატიშვილი დააკავეს.

როგორც „ინტერ-პრესს“ პოლიციის მთავარ სამმართველოში განუცხადეს, ხარატიშვილი 47 წლისაა, წარსულში ხუთჯერ ნასამართლევია და 2002 წლის 28 მარტს თავის ბინაში დანით მოკლა საკუთარი ძმა – რამინ ხარატიშვილი. იგი გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის ძებნის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

არა მარტო სუვენირად

ვაზი, ღვინო და... კარტი

ანუ როგორ „გაიჩითა“ ალექსანდრეული, რქაწითელი, ხაფერავი...

მოგვეხსენება, სათამაშო კარტზე „ვის“ არ ახატავენ: ეს — შიშველი ქალებიო, ეს — ნახევრადშიშველიო, ისტორიული პიროვნებებიო, პოლიტიკური მოღვაწეებიო და, ვინ იცის, კიდევ ვის... აგერ, სულ ახლახან, რუსულმა გაზეთმა „არგუმენტი ი ფაქტი“ (№29, ივლისი) მთელ გვერდზე პასიანსივით გაშალა აბრამოვიჩი, ბერეზოვსკი, დერიპასკა და ხოდორკოვსკი — ტუზებად, ბატურინა, ტატიანა დიაჩენკო, იაკოვლევა და ჰაკამადა — ქალებად, ვიქტორ ჩერნომირდინი — პიკის ათიანად, კირსან ილუმჟინოვი — პიკის ცხრიანად, პაველ გრაჩოვი — ჯვრის რვიანად, ნიკიტა მიხალკოვი — გულის შვიდიანად და ასე შემდეგ. ისიც ხომ ვიცით, რომ ერაყის კამპანიის შემდეგ ამერიკელებმა კარტის დასტა „დაატირაჟეს“, რომელზეც ერაყელი სადამისტები „მნიშვნელოვნების“ მიხედვით არიან გამოსახული, ტუზებიდან დაწყებული, ორიანებამდე...

ჩვენი სახელოვანი მეცნიერი-მეღვინე, პროფესორი ალექსანდრე ქურდაძე კი, რომლის ფანტაზია-გამომგონებლობას, მართლაც რომ, არა აქვს საზღვარი (ტყუილად კი არ არის საქართველოში ერთადერთი „სსრ კავშირის დამსახურებული გამომგონებლის“ საპატიო ტიტულის მფლობელი), „ვაზის გზას“ დაადგა: შექმნა ორიგინალური, ვაზისა და ღვინისადმი მიძღვნილი ბანქოს დასტა სარეკლამო-საინფორმაციო ფერადი ფურცლის თანხლებით. ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ფურცლიდან ვგებულობთ, რომ 52 ძირითად, 2 სათადარიგო კარტსა და 2 ჯოკერზე აღბეჭდილია ქართული უნიკალური ვაზის 56 ჯიში, რომ საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა, რომ საქართველოში ვაზის 500 ადგილობრივი ჯიშია, რომ ტერმინი „ღვინო“ მსოფლიოში ქართულიდან იღებს სათავეს, რომ ალექსანდრე ქურდაძის „ღვინის სახლი“ მდიდრულ ასორტიმენტს სთავაზობს მომხმარებელს.

ბანქოს დასტაში შედის, აგრეთვე, კარტის ოდენა დამატებითი ბარათები, რომლებზეც გადმოცემულია იმ 56 ჯიშის ნუსხა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (რა კარგია, რომ, მოდის საწინააღმდეგოდ, რუსული ენა არ არის იგნორირებული!) და მცირე ნარკვევები: „კარტის სიმბოლიკა“ (სადაც ვნახავთ პასუხს კითხვაზე „რატომ არის ბანქოს დასტაში 52 ფურცელი, თანაც ოთხი ფერისა და თითოეულ ფერში 13-13 ფურცელი?), ქართული ვაზი და ღვინო“, „ალექსანდრე ქურდაძის „ღვინის სახლი“.

მოდით, „გავხსნათ კარტები“ და რამდენიმე მაინც „გავჩითოთ“. ტუზობის პატივი ხვდათ მწვანე კახურს, საფერავს, რქაწითელსა და ალექსანდრეულს; მეფობისა — კრახუნას, მუჯურეთულს, ციცკასა და ოცხანურ საფერეს და ასე შემდეგ, ჯოკერობა — ბროლსა და ორბელურს ერგო (ყველა სახელწოდება კვლავ ქართულ-რუსულ-ინგლისურადაა მიწერილი).

...წლეულს, მარტში, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ედუარდ შევარდნაძის ფრიად საყურადღებო ნაშრომი „ვაზის გზა“, რომელსაც, თუმცა ავტორმა თავმდაბლურად პატარა უწოდა, დიდი და დამსახურებული გამოხმაურება მოჰყვა ამავე გაზეთის ფურცლებზე. წინათქმაში ბატონი პრეზიდენტი შენიშნავდა: „მჯერა, ეს პატარა ნაშრომი სხვა ენებზეც ითარგმნება, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს საქართველოთი დაინტერესებულ ადამიანებს, უკეთესი (უფრო სრული) წარმოდგენა ჰქონდეთ ჩვენს სამშობლოსა და მის დიდ წარსულზე და იმ დარგის განვითარებაზე, რაც დღეს მსოფლიო ცივილიზაციისათვის სულაც არ არის მეორეხარისხოვანი“.

საქართველოთი დაინტერესებულ ადამიანთა რიცხვში ხომ ჩვენი ქვეყნის სტუმრებიც შედიან და მათთვის სუვენირად ჩაფიქრებული „ყურძენ-კარტი“ უთუოდ წაადგება ასეთ ხელშეწყობას.

ჩვენ მოგვეცა შემთხვევა სახელდახელოდ გავსაუბრებოდით პროფესორ ალექსანდრე ქურდაძეს:

— თქვენი კარტი, ალბათ, თბილისში ასე მომრავლებულ სამორინეებში სათამაშოდ არ იქნება გათვალისწინებული...

— რასაკვირველია, არა. ჩემი ფიქრით, ამ დასტამ ქართული ვაზის, ყურძნისა და ღვინის პოპულარიზატორის ფუნქცია უნდა შეასრულოს, უპირველესად, ჩვენთან ჩამოსული უცხოელი სტუმრებისათვის. აგერ, ნახეთ: ყველაფერი, ქართულთან ერთად, ინგლისურადაცაა მოთხრობილი. იმედია, ტურისტები და სხვებიც ასეთი სამახსოვრო საჩუქრით დაინტერესდებიან. სხვათა შორის, შესაბამისი იდეა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ „ვაზის გზის“ წაკითხვის შემდეგ გამიჩნდა.

— ფასის დადებას როგორისას ვარაუდობთ?

— რვა-ათი ლარისას.

— ტირაჟს?

— ტირაჟი ჯერ მცირეა. ვნახოთ, როგორ შეხვდებიან ჩვენს „სასუვენირე“ ჩანაფიქრს.

...მე უკვე ვიცი, რომ ყველა, ვინც უკვე გაეცნო ახალ სათამაშო კარტს, მას მოწონებით შეხვდა. „ყველა“ ნიშნავს, მაგალითად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, უმაღლესი სასწავლებლების წრეებსაც...

მრავალი წელია, რაც ვიცნობ ალექსანდრე ქურდაძეს და სულ დაუცხრომელ შემოქმედად აღვიქვამ თავის საყვარელი მეღვინეობის დარგში. ბატონი ალექსანდრეს შემოქმედებითი შრომა, ჯეროვნად დაფასებული ჯერ კიდევ საბჭოურ ხანაში, აქტიურადვე გრძელდება. დამსახურებული მეღვინე არ „ექვემდებარება“ პოლიტიკურ ჟამთა ცვლას და თავის საქმეს აკეთებს...

თამაზ ეგანოიძე.

რა კანონი მოდის?

დასაზუსტებელი ბევრი რამ არის

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მიწის დამატებითი პრივატიზების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით მსურს რამდენიმე მოსაზრების გამოთქმა.

კანონპროექტში აღნიშნული სასოფლო-სამეურნეო მიწის ოდენობის მონაცემები დასაზუსტებელია, ვინაიდან ყველა რაიონის მიწის ბალანსი, საიდანაც აქვთ პროექტის ავტორებს მონაცემები აღებული, არასწორია. ბალანსები დგება წინა 30-40 წლის მონაცემებიდან მიმატება-გამოკლების მეთოდით და მექანიკურად იწერება ციფრები. არსად არ არის ნაკვეთების მიხედვით დაზუსტებული და გამიჯნული სახელმწიფო საკუთრებასა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწები. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, როგორც უძრავი ქონება, არავის აწერია და მხოლოდ მიწის ბალანსებშია აღრიცხული.

კანონპროექტში სასოფლო-სამეურნეო მიწა განმარტებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისთვის. გამოდის, რომ მიწა, რომელიც ადრე გამოიყენებოდა პროდუქტების წარმოებისათვის, ხოლო კანონის მიღების დროს არ გამოიყენება დანიშნულებით, არ იქნება სასოფლო-სამეურნეო მიწა, ან პირიქით. ამჟამად არსებული ასეულობით ჰექტარი მიწა, რაც ადრე აღრიცხული იყო სახნავად, დღეს არ გამოიყენება მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქტების საწარმოებლად, კანონის მოქმედების პერიოდში რა ერქმევა ასეთ მიწებს და როგორ იმოქმედებს კანონი ასეთ მიწებზე?

განსამარტავია ცალ-ცალკე სავარგულები, სახნავი, სათიბი, საძოვარი, ვინაიდან ხშირად ასეთი მიწები დანიშნულებით არ გამოიყენება. ბევრი სავარგული 10 წელიწადია და მეტი საერთოდ არ გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების საწარმოებლად.

როგორ შეძლებენ სოფლის (თემის) საკრებულოები კანონპროექტის მოთხოვნით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას? ასეთი მოთხოვნების დაცვას სპეციალისტები სჭირდება. ვინ აგებს პასუხს მოსალოდნელ დარღვევებსა და დანაშაულობებზე?

რის საფუძველზე აძლევს კანონპროექტი სახელმწიფოს საკუთრების მიწის პრივატიზების უფლებას სოფლის (თემის) საკრებულოებს? ჩემი აზრით, მიწა ჯერ უნდა გადაეცეს მუნიციპალურ საკუთრებაში და ალბათ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამის გაკეთება.

იური ნასარიძე.
საჩხერის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

ბრიფინგი

პენსიონერების დარდი, თუ... პოპულიზმი?

ტრადიციული ბრიფინგი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ იუსტიციის სამინისტროს შენობაში შეჭრილი „ნაციონალების“ თემით დაიწყო, რომლებიც რამდენიმე დღეა 1998-2001 წლების გაყინული პენსიების დავალიანების დაფარვის მოთხოვნით შიმშილობენ. მინისტრმა, უწინარესად, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ისაუბრა. მოშიმშილეებთან № 13 პოლიკლინიკის ექიმებს სადღეღამისო მორიგეობა აქვთ დაწესებული. შიმშილობის გაგრძელებით შეიძლება მათი ჯანმრთელობა გაუარესდეს. მით უფრო, რომ შიმშილობის მე-7, მე-8, მე-9 დღეები კრიტიკული ყოფილა.

მინისტრი შეხვდა და ესაუბრა მოშიმშილეებს და მათ აქციის შეწყვეტისკენ მოუწოდა. მან ბრიფინგზეც გაიმეორა: „ვთხოვ ყველა მოშიმშილეს, პატივცემულ დეპუტატებს, რომლებიც პროტესტის ამ უკიდურეს ფორმას მიმართავენ, გაიგონ, რომ ეს არ არის პრობლემის გადაჭრის გზა, პრობლემისა, რომელიც მთელი სერიოზულობით დგას ქვეყანაში. მთავრობას აქციის მონაწილეებზე ნაკლებად როდი აწუხებს შექმნილი ვითარება, პრობლემა ეტაპობრივად ისედაც გადაიჭრება“.

მინისტრმა ისაუბრა, აგრეთვე, იმ სამ კანონპროექტზე, რომელთაც პრეზიდენტმა გასულ კვირას მოაწერა ხელი. ამ კანონებს ბატონმა ამირანმა საეტაპო უწოდა, რომლებმაც, მისი თქმით, საფუძველი უნდა დაუდონ ქვეყანაში ახალი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებას, ანუ საპენსიო სისტემის რეფორმას და მთლიანად ქვეყანაში სოციალური დაზღვევის პრინციპებზე გადასვლას. ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში არ ყოფილა ასეთი ფუძემდებლური კანონები, რომლებმაც მთლიანად უნდა შეცვალოს ჩვენი შეხედულება მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმზე.

სწორედ ამ კანონების შესაბამისად, ეტაპობრივად, შესაძლებელი იქნება არსებული პრობლემის გადაწყვეტა და არა იმ ფორმით, რასაც მოშიმშილეები მიმართავენ. მინისტრის თქმით, „ეს ფორმა უკვე აღარ არის პრობლემების გადაწყვეტის გზა საქართველოში, ჩვენ ახლა განვითარების სხვა ეტაპზე ვიმყოფებით, ამიტომ უფრო სხვა, ცივილური მეთოდებით უნდა მივუდგეთ ნებისმიერი პრობლემის მოგვარებას. მაგრამ, ყველამ კარგად ვუწყით, ეს აქცია, ძირითადად, რასაც ემსახურება“...

ბატონმა ამირან გამყრელიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საპენსიო დავალიანება 2003 წლის 1 იანვრისათვის 89 მილიონს შეადგენს და ეს დავალიანებები დაგროვდა 1998-1999-2000-2001 წლებში. აგრეთვე, აღინიშნა ისიც, რომ ადამიანები, რომლებიც ამჟამად შიმშილობენ და ისინიც, ვინც მათ ზურგს უკან დგანან, იმ წლებში როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაში იყვნენ და მათაც გარკვეული „წვლილი“ მიუძღვით საპენსიო დავალიანებების დაგროვებაში.

ყველაზე დიდი დავალიანება, დაახლოებით 46 მილიონი ლარის ოდენობით, 1998 წელზე მოდის. ისიც ხაზგასასმელია, რომ 2002 წელი იყო ბოლო ექვსი წლის განმავლობაში პირველი წელიწადი, როდესაც სახელმწიფოს საპენსიო დავალიანება არ ჰქონდა, ანუ ფინანსთა სამინისტრომ საპენსიო ფონდს იმდენი თანხა მისცა, რამდენიც ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული. მაგრამ ძველ დავალიანებებს ეს ვერ აღმოფხვრიდა. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია წლეულს ვერ გაგრძელდა და 6 თვეში დავალიანება ისევ დაგროვდა. ახლა ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ იგი დაიფაროს.

მინისტრის თქმით, ძველი პენსიების დასაფარავად ბიუჯეტში 14 მილიონი ლარია ჩადებული, რომლის განკარგვის მექანიზმი ბიუჯეტის კანონში არის გაწერილი. გამოყოფილია პრიორიტეტები, რომელთა მიხედვითაც იფარება დავალიანებები. წლეულს უკვე დაფარულია დაახლოებით 1.300.000-მდე ლარის ძველი პენსიები, რომლებიც, ძირითადად, გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახებს მიეცათ. რაც შეეხება დევნილ პენსიონერებს, მათი დავალიანება შარშან მთლიანად გაისტუმრეს. თუ ვინმე დარჩა, მათ შეუძლიათ მიაკითხონ საპენსიო ფონდის განყოფილებებს და თანხას დაუყოვნებლივ მიიღებენ.

ერთი თვეა, რაც პარლამენტში შესულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ფინანსთა სამინისტროების ერთობლივი კანონპროექტი, რომელშიც ნაგულისხმევია ძველი საპენსიო დავალიანებების დაფარვა ძირითადად ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით და ეს მექანიზმი შეთანხმებულია სავალუტო ფონდთან. საპენსიო დავალიანების შიდა ვალში აღებით და ფასიანი ქაღალდების გამოშვებით სახელმწიფო მოქალაქეებს ერთგვარ კონტრაქტს უფორმებს. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ძირითადი თანხის ან პროცენტის გადახდას დააგვიანებს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამის ანგარიშს მექანიკურად ჩამოეჭრება საჭირო თანხა და ქაღალდის მფლობელის ანგარიშზე ჩაირიცხება, ისე, როგორც საგარეო ვალების დაფარვისას ხდება.

როგორც ვხედავთ, მოშიმშილეთა გარდა, პენსიონერებზე სხვებიც ფიქრობენ. ხალხის უმრავლესობას მიაჩნია, რომ მოშიმშილეებს პენსიონერთა ბედი ნაკლებად აწუხებთ. მათ კარგად უწყიან, რომ ეს ერთი პარტიის გადასაწყვეტი არ გახლავთ.

ბელა დურგლიშვილი.

ადვოკატურა

ევროსაბჭომ ამიერკავკასიელი ვექილებისთვის მოიცალა

დღეს თბილისში, სასტუმრო „სიმპათიაში“ ევროსაბჭოს ეგიდით გაიხსნება ერთობლივი სასწავლო სემინარი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ადვოკატებისთვის. სემინარის მონაწილეები ორი დღის განმავლობაში იმსჯელებენ შემდეგ საკითხებზე — საადვოკატო ეთიკა, ევროპის ქვეყნებში საადვოკატო საქმიანობის დაბეგვრის კრიტერიუმები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იურიდიული მომსახურების დაფარვის პრაქტიკა და მომსახურების ხარისხი, პროფესიული საიდუმლოების ლიმიტები ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში და სხვა.

როგორც ჩანს, ქართველ ადვოკატებს საფრანგეთიდან, ლიტვიდან, ესპანეთიდან, აგრეთვე, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან მოწვეულ კოლეგებთან ერთად ინფორმაციულად დახუნძლული ორდღიანი პროგრამა ელოდებათ.

ღონისძიების ერთ-ერთი ინიციატორის, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნუგზარ ბირკაიას თქმით, 2001 წლის 20 ივლისს, მიღებული „კანონი ადვოკატთა შესახებ“ დღემდე არ ამოქმედებულა, ასევე, გაურკვეველია საადვოკატო საქმიანობის დაბეგვრის მექანიზმები. მისაღებია ეთიკის კოდექსი ადვოკატთათვის. ყოველივე ამ და სხვა პრობლემების ფონზე ეს სემინარი უდავოდ მნიშვნელოვანი იქნება ქართველ ადვოკატთა კორპუსისათვის.

დიტო ჯუშითელი.

ამუშავებენ თანამშრომლობის საკითხებს

საგანგებო სიტუაციების დროს სამოქალაქო-სამხედრო დაგეგმვის დარგში სუუამის ორგანიზაციის (საქართველო, უზბეკეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საკითხებს ამუშავებენ ბაქოში მიმდინარე სამეთაურო-საშტაბო წვრთნაზე, რომელშიც მონაწილეობენ სუუამში შემავალი ქვეყნების სამოქალაქო თავდაცვის ხელმძღვანელები. მეთვალყურეებად მოწვეულები არიან ექსპერტები შეერთებული შტატებიდან, თურქეთიდან და ბულგარეთიდან.

ვალერი ლოშჩინინის აზრით

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურის პირველმა მოადგილემ ვალერი ლოშჩინინმა ჟურნალისტებისათვის მიცემულ ინტერვიუში შეაფასა „საქართველოს საკითხში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის“ წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელთა ჟენევაში სამშაბათს დამთავრებული მეორე შეხვედრის შედეგები და მას უწოდა „სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი“, რომლებიც ქმნის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თანდათანობით გადაწყვეტის წანამძღვრებს.

როგორც ლოშჩინინმა თქვა, ამ შეხვედრას „ჰქონდა უფრო კონკრეტული, უფრო შინაარსიანი ხასიათი“ და იგი საქართველოსა და აფხაზეთის წარმომადგენელთა გამოსვლების ჩათვლით „კონსტრუქციული კალაპოტით“ წარიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა ძირითადი ყურადღება დაუთმეს ისეთ საკითხებს, როგორიც არის ლტოლვილებისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა უწინარესად გალის რაიონში დაბრუნება, სოჭი-თბილისის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, სამომავლოდ კი კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაცია, პირველ ყოვლისა, ენგურჰესის რეკონსტრუქცია.

გენადი სელეზნიოვი იმედოვნებს...

საპარლამენტთაშორისო ასამბლეა და ეუთო არ უნდა ჩაერიონ რუსეთისა და საქართველოს ორმხრივ ურთიერთობაში“,— მიაჩნია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს გენადი სელეზნიოვს. როგორც სპიკერმა თქვა, ყველა პრობლემის, მათ შორის აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისათვის „საკმარისი დიპლომატიური ინსტრუმენტები აქვს ორივე სახელმწიფოს“. სელეზნიოვმა განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში „იგრძნობა სიცივე“. სპიკერი იმედოვნებს, რომ საქართველოში ვიცე-სპიკერის ვლადიმერ ლუკინის მეთაურობით რუს პარლამენტართა ვიზიტი „ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას“.

მოსკოვი გარანტიას იძლევა

რუსეთი მზად არის იკისროს საინსპექციო ჯგუფისა და მისი თანხმლები პირების უშიშროების უზრუნველყოფა გუდაუთის ყოფილი ბაზის იმ ობიექტების ფარგლებში, რომლებსაც იყენებენ ჩვენი მშვიდობისმყოფლები“,— განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე იაკოვენკომ. დიპლომატმა თქვა, რომ მოსკოვიც მზად არის „გარდა ამისა, განიხილოს კიდევ გუდაუთის იმ ობიექტებისადმი მეთვალყურეობის განხორციელების შესაძლებლობა, რომლებსაც თანამეგობრობის მშვიდობის დაცვის კოლექტიური ძალების ინტერესებისათვის იყენებენ საქართველოში გაეროს მისიის ძალები“.

დეზერტირობისა და ნაწილის თვითნებურად მიტოვებისთვის

ქვემო ქართლის სამხედრო პროკურატურამ მიმდინარე წელს დეზერტირობის და სამხედრო ნაწილების თვითნებურად მიტოვების ფაქტებზე სასამართლოს 80-მდე სისხლის სამართლის საქმე გადასცა.

როგორც „ინტერ-პრესს“ ქვემო ქართლის სამხედრო პროკურორმა მამუკა ცაავამ განუცხადა, ამჟამად 7 სამხედრო მოსამსახურე დაპატიმრებულია, მათ შორის „კომანდოს“ ანტიტერორისტული ბატალიონის კაპრალი მამუკა ხუროშვილი, 20 სამხედრო მოსამსახურე სარდლობის მეთვალყურეობის ქვეშაა და მათი საქმის განსახილველად სასამართლო პროცესი უახლოეს მომავალში გაიმართება, ხოლო ორი სამხედრო პირი დეზერტირობასთან ერთად, ქურდობის ფაქტზეა დაკავებული.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

მოგზაურის კვერთხი

ან კარიდან კაბადოკიამდე

(თურქული შთაბეჭდილებები)

პატივცემულო რედაქცია!

ივნისის თვეში თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა წერილების ციკლმა — „ნაყოფისგან საცნაურ არს სიკეთე ხისაი“, რომელიც ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციას ეძღვნება, მიბიძგა თქვენთვის თურქეთში ჩვენი ვიზიტის შთაბეჭდილებათა გამოგზავნა.

პატივისცემით,
ავთანდილ ნიკოლეიშვილი.
ქ. ქუთაისი.

ცხოვრების წესით, ცნობიერებით, კულტურულ-მსოფლმხედველობრივი და ყოფითი ფასეულობებით დღევანდელი თურქეთი უკვე ევროპული სივრცის ნაწილად ქცეული დიდი მომავლისა და პერსპექტივების ქვეყანაა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ჩვენს ცნობიერებაში დამკვიდრებული ძველი თურქეთის შესახებ არსებულ წარმოდგენისგან. ამ ქვეყნის ინტელექტუალურ ნაწილს, რომლის როლი და გავლენა სახელმწიფოებრივი მმართველობის პროცესში, რაც დრო გადის, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, სულ სხვა დამოკიდებულება აქვს როგორც თავისი ქვეყნის ისტორიისადმი, ისე იქ მცხოვრები ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობისა და განსხვავებული სარწმუნოებრივი აღმსარებლობებისადმი. ამ დამოკიდებულების უმთავრესი პრინციპი აშკარად გამოხატული ტოლერანტობა და პატივისცემაა. ისინი დღეს უკვე ხმამაღლა საუბრობენ იმ დიდ კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე, რომელიც მათ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხებმა შექმნეს საუკუნეთა მანძილზე და დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით უვლიან და პატრონობენ ისტორიულ ძეგლებს.

ეს დამოკიდებულება აშკარად და თვალნათლივ ვიგრძენით ანკარის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრებზე არცთუ ისე შორეულ წარსულში ლამის ტაბუდადებული ისეთი საკითხების შესახებ მსჯელობის დროს, თურქეთში ქართული ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობისა და ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეს რომ შეეხებოდა.

თურქეთში გამგზავრების მიზანი ანკარისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება გახლდათ. ჩვენი უნივერსიტეტის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ამ სტრიქონების ავტორი, საგარეო ურთიერთობათა დარგში პრორექტორი, დოცენტი ვახტანგ ამაღლობელი და თურქოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ცისანა აბულაძე შედიოდნენ, ანკარაში 2003 წლის 19 მაისს გაემგზავრა. ანკარის უნივერსიტეტთან ხელშეკრულების პროექტის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს თურქეთში ჩვენი საელჩოს წარმომადგენლებმა, პირველ ყოვლისა, ელჩმა ტარიელ ლებანიძემ და დესპანმა პროფესორმა ზურაბ გამეზარდაშვილმა. ანკარაში მიმავალთ იქაურ არქივებში სამუშაოდ ერთწლიანი სამეცნიერო მივლინებით მყოფი ჩვენი უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის მასწავლებელი ნათია დანგაძეც გველოდებოდა.

თურქეთის განვითარებისა და აღმშენებლობის პროცესი უსწრაფესი ტემპით რომ მიმდინარეობს, ამას სასაზღვრო ზოლის გადაკვეთისთანავე დაინახავს კაცი. საგულდაგულოდ გამაგრებული სანაპირო, გვირაბებით გასწორებული ავტომაგისტრალი, ფერდობებზე შეფენილი ახლადაშენებული ან მშენებარე სახლები... რელიეფის სირთულისა და პრაქტიკულად გამოსაყენებელი მიწის სიმცირის გამო საცხოვრებელი კორპუსები ხელის ერთ გაწვდენაზე დგანან ერთმანეთის გვერდიგვერდ.

სასაზღვრო შემმოწმებელი პუნქტიდან გასულები ტაქსის მძღოლების ალყაში ვექცევით. ყველა თავისი მანქანისკენ გვეპატიჟება. ერთ-ერთს ვირჩევთ და ხოფაში მივეშურებით, საიდანაც ავტობუსით ანკარაში უნდა გავემგზავროთ. ენის პრობლემა არსად შეგვქმნია — ყველანი მშვენივრად საუბრობენ ქართულად.

კეთილმოწყობილ ოფისში დასვენების ყველა პირობაა შექმნილი. უფასოდ გვთავაზობენ ჩაისა და ტკბილეულს, ჩართულია ტელევიზორი. ასეთივე მომსახურებაა ავტობუსშიც: გამყოლები თავაზიანად გვაწვდიან წყალს, ჩაის, ყავას, ტკბილეულს. სხვადასხვა ავტოკომპანიები ამ თვალსაზრისითაც აქტიურად ცდილობენ ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ და რაც შეიძლება მეტი მგზავრი მიიზიდონ.

კომფორტული ავტობუსით მგზავრობა არ გვღლის. დროდადრო დიდ სადგურებში სპეციალურ ავტოსადგომებზე ვჩერდებით, სადაც ავტობუსებს შამპუნიანი წყლით რეცხავენ. ასეთი ავტოსადგომები სისუფთავით, მომსახურების მაღალი კულტურითა და სავაჭრო პროდუქციის სიუხვით გამოირჩევიან.

ხოფაში ერთი ახალგაზრდა კაცი დაგვემგზავრა, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოსახდელად მიდიოდა ანკარაში. მრავალი ახლობელი და მეგობარი აცილებდა. ჩვენს ავტობუსს, თურქული დროშებით დამშვენებული ავტომანქანა რიზემდე გამოყვა. ახალგაზრდები ემოციური აღტკინებით მიაცილებდნენ მეგობარს ჯარში.

მეორე დღეს, 16-საათიანი მგზავრობის შემდეგ, დილით უკვე ანკარაში ვართ. უზარმაზარ ავტოვაგზალში სიხარულით გვეგებებიან ნათია დანგაძე და ჩვენი მასპინძლები — ანკარის უნივერსიტეტის ინგლისური ენის დეპარტამენტის ორი მშვენიერი მასწავლებელი, რომელთაც დასაბინავებლად მივყავართ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში — „ანკარა-ჰაკიმევი“.

ქალაქის ცენტრალურ უბანში — კიზილაიზე გასეირნების შემდეგ ედუარდ შევარდნაძის სახელობის თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანადგომის ფონდში მივდივართ, სადაც ამ ფონდის თანამშრომლები და საქართველოდან თურქეთში სასწავლებლად წარგზავნილი სტუდენტები (მათ შორის, ჩვენი კურსდამთავრებული გიორგი ჭიღვარია) გველოდებიან.

შევარდნაძის სახელით ცნობილი ეს ფონდი ქართული წარმოშობის თურქ მამულიშვილთა მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოსთან კავშირურთიერთობის განმტკიცებას ისახავს მიზნად. მისი გენერალური დირექტორი მევლუდ ართვინი აქტიურად იღვწის იმისათვის, რომ ფონდის საქმიანობა უფრო მასშტაბური და ნაყოფიერი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ ფონდში გაერთიანებულთაგან ბევრმა ჩვენი ენა არ იცის, მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი ქართული წარმომავლობის მნიშვნელობა და აქტიურად ცდილობენ საქართველოსთან ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას. იმის გამო, რომ საცხოვრებლად სტამბოლში გადავიდა, ბატონ მევლუდთან პირადად შეხვედრა ვერ ხერხდება და ერთმანეთს მხოლოდ ტელეფონით ვესაუბრებით. იგი ჩვენს სანახავად ანკარაში საგანგებოდ ჩამოსვლასაც აპირებდა, მაგრამ ჩვენი სამუშაო პროგრამა იმდენად გადატვირთული იყო, რომ ვთხოვეთ, ეს საქმე სხვა დროისთვის გადაგვედო.

ანკარის უნივერსიტეტი, რომელთანაც ხელშეკრულება უნდა გავაფორმოთ, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია, სადაც 40 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. 1946 წელს დაარსებული ეს უნივერსიტეტი დღეს არა მარტო თურქეთში, არამედ უცხოეთშიც კარგად ცნობილი სასწავლო დაწესებულებაა, სადაც ძირითადად სწავლების ამერიკული სისტემაა დანერგილი. გერმანიაში სასწრაფოდ გამგზავრების გამო რექტორთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. მის ნაცვლად ჩვენი მთავარი მასპინძელი პრორექტორი, პროფესორი ომერ გებიზლიოღლუ იყო, რომელსაც დრო და ყურადღება არ დაუშურებია, ვიზიტი რაც შეიძლება საქმიანი და წარმატებული რომ ყოფილიყო..

რექტორატში მიღების შემდეგ შევხვდით უნივერსიტეტის სენატის (სამეცნიერო საბჭოს) წევრებს. ბატონი ომერი ვრცლად გვესაუბრა უნივერსიტეტის წარსულისა და დღევანდელობის შესახებ და გვიჩვენა დოკუმენტური ფილმი, რომელშიც უნივერსიტეტის საქმიანობაა ასახული.

საპასუხო სიტყვით გამოსვლისას სენატის წევრთა ყურადღება მივაპყარი იმ მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დამყარდა ჩვენს ქვეყნებს შორის. აქვე იმ მიღწევებზეც ვისაუბრე, ქართველ თურქოლოგებს რომ აქვთ მოპოვებული. სენატის წევრთა ყურადღება საგანგებოდ მივაპყარი ჩვენი უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის წევრთა მიერ გაწეულ საქმიანობას და ხაზგასმით აღვნიშნე, რომ ყოველწლიურად ჩვენს უნივერსიტეტს თურქულის სპეციალობით 10-15 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ამთავრებს, ხოლო ჩვენი უნივერსიტეტის პირველი უცხოელი სტუდენტები სწორედ თურქი ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ თურქეთშიცა და საქართველოშიც. მათგან ორი — ჰარუნ ჩიმქე და მუზაფერ ქირი ასპირანტურაშიც აგრძელებენ სწავლას ქართული ენასა და ლიტერატურის სპეციალობით.

მასპინძლებს განსახილველად თავაზიანად შევთავაზე თურქ ქართველოლოგთა აღზრდის საკითხი: ქართულ დოკუმენტებში თურქეთის შესახებ ბევრი ისეთი მასალაა დაცული, რომელთა გაუთვალისწინებლად ჩვენი ქვეყნების ისტორია სრულფასოვნად ვერ შეისწავლება.

პირველი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც ჩემი წინადადებით იქვე მიიღეს — 2004 წელს ქუთაისში ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის გამართვაა. მხარი დაგვიჭირეს იმაშიც, რომ ანკარის უნივერსიტეტში გაიხსნას მაგისტრატურა ქართველოლოგიაში.

ერთადერთი, რაშიც აქტიური დახმარება გვთხოვეს, სათანადო დარგის სპეციალისტების მოძებნაა.

ანკარის უნივერსიტეტში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სწავლების ახალი ფორმების ძიებას. ერთ-ერთი ასეთი ფორმა, რომელიც იქ ამჟამად ინერგება, დისტანციური სწავლებაა.

საფუძვლიანად და ყველა საგულისხმო ნიუანსის გათვალისწინებითაა დამუშავებული როგორც ცოდნის გადაცემის, ისე შემოწმების მეთოდიკა. თუ ჩვენს ქვეყნებს შორის სათანადო სახელმწიფოებრივი შეთანხმება იქნება და დისტანციურად სწავლის მიღების მსურველი სწავლებისათვის დაწესებულ თანხას გადაიხდის, იგი შინიდან გაუსვლელად დაამთავრებს ანკარის უნივერსიტეტს და მიიღებს ამის დამადასტურებელ დიპლომს. სწავლების პროცესი, მასპინძლების აზრით, იმდენად გამჭვირვალეა და ორმხრივად კონტაქტური, რომ მის არასრულფასოვნებაში ეჭვის შეტანა თითქმის არ შეიძლება.

(დასასრული იქნება).

სურათებზე: ქუთაისის უნივერსიტეტის დელეგაციის წევრები ანკარაში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

დროის სუნთქვა

ოლგა ვაინშტეინი

ჩემი ოცნების მამაკაცი – სხეულის ისტორიის ეტიუდები

1970-1980. იცნობდეთ: 70-იანების ეპოქის საბჭოთა მოდის ამყოლი. ასპირანტი-შექსპიროლოგი, იგი მხოლოდ გადამყიდველებისაგან იძენს უცხოურ ნივთებს, „ბერიოზკის“ საქონელი მის ღირსებას არ შეეფერება (ასეთი ადამიანის თანამოაზრეებს სამარცხვინოდ მიაჩნდათ ტანსაცმლის ყიდვა ჩეკებით). იგი ეთაყვანება „ბითლზს“ და ატარებს ა-ლა ჯიმი ჰენრიქსის ვარცხნილობას. მის გარდერობშია ამოქარგული ავღანური ტყავის ქურქი, „deep purple“ ფერის ველვეტის შარვალი, ყვითელი პერანგი, თეთრი იტალიური ქურთუკი დაკერებული ჯიბეებით და ტყავის ბორდოსფერი ცხვირწაწვეტებული წაღები. მუხლსქვემოთ გაგანიერებული „ჰარვეი ლოგანის“ ჯინსები ძალზე ეფექტურად არის გახეხილი. იგი გამონაკლისია ნაცრისფერი, უსახური მასის ფონზე? თუ ეს ასეა, ამით მხოლოდ ის დასტურდება, რომ თუ გსურს იყო ლამაზი, იყავი ასეთი.

დასავლეთის ქვეყნების პიჟონებისათვის კი ამ ათწლეულმა ძალზე ფართო შესაძლებლობები დასახა. პირველად გამოჩნდა ასპარეზზე მომხიბვლელი, მაგრამ კლასიკური გაგებით ულამაზო მამაკაცის სტილი: ფრანგი ექსცენტრიკოსი პიერ რიშარი, ნიუიორკელი ინტელექტუალი კომიკოსი ვუდი ალენი, დასტინ ჰოფმანი, ჯეკ ნიკოლსონი, ბელმონდო, ჩელენტანო, რუსი მსახიობებიდან — კარაჩენცოვი, ევსტიგნეევი და უცებ ყველამ შეიგნო, რომ გმირად შეიძლება მოგვევლინოს არა მარტო ქალური სილამაზის მქონე ჭაბუკი, არამედ პროზაული, რაღაცით ოდნავ სასაცილო ხელმოცარულიც კი.

სილამაზის ამ ორი ტიპის კონფლიქტი ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა 1973 წელს გადაღებულ ამერიკულ ფილმში „როგორები ვიყავით ჩვენ“, რომელშიც მთავარ როლებს რობერტ რედფორდი და ბარბარა სტრეიზანდი ასრულებდნენ. თეთრკანიანი ანგლოსაქსური წარმოშობის ამერიკელი, „ნამდვილი ამერიკელი ბიჭის“ განსახიერება — რედფორდი, ეკრანზე ტრადიციულად ლამაზი და წარმატებული გმირის როლში გვევლინება, მისი „მეტოქე“ კი არის მემარცხენე აქტივისტი ბარბარა სტრეიზანდი, საოცარი ხიბლის მქონე ქალი, თუმცა მისი სახის ნაკვთებს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ კლასიკურს.

60-იან წლებში ფეხს იკიდებს გამოჩენილი ადამიანების კულტი — 1974 წელს შეერთებულ შტატებში გამოდის ჟურნალი „ფიფლ“, რომლის ფურცლებზეც იხვეწება თანამედროვე ჟანრი მოთხრობისა გამოჩენილ ადამიანებზე „მათთან სახლში“. ჟურნალის გმირები ხდებიან ახალგაზრდა კარლ ლაგერფელდი, რომელიც იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ მალავდა სახეს შავი სათვალით, მიკ ჯაგერი, მიხეილ ბარიშნიკოვი და ლუჩანო პავაროტი.

პარალელურად ჩნდება გამოჩენილი ადამიანების ახალი ტიპი — სპორტსმენები: 60-70-იანი წლების ინგლისელი ფეხბურთელი ჯორჯ ბესტი გამოირჩეოდა იშვიათი სილამაზით, მას „მეხუთე ბითლი“ უწოდეს. ბესტი ცნობილი ლოველასი იყო — ნებისმიერი ქალი ბედნიერად გრძნობდა თავს მის მკლავებში. მუჰამედ ალი კარგა ხანს რჩებოდა ამერიკელების კერპად არა მარტო როგორც მძიმეწონოსანი მოკრივე, არამედ მოდის ამყოლისა და ისლამის ახლადგამომცხვარი ადეპტის სახითაც.

1980-1990. დიზაინერებისა და მოდელების ეპოქა: სილამაზის კულტი იძენს თავის ინსტიტუტებს, ინდუსტრიასა და რიტუალებს. ყოველი ვარსკვლავი ირჩევს საკუთარ კუტიურიეს: ელტონ ჯონი მხოლოდ ვერსაჩეს ტანსაცმელს იცვამს, ერიკ კლეპტონი — ჯორჯო არმანისა. მოდაში შემოდის დაკუნთული, ნავარჯიშევი სხეული: სილვესტრ სტალონე, არნოლდ შვარცენეგერი, ვან დამი ახალი კულტის ქურუმებად გვევლინებიან.

მაგრამ სილამაზის კანონებს უჩვეულო რაღაც სჭირს: საკუთარ თავზე დაუღალავი მუშაობა იწვევს გარეგნობის სტანდარტიზაციას. ჰოლივუდის ვარსკვლავი მამაკაცები ერთი კონვეიერიდან ჩამოსული გეგონება: კევინ კოსტნერი, მიკი რურკი, ბრიუს უილისი, პატრიკ სუვეიზი, კურტ რასელი, მაიკლ დუგლასი... ასევე წააგვანან ერთმანეთს მათი პარტნიორი ქალები — ქერად შეღებილი თმები, სილიკონის მკერდი, და ამ არმიიდან, ალბათ, მხოლოდ შარონ სტოუნი თუ გამოირჩევა.

ამ გეზის გროტესკული კულმინაციაა მაიკლ ჯექსონი, კაცი, რომელმაც საკუთარი თავი აქცია პოსტმოდერნიზმის მოსიარულე ტრიუმფად: ადამიანი სქესის, ასაკის, რასის გარეშე, რომელმაც შეგნებულად მოისპო ყოველივე ინდივიდუალური და დამახასიათებელი უამრავი სამედიცინო ოპერაციის გზით.

მედიცინა სულ უფრო აქტიურად იჭრება სილამაზის სფეროში: ახლა სახის კანის დაჭიმვას, მასაჟს მიმართავენ არა მარტო ქალები, არამედ მამაკაცებიც; საფირმო „ჰოლივუდური ღიმილი“ ხომ წარმოუდგენელია მაღალანაზღაურებადი დანტისტის მომსახურების გარეშე. აკურატულად თმაშეკრეჭილი, გამოწკეპილი „იაპები“ დეზოდორანტების, წვერის საპარსი კრემებისა და გაპარსვის შემდეგ განკუთვნილი ლოსიონების მომხმარებელთა ახალი კონტინგენტია. „იაპებს“ ვერ წარმოუდგენიათ თავი კოსმეტიკური საქონლის გარეშე, რადგან სხვაგვარად ისინი დამარცხდებიან კონკურენციაში: ბოსები ახლა უპირატესობას ანიჭებენ კარგად მოვლილ და პრეზენტაბელური გარეგნობის მქონე თანამშრომლებს.

საერთო სტანდარტიზაციის ფონზე ძალზე დიდ წარმატებას აღწევენ მოდელიორები, რომლებიც გვთავაზობენ რეალური საქმით დაკავებული „ნამდვილი მამაკაცის“ მკაფიოდ გამოკვეთილ არქეტიპულ სახეს: რალფ ლორენი თავისი კლიენტების სტილიზებისას მიმართავს მონადირე ჯენტლმენის და სოფლის მცხოვრების სახეებს, უნარიანად იყენებს ნოსტალგიურ მოგონებას დიად წარსულზე; ამავე სერიიდანაა მალბოროს კოვბოი ბიჭების რომანტიკაც. დაქანცულ ბიზნესმენებს სურთ თუნდაც ცოტა ხნით იგრძნონ თავი ველური დასავლეთის გმირებად და არა ოფისების კლერკებად: „თეთრი საყელოს“ პროზაული კარიერა, რომელიც უკვე წინასწარაა გათვლილი არაერთ წელზე, უნდა გამდიდრდეს პოეზიისა და რისკის შტრიხებით.

1990-2000 წ. 90-იან წლებში საყვარელი საქმიანობაა იდენტურობის ძებნა. მამაკაცები საკუთარ თავში პოულობენ იდუმალ, აქამდე აკრძალულ შესაძლებლობებს. ხაზგასმული ეროტიკული სახეები რომელთაც ჰომოსექსუალიზმის ელფერი დაჰკრავს? — გაიხსენეთ კელვინ კლაინის ჯინსების რეკლამა. შავკანიანი ლამაზი ზანგი მამაკაცები? ედი მერფის ჰონორარები თეთრკანიან კინოვარსკვლავთა შურს იწვევს. ფემინისტი მამაკაცი? — უნივერსიტეტის ყოველი მეორე მასწავლებელი, რომელიც მუშაობს „ქალთა კვლევის“ კათედრის თანამშრომელ კოლეგა-მანდილოსნებთან. პოლიტიკური კორექტულობა აიძულებს ყველას თავისუფლად წარმოაჩინოს თავისი „განუმეორებლობის“ პოზიცია. ჰოლივუდისათვის დამახასიათებელი მომხიბვლელობა უთმობს ადგილს ეროვნული, სოციალური და ასაკობრივი სუბკულტურების მრავალფეროვნებას. მოზარდები ტკბებიან „დრანჟის“ სტილით, ბოჰემური ესთეტები კი იოჯი იამომოტოს შავ ასიმეტრიულ ტანსაცმელში გამოწყობილან.

ფრანგი ფილოსოფოს-პოსტსტრუქტურალისტი ჟაკ დერიდის ფოტო გამოჩნდა ჟურნალ „Bor“-ის გარეკანზე: სამყარო მოითხოვს პროფესიულად დახვეწილი ინტელექტუალური აზროვნების სილამაზეს. მაგრამ დერიდის თაყვანისმცემელი ინტელექტუალები ახლა თავს იმტვრევენ არა მარტო ამ დიდი ოსტატის ბოლო ოპუსებზე, არამედ მოდის სამყაროში მისი ბელგიელი მიმდევრების ახალგაზრდა რადიკალების მარტინ მარჟიელის, ან დემელემეისტერის და დრის ვან ნოტენის, დირკ დიკემბერგის კონსტრუქციულ გამოკვლევებზეც.

ათწლეულის კერპებს შორის შევხვდებით მოულოდნელ სახეებს: ბავშვური გარეგნობის მქონე მამაკაცი ლეონარდო დი კაპრიო; დაბერებული რიჩარდ გირი, რომელიც არ უფრთხის თავის ნაოჭებს და ბუდიზმითაა გატაცებული; მკაცრი „უცხოპლანეტელი“ ჭაბუკი კიანუ რივზი, ფრანგი ბრედ პიტი — ერთი სიტყვით, ინდივიდუალიზმს გაფურჩქვნის ხანა დაუდგა. მოდაში შემოდის ჰომოსექსუალიზმი: ჩვეულებრივი ჰეტეროსექსუალი თეთრკანიანი მამაკაცები მოულოდნელად თავს უმცირესობაში გრძნობენ — სამაგიეროდ, „ცისფერი“ კოლეგებისათვის უნივერსიტეტები „ლიმიტით“ იწყებენ სპეციალური განაკვეთების გამოყოფას. სექს-უმცირესობათა კარნავალებს არნახული გაქანება ეძლევა. გეი-პარადებისათვის იკერება რთული, დახვეწილი კოსტიუმები: ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ტრანსვესტიტებს შეძლებოდათ ასე წარმატებით გარდაქმნილიყვნენ ქალებად.

სტილთა კალეიდოსკოპი დროშიც იჭიმება: მოდა მიმართავს წარსულს, კუტიურეები თავგამოდებით შეუდგნენ რეტროსტილების გადარჩევას, ხშირად მიმართავენ ციტატებს, ისევე, როგორც პოსტმოდერნისტები ლიტერატურაში — უმბერტო ეკო, მილორად პავიჩი და პელევინი. გუშინ მათ მოჰყავდათ ციტატები 70-იანი წლებიდან, დღეს კი უკვე — 80-იანებიდან. მულტიკულტურალიზმი და კოლაჟის პრინციპი მართლაც უსაზღვრო არჩევანის შესაძლებლობას სახავს, მკაცრი ნორმატიულობა უკვე აღარ არის აქტუალური.

2000-2003 წ. ახალი ათასწლეულის დამდეგმა იმთავითვე დაამკვიდრა მოდაში „gender bending“ — მამაკაცურისა და ქალურის ნარევი. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს გამეფდა მკაცრი და უსქესო „უნისექსის“ სტილი — პირიქით, აშკარად შეიმჩნევა ახალი ფრივოლურობა, როცა მამაკაცის ეროტიკული მომხიბვლელობა მხოლოდ იგებს, თუ მას ოდნავ დაემატება რაღაც ქალური. თვითგამომხატველობის ახალი თავისუფლება გულისხმობს მამაკაცის გარეგნული სახის შერბილებას: შვარცენეგერის ტიპის ათლეტებსა და კულტურისტებს ახლა ცვლიან ტანადი და ოდნავ მორცხვი ჭაბუკები, რომელთა გარეგნობა არაორაზროვნად უსვამს ხაზს მათ დაუცველობასა და სისუსტეებს „Vulnerable look“-ის სტილში. მათი ელეგანტურობის იდეალია 70-იანი წლების დამდეგის ახალგაზრდა ივ სენლორანი, ინტელექტუალი ესთეტი გრძელი თმით და სკეპტიკური მზერით. სწორედ ასეთი „უსუსური“ მოდელები, რომლებსაც ვერანაირად ვერ ვუწოდებთ სუპერმენებს, დომინირებდნენ მამაკაცის სილამაზის ამ ბოლო ხანს გამართული კონკურსების გამარჯვებულთა შორის.

მამაკაცის თანამედროვე ტანსაცმელი გამუდმებულ ესთეტიკურ ურთიერთმოქმედებაშია სხეულთან. თუ წინათ კოსტიუმი აქტიურად ახდენდა მისი მფლობელის სხეულის მოდელირებას, ახლა იგი უბრალოდ ხაზს უსვამს მისთვის დამახასიათებელ ნიშანთვისებებს. აბრეშუმის ტრიკოტაჟი მჭიდროდ ეკვრის მუსკულატურას, გამჭვირვალე, სანახევროდ გაღეღილი პერანგებიდან მოსჩანს მკერდი, პიჯაკებს პირდაპირ შიშველ ტანზე იცვამენ. კოსტიუმები იკერება რბილი, თხელი ქსოვილებისაგან, რომლებიც თავისუფლად ერგება სხეულს და მოკლებულია ხაზების სიზუსტეს. თერძებს უკვე აღარ სჭირდებათ გამოიყენონ სამოსის შესავსებად ესა თუ ის დანამატი, რადგან ეს უკვე მოძველებულ სტილად ითვლება, ვალენტინო არმანი და ჩერუტი გვთავაზობენ შერბილებულ სილუეტს ოდნავ მომრგვალებული მხრებით, და ეს სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს პოულობს თვით ბიზნესმენთა შორისაც კი.

ყველაზე რადიკალურმა დიზაინერებმა დოლჩემ, დონატელა ვერსაჩემ და კელვინ კლაინმა, რომელიც მათ არაფრით ჩამორჩება, შემოგვთავაზეს მამაკაცის ტანსაცმელისა და თვით ზაფხულის ფეხსაცმლისათვის ფერთა სრულიად ახალი გამა: ნარინჯისფერი, ვარდისფერი, მარჯნისფერი... ქალთა სამოსისათვის დამახასიათებელი ფერების უზურპაციის გარდა, მოდელიორებმა სხვა ხერხსაც მიმართეს — ყვავილებითაა მოჩითული მამაკაცების პერანგები და მაისურები, რაც 60-იანი წლების ჰავაის პერანგებს მოგვაგონებს.

ასეთი ნოვაციები მარტო სტილისტური ექსპერიმენტების განხორციელების და 11 სექტემბრის მოვლენათა შემდეგ დამწუხარებული ხალხის „გამხნევების“ სურვილი როდი გახლავთ. ყოველივე ამის მიღმა დგას საერთო ტენდენცია — მამაკაცებისა და ქალის პროგრამული შერევა, რასაც ხარკს, ერთი შეხედვით არცთუ ისე დიდი ხალისით, მაგრამ მაინც უხდიან ისეთი კონსერვატორი დიზაინერებიც კი, როგორიც არის ფენდი, ტრუსარდი და ჰერე, რომლებიც საკმაოდ ოსტატურ მანევრს მიმართავენ — თავიანთი მოდელებისათვის თანდათანობით იყენებენ ისეთი ტიპის ქსოვილებს, რომლებიც წინათ „ქალისად“ ითვლებოდა. ასეთებს განეკუთვნება ატლასი, შიფონი, გიპიური, ჩინური აბრეშუმი, მაქმანიანი ტილო. ამ ქსოვილებისაგან შეკერილი პერანგები და პიჯაკები, თვით ყველაზე კლასიკური ფასონითაც კი, გამოიყურება არც ქალურად და არც მამაკაცურად, ეს უფრო რაღაც ირონიულს წააგავს: აქ მოხსნილია სქესის ოპოზიცია ან, ყოველ შემთხვევაში, თამაშის სიბრტყეში მაინც არის გადატანილი. ხშირად ყველაზე გაბედულ ჰიბრიდებსაც კი მიმართავენ: აბრეშუმის აპლიკაცია წვრილზოლიან საკოსტიუმე ქსოვილზე.

ამავე სერიას განეკუთვნება მამაკაცის აქსესუარის ასორტიმენტის საგრძნობი გაფართოება ისევ და ისევ ქალის არსენალიდან ნასესხები ელემენტების ხარჯზე. ამიერიდან პროგრესულ მოდის მიმდევარს შეუძლია თამამად ატაროს ეგზოტიკური სამკაულები, მაგალითად, მძივი ან ფერადი თვლებით დამშვენებული სამაჯური, გაიკეთოს საყურე ცალ ყურზე. შედარებით მოკრძალებულებს კი სთავაზობენ პლეიბოის სტილის ფუტლარს კისერზე. ქალებმა, მაგალითად, თამამად მოახდინეს მამაკაცების ჰალსტუხების უზურპირება და მათ იბამენ არა მარტო კისერზე, არამედ ქამრადაც იყენებენ.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 191-193.

• ერაყში ვითარების გაუმჯობესებისათვის

• კოსოვოში მხოლოდ 122 რუსი მილიციელი დარჩება

• ისრაელი კეთილ ნებას ავლენს

გაეროში კოალიციას მკაცრად გააკრიტიკებენ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შტაბბინაში დაიწყო უშიშროების საბჭოს ღია სხდომა, რომელიც ერაყში შექმნილ ვითარებას ეძღვნება. სხდომის მუშაობაში მონაწილეობენ ერაყში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სერჟიუ ვიეირა დი მელო, აგრეთვე ქვეყნის ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილი მმართველი საბჭოს წევრები ადნან პაჩაჩი, აჰმედ ჩალაბი და აქილა ქაშემი.

როგორც მოელიან, ვიეირა დი მელო მკაცრად გააკრიტიკებს შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს უშიშროების უზრუნველყოფა ერაყში. მოხსენების ავტორი მოითხოვს ერაყში ადგილობრივი ლიდერებისათვის ხელისუფლების გადაცემის კონკრეტული გრაფიკის შემუშავებას.

გარდა ამისა, გამოსვლაში ხაზგასმული იქნება, რომ მხოლოდ გაეროს მონაწილეობით გახდება შესაძლებელი ერაყის ახალი მთავრობის ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა. ერაყში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის მიერ მომზადებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში საოკუპაციო ჯარების შეყვანის შემდეგ ცხოვრების პირობები არათუ გაუმჯობესდა, არამედ, შესაძლოა, გაუარესდა კიდეც.

ამავე დროს, თავის მოხსენებაში სერჟიუ ვიეირა დი მელო აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით ერაყში არა აქვს ალტერნატივა მმართველ საბჭოს, რომელიც შექმნილია ადგილობრივი ადმინისტრაციის მონაწილეობით და ამერიკელებისა და ბრიტანელების ხელმძღვანელობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ერაყის მმართველი საბჭოს წევრებს, რომლებიც სხდომას ესწრებიან, ჯერჯერობით არ დართეს გაეროში ერაყის ოფიციალური წარმომადგენლის ადგილის დაკავების უფლება. მოელიან, რომ თავიანთ გამოსვლებში ისინი მოუწოდებენ უშიშროების საბჭოს ხელი შეუწყოს ქვეყანაში ლტოლვილების დაბრუნებას და ერაყის ვალების ჩამოწერას.

სხდომაზე უშიშროების საბჭოს 15 წევრს, აგრეთვე წარუდგენენ გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მოხსენებას ერაყში შექმნილი ვითარების შესახებ. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ის დღე, „როცა ერაყელები მიაღწევენ თვითმმართველობას, მალე უნდა დადგეს“.

„საერთაშორისო გაერთიანებას შეუძლია ერაყს გაუწიოს დახმარება, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, თავისი მომავალი თვით ერაყელმა ხალხმა უნდა განსაზღვროს“, — ხაზგასმულია დოკუმენტში, რომლის ტექსტი სხდომის დაწყების წინ გაავრცელეს გაეროს შტაბ-ბინაში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაეროს ახლა უკვე შეუძლია გაუწიოს დახმარება ერაყელებს, განსაკუთრებით კი იმ საკითხებში, რომლებიც ეხება მზადებას სუვერენიტეტის აღდგენისათვის და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას.

რუსეთი „მხარს უჭერს იმას, რომ გაერომ შეასრულოს აქტიური და დამოუკიდებელი როლი ერაყში ომისშემდგომ შექმნილი ვითარების მოწესრიგებისა და ქვეყნის აღდგენის საქმეში“, — განაცხადა სამშაბათს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე იაკოვენკომ.

„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი უშიშროების საბჭოს წევრებს არა მარტო მიაწვდის ინფორმაციას გაწეული მუშაობის შესახებ, არამედ გამოთქვამს რეკომენდაციებს ერაყში შექმნილი ვითარების მოწესრიგების საქმეში გაეროს კონკრეტული მონაწილეობის გაძლიერების თაობაზე“, — აღნიშნა იაკოვენკომ.

როგორც მან თქვა, საქმე, კერძოდ, შეიძლება ეხებოდეს ერაყში გაეროს მანდატის დამატებითი ფუნქციებით აღჭურვას.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს არ გამოურიცხავს, რომ ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა, საჭირო გახდეს გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუციის მიღება.

საფრანგეთი მხარს უჭერს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ერაყის შესახებ ისეთი ახალი რეზოლუციის მიღებას, რომელიც ამ ორგანიზაციას მიანიჭებდა მთავარ როლს ერაყის ომისშემდგომი აღდგენისა და ქვეყანაში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ეს განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დომინიკ დე ვილპენმა ბრიუსელში, სადაც იგი მონაწილეობს ევროკავშირის საბჭოს მორიგ სხდომაში.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, მხოლოდ გაეროს მანდატით მოქმედი სამშვიდობო ძალები შეძლებენ ეფექტიანად და ლეგიტიმურად უზრუნველყონ უშიშროება ერაყში. „1483-ე რეზოლუცია (ანტისადამური კოალიციის ქვეყნების მიერ გარდამავალი ადმინისტრაციის შექმნის შესახებ) აშკარად არ არის საკმარისი გაეროს ცენტრალური როლის დამკვიდრებისათვის“, — აღნიშნა ფრანგმა მინისტრმა.

ერაყის შესახებ დოკუმენტში, რომელიც იმავე სხდომაზე მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ, ევროკავშირი მიესალმება ერაყში დროებითი მმართველი საბჭოს შექმნას, რასაც უწოდებს „ერაყელი ხალხის მიერ საერთაშორისოდ აღიარებული და წარმომადგენლობითი მთავრობის შექმნის გზაზე გადადგმულ პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს“.

ევროკავშირის საბჭომ მხარი დაუჭირა გაეროსა და მსოფლიო ბანკის ეგიდით საერთაშორისო ფონდის შექმნის იდეას, რომელიც მიიზიდავს საერთაშორისო დონორების სახსრებს ერაყის აღდგენისათვის. ეს ფონდი უნდა გამოეყოს ამერიკის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შექმნილ ფონდს.

მშვიდობისმყოფელთა უკანასკნელი ეშელონი

სერბეთის კოსოვოს მხრიდან ოთხშაბათს გამოემგზავრა უკანასკნელი სამხედრო ეშელონი, რომლითაც რუსეთში, მუდმივი დისლოკაციის ადგილებს დაუბრუნდა 78 ჯარისკაცი და ოფიცერი, აგრეთვე 30 ერთეულზე მეტი ტექნიკა.

24 ივლისს კი, კოსოვოს მთავარი ქალაქის პრიშტინის მახლობლად მდებარე სლატინის აეროდრომიდან რუსეთისაკენ აიღებს კურსს რუსული სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის უკანასკნელი თვითმფრინავი, რომელიც სამშობლოში დააბრუნებს კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში შემავალი რუსეთის სამხედრო კონტინგენტის მეთაურს, გენერალ-მაიორ ნიკოლოზ კრივენცოვსა და 50 სამხედრო მოსამსახურეს, აგრეთვე სპეცტექნიკას.

„ჩვენ ამ მხარეს ვტოვებთ იმ იმედით, რომ აქ დამყარდება მშვიდობა, მოხდება საზოგადოების დემოკრატიზაცია, — განაცხადა გენერალმა კრივენცოვმა. — ნუ იფიქრებთ, თითქოს რუსები ტოვებდნენ ბალკანეთს — აქ, კოსოვოში, დარჩება 122 რუსი მილიციელი, რომლებიც დაიცავენ მართლწესრიგს ევროკავშირის საპოლიციო მისიის ფარგლებში“.

1999 წლის ზაფხულის დამდეგს, მას შემდეგ, რაც დასრულდა ნატოს მიერ იუგოსლავიის ტერიტორიის თითქმის სამთვიანი დაბომბვა, რუსი მშვიდობისმყოფელები ბოსნიის ქალაქ უგლევიკიდან შეიჭრნენ კოსოვოში და დაიკავეს სლატინის აეროდრომი.

კოსოვოში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის დაბანაკების შემდეგ, შეიქმნა იმის პირობები, რომ ამ მხარეში შესულიყვნენ სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ნატოს წევრი სახელმწიფოების სამშვიდობო ნაწილები. ამის გამო 650 რუსი მშვიდობისმყოფელი იმავე წლის 1 აგვისტოსათვის უნდა გამოეყვანათ კოსოვოდან, ისევე როგორც 320 რუსმა სამხედრო მოსამსახურემ უკვე ივლისის დამდეგისათვის დატოვა ბოსნია და ჰერცეგოვინა.

გაათავისუფლებენ 100 პალესტინელს

ისრაელის ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელების თათბირზე მიიღეს გადაწყვეტილება კიდევ 100-150 პალესტინელი პატიმრის განთავისუფლების შესახებ. ამას იტყობინებოდა ისრაელის რადიო, რომელიც იმოწმებდა თელ-ავივის ოფიციალურ წყაროებს. როგორც ცნობილია, წინათ უკვე მიიღეს გადაწყვეტილება 350 პალესტინელის განთავისუფლების შესახებ.

„ძალოვანთა“ თათბირს ისრაელის თავდაცვის მინისტრი შაულ მოჰაზი უძღვებოდა. მასში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ ისრაელის უშიშროების აპარატის საერთო დაზვერვისა და ისრაელის არმიის სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელები.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამნისტიის კანდიდატების შერჩევისათვის პასუხს აგებს ისრაელის უშიშროების აპარატის საერთო დაზვერვა, რომელიც ასეთ საკითხებში ხელმძღვანელობს რამდენიმე კრიტერიუმით: პოტენციური საფრთხის დონე, რომელიც ისრაელის საზოგადოებას შეუძლია შეუქმნას ამა თუ იმ წინათ მსჯავრდებულმა პალესტინელმა, აგრეთვე იმის ალბათობა, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ განთავისუფლებულმა პირმა კვლავ მოჰკიდოს ხელი ანტიებრაულ საქმიანობას.

პატიმრების საკითხთა სპეციალური კომიტეტი მუშაობას მომავალი კვირის დამლევს განაგრძობს, როცა ვაშინგტონიდან დაბრუნდება ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი. სწორედ იმ დროისათვის არის მოსალოდნელი პატიმრების განთავისუფლებაც.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი კომიტეტის შემადგენლობაში შედიან თავდაცვის მინისტრი შაულ მოფაზი და ისრაელის კაბინეტის კიდევ ოთხი მინისტრი — იუსტიციის მინისტრი ტომი (იოსეფ) ლაპიდი, კეთილდღეობის მინისტრი ზვულუნ ორლევი, ეკოლოგიის მინისტრი ცახი ჰანეგბი და უპორტფელო მინისტრი გიდეონ ეზრა.

პერუს ანდებში იპოვეს 8 ალპინისტის ცხედარი

სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული 8 ალპინისტი დაიღუპა ზღვის დონიდან დაახლოებით 5800 მეტრ სიმაღლეზე ალპამაიოს მწვერვალზე ასვლისას, რომელიც მდებარეობს პერუს დედაქალაქ ლიმიდან 500 კილომეტრზე ჩრდილო-აღმოსავლეთით, ანკაშის დეპარტამენტში.

22 ივლისს დაღუპულთა ცხედრები ადგილობრივმა მცხოვრებმა იპოვა, რომელმაც მომხდარი ტრაგედიის შესახებ ტელეფონით აცნობა უახლოეს სპორტულ ბაზას.

ჯგუფში შემავალი ალპინისტებიდან ოთხი იყო გერმანიის მოქალაქე, ორი — ისრაელის, ერთი — ჰოლანდიის და ერთიც — არგენტინის. მათ თითქმის უკვე მიაღწიეს მწვერვალს, როცა თავზე დაეცათ მთიდან მოწყვეტილი ყინულის კარნიზი. ვარაუდობენ, რომ ეს ტრაგიკული ინციდენტი გასულ ორშაბათს მოხდა.

6210 მეტრი სიმაღლის ალპამაიოს მთას, რომელსაც იდეალური პირამიდის ფორმა აქვს, „მსოფლიოში ულამაზესი დათოვლილი მწვერვალი“ შეარქვეს ალპინისტებმა და მის დასაპყრობად ყოველწლიურად ჩამოდიან სპორტსმენები ყველა კონტინენტიდან.

ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად აფიქსირებს უბედურ შემთხვევებს ალპამაიოზე ასვლის დროს, რადგან იგი ერთ-ერთ ყველაზე რთულად დასაპყრობ მწვერვალად ითვლება. უმეტეს შემთხვევაში უცხოელი ალპინისტები იღუპებიან, აღნიშნავს პერუს პოლიცია.

საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა 45 კაცი

მადაგასკარში მომხდარი დიდი საავტომობილო კატასტროფის შედეგად დაიღუპა 45 კაცი და 38 — დაშავდა. სატვირთო ავტომობილი, რომლითაც ისინი მგზავრობდნენ, გადაიჩეხა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ქალაქ დეტროტის მახლობლად მდებარე ხეობაში.

დაღუპულთა და დაშავებულთა უმრავლესობა წვრილი ვაჭრები არიან, რომლებიც მთელ ქვეყანაში დაატარებენ საქონელს და ყიდიან მას სოფლის ბაზრებში. ეს განაცხადეს სამშაბათს ჰოსპიტალის ექიმებმა, რომელშიც მოათავსეს დაშავებულები.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა **ზაზა ბეჟანიძემ.**

საქართველოში პირველად

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტი

გთავაზობთ

ჟურნალისტის პროფესიის დაუფლებას ევროპული სტანდარტების დონეზე შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკისა“** და ტელეკომპანია **„იმედის“** ბაზებზე.

გეძლევათ უნიკალური შანსი

პარალელურად დაეუფლოთ **მეორე** პროფესიას

- პროგრამის წამყვანი და სარეჟისორო ხელოვნება
- საზოგადოებასთან ურთიერთობები
- პოლიტოლოგია-კონფლიქტოლოგია
- სამართალმცოდნეობა
- ქართულ-ევროპული ფილოლოგია
- ტურიზმი
- ეკოლოგია
- ეკონომიკური ურთიერთობები

და სწავლა განაგრძოთ **ერთწლიან მაგისტრატურაში.**

გათვალისწინებულია **შეღავათები, სტიპენდიები და დასაქმება.**

ფუნქციონირებს **კოლეჯი და ფილიალები**

ოზურგეთში; სამტრედიაში; ზუგდიდში.

საბუთები მიიღება 25 ივლისამდე.
მ. კოსტავას ქ. 14,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
IV სართული, ოთახი 19.

ტელ: 93-35-99;
93-26-99; 38-94-33; 899 24-18-86; 899 17-21-21.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 194. ხუთშაბათი, 24 ივლისი, 2003 წელი.

კრიმინალი

კიდევ ორი პოლიციელი დაიღუპა

23 ივლისს, დილის 5 საათზე, ტრაგედია დატრიალდა გორის რაიონის სოფელ მუმლაანთკარში. რაიონის პოლიციას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ სახლში ინახებოდა ცეცხლსასროლი იარაღი. მის ამოსაღებად ადგილზე მივიდა პოლიციის ოპერატიული ჯგუფი. რომელსაც ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა იმ შენობაში ჩასაფრებულმა ცხინვალის მკვიდრმა, ნასამართლევმა, ქართულ-ოსური კრიმინალური დაჯგუფებების წევრმა ნოდარ ბიჩინოვმა. მას თვით ცხინვალის სამართალდამცველები ეძებენ ორი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

კრიმინალის ნასროლი ტყვიით ადგილზე დაიღუპნენ უბნის ინსპექტორები, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტები კახა აბულაძე და თენგიზ ელუაშვილი, მძიმედ დაიჭრნენ მეჯვრისხევის პოლიციის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ინსპექტორი, პოლიციის ლეიტენანტი რევაზ ქარელი და გორის რაიონის შს განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი გელა ცალქალამანიძე (კრიმინალებთან დაპირისპირებისას იგი აქამდეც რამდენჯერმე იყო დაჭრილი). ბოროტმოქმედმა ვერ შეძლო მიმალვა. საპასუხო სროლით ნოდარ ბიჩინოვი ადგილზე დაიღუპა.

შს სამინისტრო და შიდა ქართლის სამხარეო პოლიცია ამ ბოლო დროს ინტენსიურად ახორციელებენ ღონისძიებებს კრიმინალური დაჯგუფებების ხელში მოხვედრილი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ამოსაღებად.

17 ივლისს შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს, თბილისის შს მთავარი სამმართველოსა და მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული სპეცოპერაციის შედეგად თბილისში, ე. წ. „ჭრელი აბანოების“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს გორის რაიონის სოფელ ქორდში მცხოვრები, ნასამართლევი გიორგი ჯალაბაძე, მეტსახელად „გივი“, რომლისგანაც ამოიღეს უნომრო რევოლვერი „ნაგანი“ 6 ვაზნით, ხოლო ჯალაბაძის ავტომანქანის („აუდი-8“) საბარგულიდან ამოღებულია 2 ცალი ხელყუმბარა „ფ“-1 საბრძოლო მდგომარეობაში. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას აწარმოებს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი.

18 ივლისს შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის სამმართველოს, შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოსა და თბილისის შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად დააკავეს ე. წ. ერედვის საძმოს წევრი, ქურდული ტრადიციების მატარებელი, გორის რაიონის სოფელ ბელუთში მცხოვრები, ნასამართლევი კახა ბერუაშვილი, რომლის სახლიდან ამოიღეს ნომერწაშლილი ავტომატი „აკმ“ ერთი მჭიდითა და ერთი ვაზნით, უცხოური უნომრო პისტოლეტი ერთი მჭიდით, 6 ვაზნით და 11 სხვადასხვა ვაზნა. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის სამხარეო სამსახური.

აღმოჩნდა, რომ ჯალაბაძეცა და მაისურაძეც იყვნენ ამას წინათ დაკავებული ადამიანთა გამტაცებლების იმ ორგანიზებული ჯგუფის წევრები, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი ცხინვალელი კრიმინალი-სპეცრაზმელი ალან ძიგოევი.

21 ივლისს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს, თბილისის შს მთავარი სამმართველოს, შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ იარაღის უკანონოდ შენახვისათვის დაკავებულმა აკაკი მაისურაძემ იარაღის უკანონოდ ტარებისათვის დაკავებულ გიორგი ჯალაბაძესთან, ამჟამად დაკავებულ ადამიანის გამტაცებელთა ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფის მეთაურთან ალან ძიგოევთან, აწ გარდაცვლილ მურმან ბერუაშვილთან (მეტსახელად „მურიკა“) და მიმალვაში მყოფ, ცხინვალში ლენინის ქ. №14-ში მცხოვრებ მიშა ზასაევთან, ოსტროვსკის ქ. №67-ში მცხოვრებ ხოხიკ თედეევთან და კვაისის ქ. №132-ში მცხოვრებ ალან კოკოევთან ერთად 2002 წლის 23 აგვისტოს შუადამისას ქარელის რაიონის სოფელ რუისთან ავტომანქანის დაუფლების მიზნით ყაჩაღურად თავს დაესხნა თბილისში, ლერმონტოვის ქ. №9-ში მცხოვრებ, გოჩა იოსებაშვილს და მის მგზავრს ლალი მეკანულოვას. ბოროტმოქმედებმა ავტომატური იარაღიდან მრავალჯერადი გასროლით ადგილზე მოკლეს იოსებაშვილი.

კრიმინალთა თარეშის აღსაკვეთად ძალ-ღონეს არ იშურებს პოლიცია. დასანანია მხოლოდ ის, რომ ამ ძნელ ბრძოლას გუშინ კიდევ ორი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა.

ვალერიან გოგოლაშვილი.

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს ახალციხის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 125 ლარი);
2. სასამართლო სხდომის მდივანი – 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 100 ლარი);
3. კანცელარიის გამგე (მთავარი სპეციალისტი) – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 105 ლარი);
4. წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 80 ლარი).

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

მოსამართლის თანაშემწის თანამდებობაზე:

– კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირს, რომელსაც, როგორც წესი, გავლილი აქვს სასწავლო კურსი სამოსამართლო სწავლების ცენტრში, ან აქვს მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად, აგრეთვე, ადვოკატად მუშაობის ერთი წლის გამოცდილება, ან საქართველოს უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი (უმაღლესი) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა:

სასამართლო სხდომის მდივნის თანამდებობაზე:

– კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც, როგორც წესი, გავლილი აქვს სასწავლო კურსი სამოსამართლეო სწავლების ცენტრში ან აქვს სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.

კანცელარიის გამგის (მთავარი სპეციალისტი) თანამდებობაზე:

– უმაღლესი იურიდიული განათლება;
– საწმისწარმოების ნორმების ცოდნა.

წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:

– უმაღლესი იურიდიული განათლება;
– საქმისწარმოების ნორმების ცოდნა.

კონკურსს ატარებს ახალციხის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ახალციხის რაიონულ სასამართლოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №64. ტელეფონი: 2-14-27. ახალციხის რაიონული სასამართლო.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს ახალციხის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 125 ლარი);
2. სასამართლო სხდომის მდივანი – 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 100 ლარი);
3. კანცელარიის გამგე (მთავარი სპეციალისტი) – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 105 ლარი);
4. წამყვანი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 80 ლარი).

კონკურსის პირობები:.

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის – 21-დან 65 წლამდე.

წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;

კონკურსს ატარებს ახალციხის რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ახალციხის რაიონულ სასამართლოში უნდა წარმოადგინონ წერილობით განცხადებასთან ერთად შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;

საბუთები მიიღება ორი კვირის განმავლობაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე:

ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №64, ტელეფონი: 2-14-27.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.

ხუთშაბათი
24 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტან და იზოლდა" 10.15 მხ. ფილმი **"შავი მჭედარი"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.05 დოკ. სერიალი "ტექნოპოლისი" 14.00 სერიალი **"ქალთა სავანე"** 15.15 მხ. ფილმი **"ბაში ცალი ხელით"** 16.45 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 17.00 შემეცნებითი ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.25 თბილისი და თბილისელები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "ევროპის ბუნება" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 ჰოლივუდის ვარსკვლავები 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 22.05 საქართველო არის ესე 22.35 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 23.00 "რა ხდება!" 00.00 მხ. ფილმი **"ნაფიცმარზე"**.

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 სერიალი **"რევოფესა"** 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 მხ. ფილმი **"ქალი კამელიებით"**

07.00 დილა მშვიდობისა 07.30 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 09.40 სერიალი **"ასულ ტაკილა"** 10.20 დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" 11.10 სერიალი **"კომისარი მონტალბანო"** 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მოურჯულებელი პილდა"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი **"ასულ ტაკილა"** 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 18.50 სერიალი **"მაშველები"** 19.40 სერიალი **"მოურჯულებელი პილდა"** 22.00 სერიალი **"შავი ზეცა"** 22.50 ღამის კურიერი 00.10 სერიალი **"სექსი დიდ ქალაქში"** 00.40 მხ.ფილმი **"დაცინვა"**. მთ. რ-ში: ფანი არდანი, ჟან როშფორი.

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი **"უცნობი ქალის საიდუმლო"** 1-ლი ნ. 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10 დოკ. სერიალი "ექსპედიცია" 14.50, 17.20, 17.30, 21.55, 23.30, 00.50, 01.55 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი **"უცნობი ქალის საიდუმლო"** მე-2 ნ. 17.30, 18.00 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 19.30 კონცერტი 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმ.) 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. **"განგსტერები"** 00.55 მხ.ფილმი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა 09.05, 13.15, 17.20, 01.35 იმედის მელოდიები 09.30 სერიალი **"იუდას ქალი"** 10.30 არტ-ბულვარი 11.00 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" 12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 სერიალი **"ექიმი მარტა და მისი პაციენტები"** 13.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 14.05 სერიალი **"გაუჩინარების ილუზია"** 15.15 მხ. ფილმი **"ჯეკ ნაიფი"** 17.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 18.05 სერიალი **"იუდას ქალი"** 19.30 სერიალი **"ექიმი მარტა და მისი პაციენტები"** 20.30 სპ. პროგრამა "ესტაფეტა" 21.05 სერიალი **"გაუჩინარების ილუზია"** 23.00 სერიალი **"ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები"** 23.55 კინოვარსკვლავთა ღამე **"შურისმაძიებელი ანგელოზები"**

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი **"მარია ემილია"** 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" 19.00 სერიალი **"მარია ემილია"** 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი **"წვეულებათა ხელმწიფე"** 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი **"უკანასკნელი მოჰიკანი"**

12.00 მხ. ფილმი **"ჭიანჭველები შარვალში"** 13.30 მხ.ფილმი **"ჩიხში"** 15.00 მხ. ფილმი **"უფსკრული"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ ფილმი **"ზაზუნას დღე"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"დიდი ბიზნესი"** 22.30 მხ. ფილმი **"ვასაბი"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00, 21.30 სალონი 13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "სპორტის სამყარო" 20.30 მულტფილმი 21.00 "ვესტი" 21.30 საბ. სატ. ფილმი "განძის მაძიებელნი" 23.35 ტელესერიალი **"ყავახანა"** 23.50 მხ. ფილმი **"თეთრი კაგა-2"**

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი **"მაიმუნის ქალი"** მთ. რ-ში ბრენდან ფრეიზერი, ბრიჯეტ ფონდა. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 მუსიკა 23.00 აბა გამოიცანი მელოდია 00.00 "ბრავო" **"დამიჭირე, თუ შეგიძლია"** მთ. რ-ში ლეონარდო დი კაპრიო, ტომ ჰენკსი. 02.00 "ღამურა" **"მანამდე და შემდეგ"** მთ. რ-ში მერილ სტრიპი, ლიამ ნისონი. 03.45 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" 10.00 სერიალი **"ჯონ როსი"** 10.40 მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" 11.00 სერიალი **"ქალი პოლიციელი"** 12.00 კლასიკური მუსიკა 12.10 მხ. ფილმი **"მოვკვდებით ერთად"** 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 დოკ. სერიალი "კუდიანი ამბები" 15.15, 18.50, 19.50 მუსიკა 15.30 სერიალი **"ციებ-ცხელება"** 16.30 დოკ. სერიალი "ღმერთების ეტლები" 1-ლი ნ. 17.50 მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები"-ძეგლი 18.05 სერიალი **"ჯონ როსი"** 18.25 მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" 19.00 სერიალი **"პოლიციელი ქალი"** 20.00 დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" 21.15 სერიალი **"ციებ-ცხელება"** 22.00 გადაცემა "ყვითელი კვადრატი". 22.25 ტელემეტრი 22.50 მოკლ. მხ. ფილმი **"გამქვავა ანგაიდან"**. 23.20 "ცხელი ცხრიანი" 00.20 რუს. მხ. ფილმი **"ალთუ და თოხანი"**.

პარასკევი
25 ივლისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ტრისტან და იზოლდა" 10.10 მხ. ფილმი **"ნაფიცმარზე"** 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 13.00 დოკ. სერიალი "ტექნოპოლისი" 14.00 სერიალი **"ქალთა სავანე"** 15.15 მხ. ფილმი **"დიანა - გულის დედოფალი"** 16.50 "კოლეჯის ერთი უჩვეულო დღე" 17.20 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 დოკ. სერიალი "ევროპის ბუნება" 18.35 ბასტი-ბუბუ 18.55 ჰოლივუდის ვარსკვლავები 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 მაგთიტრონი 21.15 ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** 22.05 მრავალსახეობა 22.35 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 23.00 "რა ხდება!" 00.00 მხ. ფილმი **"სიკვდილის მიზეზი"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"რევოფესა"** 20.30 საქართველო არის ესე 21.00 ენერგია 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 მხ. ფილმი **"ვაჟიშვილის ფიცი"**

07.00 დილა მშვიდობისა 07.30 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 სერიალი **"ასულ ტაკილა"** 10.20 დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" 11.10 სერიალი **"შავი ზეცა"** 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მოურჯულებელი პილდა"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.30 სერიალი **"ასულ ტაკილა"** 18.00, 21.00, 03.10 კურიერი 18.20 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 18.50 სერიალი **"მაშველები"** 19.40 სერიალი **"მოურჯულებელი პილდა"** 22.00 სერიალი **"სოპრანოს კლანი"** 22.50 ღამის კურიერი 00.10 მხ.ფილმი **"ტომას კრაუნის თაღლითობა"**. მთ. რ-ში: პირს ბროსნანი, რენე რუსო. 03.30 მხ.ფილმი **"არასაბავშვო კინო"**. მთ. რ-ში: ჰეიდი ანდროლი, ჩაილერ ლი.

08.00 ანონსი, ალსავალი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი **"განგსტერები"** 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. სერიალი 15.15 მხ.ფ. **"ოჰ, ეს მშვენიერი ნიმფები"** 17.20, 17.50, 21.55, 23.30 მუსიკა 17.30 დოკ. სერიალი 18.45, 19.45 მუსიკა 20.00 მხ. ფილმი **"უკანასკნელ მომენტში"** 22.15, 23.00 დიალოგი 00.55 მხ. ფილმი **"მხედარი გვიახლოვდება"** 02.10 ღამის ფილმი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა 09.05, 13.15, 17.20 იმედის მელოდიები 09.30 სერიალი **"იუდას ქალი"** 10.30 სპ. პროგრამა "ასი" 11.05 თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" 12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 სერიალი **"ექიმი მარტა და მისი პაციენტები"** 13.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 14.05 სერიალი **"გაუჩინარების ილუზია"** 15.15 მხ. ფილმი **"ფეირვერკი"** 17.30 "მულამები" 18.05 სერიალი **"იუდას ქალი"** 19.30 სერიალი **"ექიმი მარტა და მისი პაციენტები"** 20.30 ლარის მახე 21.05 სერიალი **"გაუჩინარების ილუზია"** 22.55 თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" 23.55 სერიალი **"ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები"** 00.50 არტ-ფილმი **"იმპერატორი და მკვლელი"**.

09.00 "ღამის მზერა" (გან) 10.00 სერიალი **"მარია ემილია"** 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" 19.00 სერიალი **"მარია ემილია"** 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი **"მატყუარა, მატყუარა"** 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი **"მოჩვენება"**

12.00 მხ. ფილმი **"დიდი ბიზნესი"** 13.30 მხ.ფილმი **"ვასაბი"** 15.00 მხ.ფილმი **"მარტოხელა გმირი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"უკანასკნელი მოჰიკანი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"ფლაბერი"** 22.30 მხ. ფილმი **"ოცნების ზღვარი"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 სალონი 13.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.30 დოკ. ფილმი საქართველოზე 15.00, 21.00 ვესტი 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "ხვალ" 20.30 "მომავალი" 21.00 "ვესტი" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 "გამარჯობა" 23.15 მუსიკალური პაუზა 23.30 ტელესერიალი **"ყავახანა"** 23.45 მხ. ფილმი **"გრძელი ღამე"** (ირანი)

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი **"სამრეცხაო"** მთ. რ-ში დოქტორ დრე, სნუპ დოგი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხ. მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 სოლო 00.00 "ბრავო" **"დიჩვის დღე"** მთ. რ-ში მორიც ბლიაბტროი. 02.15 "ღამურა" **"ის რაღაც"**. მთ. რ-ში გარი ანდერსონი, დენის კრისტოფერი. 03.45 პაუზის გარეშე

08.00 პროგრამა "დილა" 10.00 სერიალი **"ჯონ როსი"** 10.30 მულტსერიალი "სიმბა - მეფე ლომი" 11.00 მხ. სერიალი **"პოლიციელი ქალი"** 11.55 "ცხელი ცხრიანი" 12.40 მხ. ფილმი **"ალთუ და თოხანი"** 14.15 "ტელემეტრი" 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" 15.20, 16.20, 17.20, 19.50, 22.10 მუსიკა 15.30 სერიალი **"ციებ-ცხელება"** 16.30 დოკ. სერიალი "ღმერთების ეტლები" 17.50 "ერთი ნივთის ისტორია" 18.05 სერიალი **"ჯონ როსი"** 18.25 მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" 19.00 სერიალი **"პოლიციელი ქალი"** 20.00 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" 21.15 სერიალი **"ციებ-ცხელება"** 22.00 "ღამის მატარებელი" 00.20 მხ. ფილმი **"ანგელოზები აქ არ ცხოვრობენ"**.

შაბათი
26 ივლისი

08.00, 15.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"სიკვდილის მიზეზი"** 09.50 კონცერტი – ანსამბლი "იმედი" 10.25 მხ. ფილმი **"გაუჩინარება აღმოსავლეთის ექსპრესში"** 12.25 იაპონური ზღაპრები (სტუდია "ბერიკები") 13.00 მეტრო 13.35 კვალი 14.05 ზღვარი 14.25 საქართველო, დრო, მოვლენები 15.00 "მოამბე" 15.15 მხ. ფილმი **"მე თქვენ მიყვარხართ"** 17.00 საწინდარი 17.30 მულტსერიალი "ტრისტან და იზოლდა" 18.00 "ვესტნიკი" 18.45 "თბილისის დროით" 19.05 ენერგია 19.35 ჰოლივუდის ვარსკვლავები 20.00 ცაიტნოტი 21.10 სერიალი **"სასახლე მხეში"** 1-ლი ს. 22.00 პროფათეული 22.30 კონცერტი 00.00 მოამბე 00.15 მხ. ფილმი **"შანხაის სიურპრიზი"**

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი **"ზღვის ქალბატონები"** 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი "ლითურგია მე-20 საუკუნის საქართველოზე" 21.30 წარსულის ტერიტორია 22.00 მხ. ფილმი **"ერთი ეპიზოდი პოლიციელის ცხოვრებიდან"**

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 ფიფქია 09.50 ცხოველთა ომები 10.20 საბ.ფილმი "ნაითმენი" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 დოკ. სერიალი "ველური სამყაროს ამბები" 17.40 სერიალი **"კოლომბო"** 18.00, 02.00 კურიერი 18.20 სერიალი **"კოლომბო"** 19.35 დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" 20.05 სერიალი **"მეწამული ყვავილი"** 21.00 **კურიერი** P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 **ფსიქო**. მხ.ფ. **"როგორც სარკეში"** რეჟ: ინგმარ ბერგმანი. 02.20 მხ.ფილმი **"13 მოჩვენება"**. მთ. რ-ში: ტონი შალხუბი, ემბეტ დავიდსი.

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი **"უკანასკნელ მომენტში"** 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10 დოკ. სერიალი 15.15 მხ. ფილმი **"მხედარი გვიახლოვდება"** 17.20, 18.30, 21.55, 01.00 მუსიკა 18.00, 19.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 21.00 დოკ. ფილმი 23.30 მხ. ფილმი **"პელოტინი"** 01.30 მხ. ფილმი **"გაუჩინარების ათვლა"**

09.00 ქრონიკა 09.05, 13.40, 23.30 იმედის მელოდიები 10.20 ანიმაციური სერიალი "მითიური მეომრები"მე-13 ს. 10.55 მხ. ფილმი **"გოგონები"** 12.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00 ქრონიკა 13.15 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 13.50 თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" 15.10 რეტროსკოპი **"ესპანეთის მიწა"** 17.15 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" 18.00 ერთხელ ჰოლივუდში 18.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 19.30 სერიალი **"ყველაფერი იმ ღამის შესახებ"** მე-3 ს. 21.05 ქართ. სერიალი **"მგლების ხროვაში"** მე-6 ს. 22.45 "საღამოს ღიმილი" 23.00 "კლიპ-ლოტო" 00.30 მხ. ფილმი **"ინტიმი"**.

09.00 მულტფილმი "ანასტასია" 10.40 მხ. ფილმი **"ჯაშუშთა შვილები"** 12.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.10 საბავშვო სერიალი **"არაბული ღამეები"** 18.05 სერიალი **"ფანტაზიების კუნძული"** 19.00 სერიალი **"კონან დოილის ქრონიკები"** 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.30 მხ. ფილმი **"ზაზუნას დღე"** 22.30 მხ. ფილმი **"სიჩქარე"** 01.00 მზის სერენადა.

12.00 მხ. ფილმი **"ფლაბერი"** 13.30 მხ. ფილმი **"ოცნების ზღვარი"** 15.00 მხ.ფილმი **"იურული პერიოდის პარკი"** 17.00 მხ. ფილმი **"ვერტიკალური ზღვარი"** 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი **"რაშია საქმე დოკ"** 22.30 მხ. ფილმი **"9 იარდი"** 00.20 მხ. ფილმი **"მემკვიდრეობა"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 სალონი 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება 16.00 ლაბირინთი 17.00 მუსიკალური პაუზა 17.30 თქვენი ადვოკატი 18.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 20.00 თინეიჯერი 21.30 "ზერკალო" 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 ტელესერიალი **"ყავახანა"** 23.45 მხ. ფილმი **"ბრძოლა ველზე"** (არაბეთი)

09.00 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ფილმი 15.00 მუსიკა 16.00 ფილმი **"უარესი არ არსებობს"** მთ. რ-ში ალისია სილვერსტოუნი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 19.50, 20.15 სველი ხაზი 21.15 ქართული მუსათეული 22.35 კვირის საუკ. ლექსები 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 "ბრავო" **"ჰალკი"** მთ. რ-ში ერიკ ბანა, ჯენიფერ კონელი. 01.50 "ღამურა" **"ქალაქური ლეგენდები"**. მთ. რ-ში ალისია უიტი, რებეკა გეიჰარდი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30 მულტფილმი "მხიარული მელოდიები" 09.55, 12.20, 16.15, 17.50, 18.50 მუსიკა 10.00 სერიალი **"ჯონ როსი"** 10.25 მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" 11.00 სერიალი **"პოლიციელი ქალი"** 11.55 დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" 12.40 მხ. ფილმი **"ანგელოზები აქ არ ცხოვრობენ"** 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 "ყვითელი კვადრატი" 15.15 "ერთი ნივთის ისტორია" 15.30 სერიალი **"ციებ-ცხელება"** 16.30 დოკ. სერიალი "ღმერთების ეტლები" 18.05 სერიალი **"ჯონ როსი"** 18.25 მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" 19.00 "საუბრები სტუდიაში" 20.00 დოკ. სერიალი "ფაქტზე დაჭერა" მე-9ს. 21.15 ფილმი-კონცერტი "შერილ ქროუ როკ-ვარსკვლავი" 22.15 ტელემეტრი 22.30 გადაცემა "ოლიმპი" 23.00 მოკლ.მხ.ფილმი **"ჩემი მეზობელი გოგონა"** 23.20 "ცხელი ცხრიანი" 00.20 მხ. ფილმი **"გაქრობა"**.

კვირა
27 ივლისი

08.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"შანხაის სიურპრიზი"** 09.50 დოკ. ფილმი "ბიოლოგიური მრავალფეროვნება" 10.45 ამბები ჩვენზე 11.15 "ტვ-ლოტო" 12.00 პრესსტუდია 12.50 მხ. ფილმი **"იშვიათი ფრინველები"** 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.20 სპექტაკლი **"მარტოობის ბინადარი"** 16.20 გერმანულ-ქართული კლასიკ. მუსიკის ფესტივალი (გალა-კონცერტი) 17.15 მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" 17.35 ეძიე ქალი 18.00 ტაიმ-აუტი 18.15 საკვირაო გამოფენა 18.30 ჰოლივუდის ვარსკვლავები 18.55 ეკოდაიჯესტი 19.25 ჩვენი მისამართია 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 მუსიკალური ოქტაგონი 21.45 შორეული ახლობელი 22.30 მელომანია 23.00 საქ. კინოდარბაზი – დოკ. ფილმი "ანა კალანდაძე" 00.00 ტაიმ-აუტი 00.35 მხ. ფილმი **"აფრიკელი"**.

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 მრავალსახეობა 20.30 რამდენიმე სურათი პორტრეტისთვის 21.00 დოკ. ფილმი 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი **"დიდ-იე"**.

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 ფიფქია 09.50 ცხოველთა ომები 10.20 საბ.ფილმი "ნაითმენი" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.10 სერიალი **"კოლომბო"** 18.00, 00.00 კურიერი 18.20 სერიალი **"კოლომბო"** 19.00 მხ. ფილმი 21.00 კურიერი 21.45 ჩვენი ეზო 22.00 "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"შეიარაღებული რაზმი"** 877 45-79-25 სტივენ ბოლდუინი, ბილი ზეინი, **"ბედნიერი ქორწილი"** 877 45-79-26, სოფი მარსო, **"უბრალო ამბავი"** 877 45-79-27 რომი შნაიდერი, ბრუნო კრემერი. 00.10 მხ.ფილმი **"სასტიკი თამაში"**. მთ. რ-ში: უორესტ უიტაკერი, მირანდა რიჩარდსონი.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი **"პელოტინი"** 10.20 მულტფილმი 10.50 მხ. ფილმი **"გაუჩინარების ათვლა"** 12.30 გადაცემა - მურადა (განმ.) 17.00 ოპერა 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"ერთხელ ამერიკაში"** 1-ლი ს. 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ. ფილმი **"ერთხელ ამერიკაში"** მე-2 ს. 01.00 ღამის ფილმი

08.55 ქრონიკა 09.05, 16.40, 18.00, 02.50 იმედის მელოდიები 10.20 ანიმაციური სერიალი "მითიური მეგობრები" 10.50 სერიალი **"ყველაფერი იმ ღამის შესახებ"** მე-3 ს. 12.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 13.00, 15.00, 16.45, 19.00, 21.00, 22.00 ქრონიკა 13.15 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 13.40 თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" 14.30 სპორტ. პროგრამა "ასი" 15.15 ქართ. ფილმი **"პირთხა"** 16.45 "საღამოს ღიმილი" 17.15 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" 18.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 19.30 სერიალი **"იმპერია ნოუზლ პაუზი"** მე-3 ს. 20.30 X-კლუზივი 21.05 ქართ. სერიალი **"მგლების ხროვაში"** მე-7 ს. 22.45 მულამები 23.10 კონცერტი – ტრიო "თბილისი" 00.25 მხ. ფილმი **"შერლოკ ჰოლმსი"**. **"აგრის კუნძული"** 03.00 ქრონიკა.

09.00 მულტფილმი "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" 10.35 მხ. ფილმი **"ტაქსი 2"** 12.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 17.10 საბავშვო სერიალი **"20000 ლიე წყალქვეშ"** 18.05 სერიალი **"ფანტაზიების კუნძული"** 19.00 სერიალი **"კონან დოილის ქრონიკები"** 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.30 მხ. ფილმი **"სახლი თურქეთის ქუჩაზე"** 22.30 მხ. ფილმი **"მულენ რუჟი"** 01.00 მზის სერენადა. Arth, Wind and Ire.

12.00 მხ. ფილმი **"რაშია საქმე დოკ"** 13.30 მხ. ფილმი **"9 იარდი"** 15.00 მხ. ფილმი **"იურული პერიოდის პარკი-2"** 17.00 მხ. ფილმი **"საჰაერო ციხე"** 19.00 ინდ. მხ. ფილმი **"წვიმის სეზონი"** 22.00 მხ. ფილმი **"გატაცება 60 წამში"** 00.10 მხ. ფილმი **"საყვარელი"**.

11.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.35 თბილისური ოჯახები 14.00 ძველი ინდური კინო **"ოცნებების გამყიდველი"** 16.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 19.00 კითხვების კორიანტელი 19.20 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 შეხვედრა ვარსვლავთან 20.20 მოგზაურობა ბავშვობაში 20.40 თავისუფალი მიკროფონი 20.50 თქვენი აზრით 21.00 "კვირის ვესტი" 22.00 "იდენ-ტვ" 22.30 საოცარი პირამიდა 23.30 ტელესერიალი **"ყავახანა"** 23.45 მხ. ფილმი **"მზე მოღრუბლულ დღეს"** (სირია)

09.00 მუსიკა 10.00 ტოროლა 13.00 ფილმი 15.00 მუსიკა 16.00 ფილმი **"უბრალოდ ბევერლი-ჰილზისკენ"** მთ. რ-ში რიჩარდ დრეიფუსი, ბეტ მიდლერი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 უცხ. მუსათეული 22.30 პროფათეული 22.55 მუსიკა 23.15 სოლო 00.00 "ბრავო" **"მარტოხელა"** მთ.რ-ში ვინ დიზელი, ლორენც ტეიტი. 01.40 "ღამურა" **"ქალაქური ლეგენდები-2"** მთ.რ-ში ჯენიფერ მორისონი, მეთიუ დევისი. 03.45 პაუზის გარეშე

09.30 მულტფილმი "მხიარული მელოდიები" 09.55, 19.15, 20.15, 22.15, 00.20 მუსიკა 10.00 სერიალი **"ჯონ როსი"** 10.25 მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" 11.00 "საუბრები სტუდიაში" 12.00 "ცხელი ცხრიანი" 12.50 მხ. ფილმი **"გაქრობა"** 14.15 "ტელემეტრი" 14.30 "ოლიმპი" 15.15 დოკ. ფილმი "უბრალოდ ჰიჩკოკი" 16.35 მხ. ფილმი **"ჩინური კვარტალი"** 19.00 "ბელისიმო" 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 "ოსტატები" - 20.15 "ჩემი ქვეყანა" 20.40 რუს. სერიალი **"რუსი ამორძალები"** მე-6 ს. 22.00 მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "არსენა" 22.30 მხ. ფილმი **"რობერტი და კლარა"** 00.20 მხ. ფილმი **"გუშინ, დღეს, ხვალ"**.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ტელეკომპანია „იმედი“ გთავაზობთ

სატელევიზიო თოქშოუ „არჩევანი — თქვენ“

„თავისუფლება არჩევანის შესაძლებლობებით განისაზღვრება. ადამიანის ცხოვრებაც განუწყვეტელი არჩევანის გზით და ფორმით მდინარებს. არჩევანს ახლავს განსჯა. განსჯას კი პასუხისმგებლობა. ეს ყოველივე ნების გამოვლინებაცაა“.

ჯანრი კაშია.

არჩევანის საშუალება ყოველთვის გვაქვს, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში ადვილი არჩევანი არ არსებობს, — ასეთია ყოველკვირეული თოქშოუს **„არჩევანი — თქვენ“** დედააზრი, ეს არის პირველი თოქშოუ საქართველოში, რომელიც ზნეობრივ საკითხებს ეხება. ავტორი და მასპინძელია — ფილოსოფოსი, მწერალი და ჟურნალისტი **ჯანრი კაშია,** რომელიც სტუდიაში მოწვეულ აუდიტორიას სთავაზობს ცხოვრებისეულ მძაფრი ფსიქოლოგიური და ზნეობრივი კოლიზიის შემცველ კინოთემას, რომელიც გმირს აუცილებელი არჩევანის წინაშე აყენებს. კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი დილემა დღევანდელობის ყველაზე მტკივნეულ სოციალურ და კულტურულ პრობლემებს ეხმიანება. სწორედ ეს თემატური კოლიზია ხდება ის საბაბი, რომელიც საინტერესო მსჯელობას, ცხარე კამათსა და დაძაბულ დისკუსიას იწვევს სტუდიაში, ტელემაყურებელს კი ზნეობრივ, ყოფით და ეთიკურ პრობლემებზე ფიქრისთვის განაწყობს.

ავტორი და მასპინძელი — ჯანრი კაშია.
პროგრამის ხელმძღვანელი — ქეთევან კაპანაძე.
რედაქტორი — თამარ ებრალიძე.

ხასიათი

შრომა ყოველთვის სიხარულს გჩუქნის

უცხო ადამიანი თუ მოუსმენს ჯემალ გურულის იუმორით შეფერილი დაბალი ხმით საუბარს, შესაძლოა, ისეთი აზრი გაუჩნდეს, რომ ამ კაცის ცხოვრების გზა სულ ფიანდაზებით ყოფილა მოფენილი.

ვერ დაძრახავ ასეთი დასკვნისათვის, რადგან იგი ყველაფერს ისე წარმოადგენს, თითქოს ყოველდღიური დაუღალავი და ხშირად სიძნელეებით აღსავსე საქმიანობის ნაცვლად ერთთავად სულ ანეკდოტური სიტუაციის პერსონაჟებთან ჰქონოდა ურთიერთობა. მოყოლაც ისეთი ოსტატური იცის, მსმენელების ხარხარი ჭერს აზანზარებს, თვითონ კი ოდნავ თუ გაიღიმებს დროდადრო.

ალბათ, ეს ღვთისგან მომადლებული იუმორის ნიჭი რომ არა, ვერც შეძლებდა იმ უამრავი ცხოვრებისეული სიძნელის დაძლევას, რომლებთან ჭიდილშიც კრიალოსანივით შეუმჩნევლად ჩამოიმარცვლა 65 წელიწადი.

ჭიათურის რაიონის სოფელ წირქვალში დაბადებული ყმაწვილი უკვე ითვლებოდა მიწის წიაღში მომუშავე მაღაროელების რეზერვად.

ასეც მოხდა, სკოლა დაამთავრა თუ არა, მაშინვე დაიწყო მუშაობა საქვეყნოდ ცნობილ ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოში. ახალგაზრდობაშივე ბევრ მუშურ პროფესიას გაუგო გემო და მემთამადნის ურთულესი და არცთუ უსაფრთხო საქმეც საბოლოოდ გაითავისა. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შესვლისას დილხანს არ უფიქრია, მაშინვე სამთო ფაკულტეტს მიაშურა და ხუთი წლის შემდეგ უკვე ინჟინრის დიპლომით დაუბრუნდა მშობლიურ ჭიათურას.

ვოროშილოვის სახელობის მაღაროთა სამმართველოში რომ აირჩიეს კომკავშირის კომიტეტის მდივნად, შინ მოსვლა მეტისმეტად დაუძვირდა და ყველაზე მეტად ბავშვების ტიტინი მოენატრა, რადგანაც სამუშაოზე წასვლისასაც და დაბრუნებისასაც პატარებს სულ ეძინათ.

მერე და მერე საზრუნავი სულ უფრო იზრდებოდა და თვითონაც დაუღალავად და ყოველგვარი ზედმეტი ფუსფუსის გარეშე აკეთებდა იმას, რაც სჭირდებოდა ქვეყნის ეკონომიკაში ეგზომ მნიშვნელოვანი ადგილის მქონე ქალაქს. ამას აკეთებდა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში მჯდომი თუ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე, პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობაზე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის უფლებებით აღჭურვილი თუ გამგებლის მძიმე და საპასუხისმგებლო მისიას შეჭიდებული. სხვანაირად არც შეეძლო, რადგანაც მუდამ ახსოვდა მამის ნათქვამი: „მთავარია იშრომო და მაშინ სიხარულიც არ დაგელევაო“. მამას — აკაკი გურულს კი მთელი ქვეყანა იცნობდა. იგი გახდა 1936 წელს ერთ-ერთი პირველი სტახანოველი და გეგმა 259 პროცენტით შეასრულა...

დაბადების 65-ე წლისთავზე საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით „ღირსების“ ორდენით რომ დააჯილდოვეს, იუბილარმა მეგობრების წრეში მისთვის დამახასიათებელი გულწრფელობით განაცხადა:

— თუ რამის გაკეთება მოვახერხე ჩემი ცხოვრების განმავლობაში, ეს იმის წყალობით, რომ გამიმართლა, განსაცვიფრებელი ადამიანების გვერდით მომიხდა მუშაობა, ფასდაუდებელი ამაგი დამდეს თავისი მაგალითით პლატონ აბესაძემ, ზურაბ პატარიძემ, ომარ ხოფერიამ, თამაზ მარგველაშვილმა, ნოდარ ვაშაძემ, ამ ხალხმა წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო ჭიათურის, არამედ მთელი საქართველოს აღმშენებლობის ისტორიაში. მე ახლაც მიმაჩნია, რომ როცა ასეთი ხალხი მოგვიმრავლდება დამოუკიდებელ საქართველოში, მათი რუდუნებით ისეთ სიმაღლეებს მივაღწევთ, რომ ახლანდელი ყოფა მხოლოდ მოგონებად დარჩება...

უსაქმოდ არასოდეს გაჩერებულა — ბუნება აქვს ასეთი და იმიტომ. აფხაზეთში საომარი მოქმედების დროსაც ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული მანქანებით ჩადიოდა ალმოდებულ სოხუმში და საერთო საქმეს ხელს აშველებდა. მანამდე კი რამდენიმე წლის განმავლობაში „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარ კორესპონდენტად მუშაობდა და სწორედ აქ გამოჩნდა სრულად მასში აქამდე მთვლემარე ლიტერატორის ნიჭი — ახლაც ყველას ახსოვს მის მიერ მომზადებული კორესპონდენციები და სხვა ჟანრის პუბლიკაციები, პრობლემების და მათი გადაწყვეტის გზების ხედვით გამორჩეული.

ჯემალ გურულზე საუბარი სრული არ იქნება, თუ მის ცხოვრებაში მისივე ძალისხმევითა და მცდელობით მომხდარ მრავალ კურიოზთაგან ერთს მაინც არ გავიხსენებთ, რომელიც მან თვითონვე გვიამბო:

— ჩვენთან, ჭიათურის კომკავშირის საქალაქო კომიტეტში, ინსტრუქტორად მუშაობდა ანდრო მუმლაძე, რომელიც პრესაშიც თანამშრომლობდა და ჰონორარსაც გვარიანს იღებდა. ერთხელ რედაქციაში შევედი და მისთვის გადასაცემად ჰონორარი გამომატანეს. სამსახურში რომ მივედი, ბიჭებს განვუცხადე, დღეს ანდრო რესტორანში გვეპატიჟება და არსად წახვიდეთ-მეთქი. ანდრომ მაშინვე იუარა, ფული არ მაქვს და როგორ უნდა დაგპატიჟოთო. მაშინ მე ვიქნები თქვენი მასპინძელი-მეთქი, ვუთხარი და ანდროც დამშვიდდა.

მართლაც კარგად ვიქეიფეთ. განსაკუთრებით ანდრომ მოილხინა — სიმღერა კარგი იცოდა და დიდად გვასიამოვნა. როცა ოფიციანტს ანგარიში მოვთხოვე და საკმაოდ სოლიდური თანხა ჩავუთვალე, ანდროს ყველას თანდასწრებით დიდი მადლობა გადავუხადე და ავუხსენი, რომ ეს ქეიფი მისი ჰონორარის წყალობით მოხდა. ამის გამგონე ანდრომ ერთი სევდიანი სიმღერა წამოიწყო და ამ სიმღერით დავტოვეთ რესტორანი... ასეთი შემთხვევები ბევრია ამ კეთილი და იუმორით სავსე კაცის ცხოვრებაში.

ჯემალ გურული მართლაც კაცური კაცის ცხოვრებით ცხოვრობს და შესანიშნავ მაგალითს აძლევს ოჯახსაც და მთელ საქართველოსაც.

თენგიზ ნიკოლაიშვილი,
საქინფორმის კორ.

მიმდინარეობს შპს სადაზღვევო სააგენტო „ალდაგი ქვემო ქართლი“ ლიკვიდაცია. შესაძლო კრედიტორებს შეუძლიათ დაკავშირება: ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. №4, ტელ: 23-31-25.

ტარდება აუქციონი

2003 წლის 30 ივლისს, 13 საათზე

რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექცია, ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა დაფარვის მიზნით, აცხადებს ღია აუქციონს (აუქციონი ჩატარდება მარნეულის ზონალურ საგადასახადო ინსპექციაში. მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №37) სს „მარნეულის სასურსათო კომბინატის“ უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით.

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ინება:

1. გერმანული სპირტის სახდელი „გოლცენ-გრეიმა“ 3-კოლონიანი, დღე-ღამეში 15 ტონა უწყლო სპირტის წარმადობის უწყვეტი ქმედების ხაზი, შენობა არის მოდული (იშლება).

აუქციონზე გასატანი ფასია 3250 ლარი.

2. მაცივარი 500-ტონიანი, 5-კამერიანი, ფინური წარმოების.

1 კამერა „სწრაფ-გამყინავი“ – 40 გრადუსამდე.

4 კამერა – 25 გრადუსამდე გამყინავი.

მაცივარში არის დამფასოვებელი საამქრო.

მაცივარი არის მოდული (იშლება). აუქციონზე გასატანი ფასია 305000 ლარი.

სხვა პირებმა (მესამე პირები), რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლების დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციაში, ან მარნეულის ზონალურ საგადასახადო ინსპექციაში.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებს (ყველა დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირი) დაწვრილებითი ცნობებისათვის შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე:

ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №37, ან ქ. რუსთავი, VII ა მიკრორაიონი №2.

ადამიანი დროში

— „არმაზთან“ მიმიყვანეთ, — მოკლედ ვუთხარი მძღოლს მანქანაში ჩაჯდომისთანავე.

— ბატონ ჰასანთან მიბრძანდებით? — ღიმილით მკითხა მან და, ძრავი ჩართო თუ არა, მისამართი სწორად შეგირჩევიათო, დასძინა. რომ გაიგო, რა მიზნითაც ვიყავი ჩასული ქობულეთში, მთელი გზა არ გაჩუმებულა, იმდენი მიამბო ჩემს მომავალ მასპინძელზე, ზოგი — ნაცნობი, ზოგიც — ახალი. ბოლოს ერთ ლამაზ შენობასთან დაამუხრუჭა. ფული გავუწოდე.

— როგორ გეკადრებათ, ბატონი ჰასანის სტუმარი ჩემი სტუმარიცაა, მგზავრობის საფასურს, აბა, როგორ გამოგართმევთო, მითხრა.

შერმადინ ართმელაძის სახელი ამ რამდენიმე წლის წინათ გავიგე პირველად, როცა მძლეოსანთა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ვესწრებოდი. ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ გამანდო: აჭარას მძლეოსნობაში ყოველთვის გამორჩეული ტრადიციები ჰქონდა, მაგრამ აგერ სამი ათეული წელიწადია, შერმადინ ართმელაძის მსგავსი სიმაღლეზე მხტომელი არ ჰყოლიათო...

დაძლეული სიმაღლეები



— ჩემი სპორტული ბიოგრაფია 1958 წლიდან იღებს სათავეს, — შორიდან დაიწყო საუბარი ჩემმა მასპინძელმა. — ეს ის პერიოდია, როცა მძლეოსნობის მწვრთნელები რაიონებში ეძებდნენ ჩაუქ ყმაწვილებს. მერვე კლასში ვიყავი, ქობულეთის რუსული სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა პეტრე სამულიდიმ და სპორტსკოლის დირექტორმა რეზო თხილავამ რაიონული პირველობა რომ მოაწყვეს. 170 სანტიმეტრზე გადებულ თამასას რომ გადავევლე, თავადაც გამიკვირდა. რამდენიმე დღის შემდეგ ბათუმში შეგვკრიბეს ყველა რაიონიდან საუკეთესოები. მაშინ გავიცანი ვიქტორ სანეევი, რომელმაც სამხტომში 13,72 მეტრი დაძლია, მე კი 10 სანტიმეტრით გავაუმჯობესე ჩემი რეკორდი. იმავე წელს თბილისის სპორტსკოლაში წაგვიყვანეს ოსტატობის ასამაღლებლად.

— დებიუტში 180 სანტიმეტრის დაძლევა იოლი არ არის, ეტყობა, ამ შეჯიბრებამდე კარგი ფიზიკური წრთობა გქონდათ მიღებული?

— ორმოცდაათიან-სამოციან წლებში, მოგეხსენებათ, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. თითქმის ყველა ეზოს და ქუჩას თავისი მოედანი ჰქონდა. განსაკუთრებით ზაფხულობით გვიანობამდე დავსდევდით ბურთს. მახსოვს, 1954 წელს კოტე მახარაძე ისვენებდა ქობულეთში. ბიჭებმა მას ვთხოვეთ არბიტრობა. ოთხი საათი გაგრძელდა ჩვენი პაექრობა. გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდა. ბატონმა კოტემ სასტვენი დააგდო — მსგავსი ფეხბურთი არსად მინახავსო.

სხვა მხრივაც გვქონდა ფიზიკური წრთობა: ხშირად 12 კილომეტრის სიშორიდან ჭაობის გამოვლით მხრებით ვეზიდებოდით სარებს. შინ მობრუნებულები ზღვისკენ გავრბოდით. გზად მეტრნახევრიან ორ ღობეს გადავევლებოდი ხოლმე. ასე მივეჩვიე სიმაღლეზე ხტომას.

— მერე როგორ წარიმართა თქვენი სპორტული კარიერა?

— 1960 წელს რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს — რობერტ შავლაყაძეს „დინამოს“ სტადიონზე საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს, სადაც სიმაღლეზე მხტომელთა საჩვენებელი შეჯიბრებაც გაიმართა. ბატონი რობერტიც მონაწილეობდა. 195 სანტიმეტრზე გადავხტი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა შინ მიმიპატიჟა და იმ დღიდან ჩემი მწვრთნელი გახდა.

1961 წელს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონის გახსნას მძლეოსნობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი დაემთხვა. მაშინ ვალერი ბრუმელმა გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდით (2,26 მ). არადა, 2 საკვალიფიკაციო ცდის შემდეგ ფინალში ვერ ხვდებოდა. რობერტ შავლაყაძის რჩევა-დარიგებამ უშველა — ფინალშიც მოხვდა და საღამოს, როგორც გითხარით, რეკორდიც დაამყარა.

სამი წელიწადი ვივარჯიშე ოლიმპიურ ჩემპიონთან. ახალი ყაიდით ხტომა ვისწავლე. 1963 წელს ბორჯომში პირველად დავძლიე ორმეტრიანი ზღვარი და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ჩემპიონი გავხდი, მერე „უროჟაის“ საკავშირო პირველობაც მოვიგე. კარგი პერსპექტივა მქონდა, მაგრამ დედა გამიხდა ავად, რამაც მაიძულა, ქობულეთში დავბრუნებულიყავი. ჯანდაცვის მე-4 სამმართველოში მეთოდისტად დავიწყე მუშაობა, პარალელურად მე-3 საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლადაც მოვეწყვე.

— შეჯიბრებებზე აღარ გამოსულხართ?

— 1967 წელს საქართველოს სპარტაკიადაზე ვიასპარეზე, მერე „კოლმეურნეს“ ჩემპიონობაც მოვიპოვე, 206 სანტიმეტრით „უროჟაის“ პირველობაც მოვიგე. შემდეგ მნიშვნელოვანი წარმატებები არ მქონია, რადგან ოჯახი და სამუშაო ნორმალური ვარჯიშის საშუალებას არ მაძლევდა. 1974 წელს დიდ სპორტს თავი მივანებე და მთელ ენერგიას მოზარდთა აღზრდას ვანდომებდი.

— კერძო მეწარმეობას როდის მიჰყავით ხელი?

— უწინ უმთავრესად ბინების გაქირავებით ვირჩენდით თავს. მერე ცხოვრება რომ შეიცვალა, 1994 წლიდან მე და ჩემი ოჯახის წევრებმა სამეწარმეო საქმიანობა დავიწყეთ. სამი შვილი და 6 შვილიშვილი მყავს. დიდებზე არაფერს ვამბობ, პატარებიც ჩაბმული არიან შრომაში. დილის 5 საათიდან გვიანობამდე ფეხზე ვართ. ცხადია, მარტო ვერაფერს გავხდებით. ზაფხულობით 70-მდე ადამიანს ვასაქმებთ. ანაზღაურებაც მაღალი აქვთ — 150-დან 400 ლარამდე. სახელმწიფო ბიუჯეტში 8-10 ათასი ლარი შეგვაქვს ყოველწლიურად.

— უფრო ვის ემსახურებით?

— ჩვენი ხშირი სტუმრები არიან სპორტსმენები, განსაკუთრებით — მოჭიდავეები და კალათბურთელები. ამ რამდენიმე წლის წინათ ზღვაზე გავიცანი საქართველოს განათლების პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ჰამლეტ თუთბერიძე. მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს ვმასწავლებლობდი და ვიცი პედაგოგების პრობლემები. ბატონ ჰამლეტთან საუბრისას გამოიკვეთა ჩვენი მომავალი თანამშრომლობის კონტურები. ხელშეკრულების ყველა მუხლი განათლების პროფკავშირის თავმჯდომარე მანანა კობახიძესთან და საბჭოს წევრებთან შევათანხმეთ და უკვე ოთხი წელიწადია, სხვადასხვა რაიონის და ქალაქის მასწავლებლები ჩვენთან ისვენებენ შეღავათებით. რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. შარშან, მაგალითად, 70-მა მასწავლებელმა დაისვენა, წლეულს კი აგვისტოს ბოლომდე 200-ზე მეტ პედაგოგს მოვემსახურებით.

— შვილებსა და შვილიშვილებს სპორტი თუ იტაცებთ?

— შვილებს თავი დიდად არ შეუწუხებიათ, აი, სამი შვილიშვილი კი კარატეზე დადის. ახალგაზრდებს, რატომღაც, სპორტის ეს სახეობა უფრო იზიდავთ. ერთი გოგონა მოცეკვავეა, ორი შვილიშვილი კი ჯერ პატარაა სპორტისთვის.

— ბატონო შერმადინ, წარმატებულ მეწარმედ ითვლებით. ასეთ ადამიანებს კი მოშურნეები მრავლად ჰყავთ...

— კარგია მუდამ მტრიანიო, უთქვამს ვაჟა-ფშაველას, მაგრამ ნამდვილად არ მინდა მტერი მყავდეს, რადგან მოშურნეობამ დაანგრია ქვეყანა. ეს მიწა ყველას გვეყოფა კეთილი საქმეების საკეთებლად. აქამდე პრობლემები არ მქონია. ახლა კი რაიონის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ გარკვეული სირთულეები შემიქმნა, რომელიც ხელოვნურად მოტანილი მგონია. მაინც ვფიქრობ, რომ საერთო ენას გამოვნახავთ, მით უფრო, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურმა ბატონმა ასლან აბაშიძემ არაერთგზის თქვა, მშრომელ ადამიანს არავის დავაჩაგვრინებო. მე და ჩემს ოჯახს კი მთელი ცხოვრება შრომის მეტი არაფერი გვიკეთებია. კანონის და გულისხმიერი ადამიანების იმედი გვაქვს...

საუბარს რომ მოვრჩით, შერმადინ ართმელაძემ თავისი სამფლობელო დამათვალიერებინა. დასასვენებლად ჩამოსულ მასწავლებლებს კაფე-ბარში შევხვდი და გავესაუბრე.

ნაილი აბჟანდაძე, ქუთაისის სპორტული ლიცეუმის თანამშრომელი: წლების განმავლობაში კერძოდ ვისვენებდი ქობულეთში. წლეულს პირველად ვარ პროფკავშირული საგზურით. შესანიშნავი პირობებია. აქაურობას მზრუნველი, მშრომელი კაცის ხელი ატყვია, რაც მთავარია, პირველი დღეებიდანვე ყურადღება, სითბო და სიყვარული არ მოგვაკლდება. აქ გატარებული დღეები არასდროს დამავიწყდება.

დალი ედილაშვილი, საქართველოს განათლების პროფკავშირის გორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე: თავს შინაურ გარემოში ვგრძნობთ. ყველაფერი სადად, მაგრამ გემოვნებითაა მოწყობილი. მასწავლებლები კმაყოფილი არიან. შერმადინ და თალიკო ართმელაძეებმა თავიანთი გულისხმიერებითა და შრომისმოყვარეობით მოგვხიბლეს. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ადამიანები.

ესაუბრა
ვაჟა დანელია,
„სრ“ სპეც. კორ.
ქობულეთი.

სურათებზე: ორი შერმადინი — ბაბუა და შვილიშვილი; ორმეტრიანი ზღვარი დაძლეულია; მეტოქე მეგობრები: მარცხნიდან — თეიმურაზ მდივანი, ალიკო ბარგანჯია, გივი ვიბლიანი და შერმადინ ართმელაძე (სურათი გადაღებულია 1961 წელს „ლოკომოტივის“ სტადიონზე).

ნიკო ცაგარეიშვილი — 70

მისთვის ფეხბურთი ყველაფერია

დღეს, XX საუკუნის 50-60-იანი წლების ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელს ნიკო ცაგარეიშვილს დაბადებიდან 70 წელი უსრულდება. სტაჟიან გულშემატკივარს კარგად ახსოვს მისი შესანიშნავი თამაში, როდესაც მარცხენა ფრთაზე დაუვიწყარი მიშა მესხის გამოჩენამდე, იგი თავისი ფინტებით რამდენიმე მეტოქეს იტოვებდა უკან. ნიკო ერთნაირი წარმატებით იცავდა თბილისისა და კიევის „დინამოს“, ვილნიუსის „კალევის“, თბილისის „ლოკომოტივის“, ახალციხისა და ტყიბულის გუნდების სპორტულ ღირსებას, ხოლო იმ დროს ცნობილი ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდის შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის თასს დაეუფლა ძირეულ კოლექტივებს შორის და სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა.

1956 წლის ნოემბერში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ საქართველოს თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ბათუმის „დინამო“ დაამარცხა. ეს შეხვედრა ნიკომ საუცხოოდ ჩაატარა. ნებისმიერი მაღალი დონის ფეხბურთელს შეშურდებოდა მისი დახვეწილი და უმაღლესი ტექნიკით შესრულებული ფინტები.

ნიკო ცაგარეიშვილი გახლდათ უნიჭიერესი, მაგრამ უიღბლო ფეხბურთელი. დღეს აღარ ღირს დაწვრილებით საუბარი იმ უსამართლობასა და ინტრიგაზე, რაც ნიკოს მოუწყვეს სპორტკომიტეტის იმდროინდელმა მესვეურებმა, კაცს ეომებოდნენ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. საუკეთესო ფორმაში მყოფი წავიდა კიევის „დინამოში“, სადაც ჩვენი დიდი ფეხბურთელი და კარგი პიროვნება ანდრო ზაზროევი თამაშობდა. კიევში ნიკო სიყვარულითა და სითბოთი მიიღეს. იქაც კი მისწვდა ბოღმიანი ხელმძღვანელობა, მაგრამ იგი მაინც დარჩა დიდი კაცობის ეტალონად, რომელსაც ნიკო ცაგარეიშვილი ჰქვია, გულშემატკივრების საყვარელი ფეხბურთელი. მახსოვს, „დინამოში“ გამოსვლისას ცეცხლს რომ ანთებდა მინდორზე, როგორ უყვიროდა აღტაცებული გულშემატკივარი — მიდი ნიკუშ, მიდი.

ნიკო ცაგარეიშვილი უაღრესად კეთილი, თავმდაბალი პიროვნება ბრძანდება. იგი საქართველოს საამაყო შვილის, დაუვიწყარი ნოდარ ახალკაცის მეგობარი გახლდათ — ისინი ხომ ერთად გამოდიოდნენ თბილისის „ლოკომოტივში“.

მინდა ნიკოს და მის ტყუპისცალს, ბატონ სევერიანს მივულოცო დაბადების დღე, ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა საყვარელ ოჯახებთან და მეგობრებთან ერთად.

მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე, ბატონებო.

იგო დოლიძე.

სურათებზე: შეტევაზეა ნიკო ცაგარეიშვილი (მარცხნივ); მეგობრები იხსენებენ ნოდარ ახალკაცს.

ყოველი მხრიდან

ჩოგბურთელები პოზიციებს არ თმობენ

გამოქვეყნდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგი 23 ივლისისათვის. შეიძლება ითქვას, რომ პლანეტის მთავარი ჩოგბურთელები პოზიციებს არ თმობენ.

ვაჟთა შორის წლევანდელი შედეგების მიხედვით კვლავ შვეიცარიელი ფედერერი ლიდერობს. 52-კვირიანი შედეგების მიხედვით კი პირველობას არავის უთმობს ელიტის „უხუცესი“ მოთამაშე ანდრე აგასი (აშშ).

ქალთა შორის მტკიცედ „ზის ტახტზე“ ამერიკელი სერენა უილიამსი.

„სპარტაკის“ ღია კარის დღე

დღეს მოსკოვის „სპარტაკის“ ბაზაზე ტარასოვკაში გაიმართება ღია კარის დღე. რუსეთის პირველი გუნდის ახალი მწვრთნელი ანდრეი ჩერნიშოვი, მისი თანაშემწეები და მოთამაშეები შეხვდებიან ჟურნალისტებს, გულშემატკივრებს, სტუმრები დაესწრებიან საწვრთნელი ვარჯიშის დასაწყისს.

ემოციებისაგან აუზებში წყალი დუღს

სხვანაირად, შეიძლება, ვერც კი გამოვხატოთ ის, რაც ბარსელონაში საწყლოსნო სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატზე ხდება.

200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვაჟთა შორის ყველა უკან ჩამოიტოვა ავსტრალიელმა ტორპმა, რაც მისთვის უჩვეულო არ იყო. ბატერფლაით იმავე მანძილზე ცურვაში კი — პირველობა მოიპოვა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა ამერიკელმა ფელიპსმა — 1.53.93, ხოლო 100 მეტრზე ზურგზე ცურვით ფინიშთან პირველი მივიდა პირსოლი (აშშ).



ქალთა შორის 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა გერმანელმა სტოკბაუერმა.

ბარიკელო გაქურდეს

„ფორმულა-1“-ის 54-ე ჩემპიონატის მეთერთმეტე ეტაპის ტრიუმფატორი, „ფერარის“ ბრაზილიელი პილოტი რუბენს ბარიკელო სამშობლოში, სან-პაულუს აეროდრომზე გაქურდეს. მას მოპარეს „დიდი ბრიტანეთის გრან-პრი“, რაც სილვერსტოუნში გამარჯვების შემდეგ გადაეცა.

„ვიღაც არაკაცმა გახსნა ჩემი ტვირთი და ჯილდო მოიპარა“, — განაცხადა სახელოვანმა პილოტმა, — ახლა სამშობლოში ხელცარიელი უნდა დავბრუნდე“.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მიხეილ მესხი მეგობართან იბო დოლიძესთან ერთად. 1960 წ.

მოგვაწოდა დემიკო ლოლაძემ.

ღიმილის დოზა

ფსიქოლოგიის პროფესორის ლექციაზე:

— კოლეგებო, დაიხსომეთ ფსიქოთერაპიის ორი ჭეშმარიტება: პირველი, — წვრილმანი აღელვება არაფერს ნიშნავს; მეორე — ყველა აღელვება წვრილმანია.

* * *

ორი სპელეოლოგი ვიწრო გვირაბით ერთმანეთის შესახვედრად მიხოხავს.

ცოტა ხანში შეხვდებიან:

— შენს უკან რა არის?

— ჩიხი.

— შენს უკან?

— ჩიხი.

* * *

— ექიმო, ხმის ამოღება არ შემიძლია!

* * *

განცხადება: ურიუპინსკის ტელევიზიას სჭირდება მახინჯი გარეგნობის ენაბლუ დიქტორი საზიზღარი ამბების დილა-საღამოს გადმოსაცემად.

* * *

— მამა, რატომ ამბობენ, რომ რუსები არ ნებდებიან?

— არავინ არ არის, რომ დავნებდეთ, — უპასუხა მამამ და აქვითინდა.

* * *

— მივდივარ მოსკოვის ბაზარში და, ჰოი, საკვირველებავ! დგას სადამი და კიტრს ყიდის.

* * *

უკაცრავად, თქვენ ჰოროსკოპით კირჩხიბი ხართ?

— არა, — ათაშანგი!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION SDC
COORDINATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს საკოორდინაციო ოფისი სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე „საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია“.

კურსი ჩატარდება 2003 წლის 4-18 ოქტომბერს თბილისში ჟენევის „საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის“ მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატის შერჩევა იგეგმება. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2003 წლის 11 სექტემბერი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

http://heiwww.unige.ch/prog/centres.html#PSIO

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობას თბილისში. მისამართი: რადიანის ქუჩა 12 (გამსახურდიას ძეგლთან, ყოფილი ბარნოვის მეოთხე ჩიხი). ტელ: 25-36-82/83. ელფოსტა: tbilisi@sdc. net

სამკურნალო კალცლექსები

დასაბრეგვავ პოლიტიკოსს

პარლამენტში ბევრია
კაცი დასაბეგრავი.
პარლამენტში ბევრია
კაცი — დასაბრეგვავი,
შენი სისხლის ფერია
ყველა ფლიდი შენგვარი.

შენ ეხლაც ხარ პირადი
იმ მთავრობის მეპურე,
მეცოდება ზვიადი, —
შენნაირთა შემყურე.

პასუხი სანდრიკოს

შენა ხარ ქვეყნის ჭილყვავი,
შეყვარდენობა გემჭირა,
მე რომ სოხუმში ვიყავი,
შენ ვის საწოლში გეძინა?

კამო

ვეტყვი „ნაღდსა“ და „სანდოსა“ —
კარგად იყვნებს ამ დროსა,
მიყართმევ თავის მისართმევს
და კამოს ვეტყვი „პარდონსა“.

არაკაკს

მმამ მმას დანა გაუყარა, —
რაინდობას იფერებს,
მე „ცისფერებს“ არ ვუყვარვარ,
შენ — უყვარხარ „ცისფერებს“.

რაო, რაო, რას მაბრალებ?

შენნაირები რიგზე ერია,
აწევა გინდა სახვდრის ყურის,
მე თურმე ზვიადს ვესროლე ტყვია, —
კვლავ მეფლებურად მოგმართავ —
მტყუნის?!.

შეკვეთილი

გამარჯობა, შე კრეტინო,
მტრის ნაგავო, მტრის ცოცხო,
შე „იმისგან“ შეკვეთილო,
დიდხანს უნდა იცოცხლო.

ლენინი

ხარ მიმდევარი ლენინის, —
ისედაც გავსარ თვალებით,
ვინც შენ ხმა მოგცა, მე იმის
დედიკოს ვენაცვალები.

მადლობის ბარათი

შე უულვაშო, შე ქოსა,
ხარ ულვაშისა არ ღირსი,
მადლობა უთხარ „ქოსა“,
ჩემი გინება-ლანძღვისთვის.

ჯ. ჩ.

2003 წ. 22 ივლისი
თბილისი.

ისმინეთ!

„საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებული ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებისათვის აცხადებს სათათბიროს არჩევნებს, რომელიც ჩატარდება საქართველოს ბავშვთა ფედერაციის სააქტო დარბაზში ა. წ. 29 ივლისს 12 საათზე ბავშვთა კავშირებისათვის, ხოლო 30 ივლისს 12 საათზე — ახალგაზრდული კავშირებისათვის.

საბანკო მომსახურება

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის

„საქართველოს ბანკის“ კლიენტებისა და სრულიად საქართველოს საბანკო სექტორისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა 23 ივლისს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკსა და „საქართველოს ბანკს“ შორის ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც „იბიარდის“ მიერ 4 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობის შეღავათიანი სესხის გამოყოფას ითვალისწინებს. სესხი, რომლის დაფარვის მაქსიმალური ვადა 5 წლით არის განსაზღვრული, გამიზნულია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების გასაფართოებლად.

— ახალი საკრედიტო ხაზი „საქართველოს ბანკს“ დამატებით შესაძლებლობას მისცემს, რათა დაეხმაროს საქართველოს მხარეების იმ მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში მოქმედ ფიზიკურ პირებსა და მცირე მასშტაბის საწარმოების მესხებელთა მომსახურების პროცესს, რომლებიც თავიანთი ბიზნესის დასაფინანსებლად ალტერნატიულ წყაროს ვერ პოულობენ, — განაცხადა ხელმოწერის ცერემონიაზე „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ვლადიმერ პატეიშვილმა. როგორც მან თქვა, 4-მილიონიანი სესხის დაფარვის 5-წლიანი პერიოდი კი, შესაბამისად შეუწყობს ხელს, რათა „საქართველოს ბანკმა“ პოტენციურ მსესხებელს გრძელვადიანი სესხები შესთავაზოს. ვლადიმერ პატეიშვილმა აღნიშნა, რომ ახალი საკრედიტო ხაზის რეალიზაცია უმთავრესად მოხდება მრეწველობის, მშენებლობის და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორში მოქმედ მცირე და საშუალო საწარმოებში.

— მოხარული ვართ, რომ „იბიარდს“ სანდო პარტნიორი ჰყავს „საქართველოს ბანკის“ სახით. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ერთ-ერთი უწინარესი პრიორიტეტია. ამ ფაქტმა განაპირობა, რომ "საქართველოს ბანკისათვის" ახალი, 4-მილიონიანი საკრედიტო ხაზის გამოყოფა, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების გაფართოებას ისახავს მიზნად. ეს პროექტი ჩვენი ბანკის ფინანსური რესურსის გამოყენების საუკეთესო მაგალითია, — განაცხადა „იბიარდის“ მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში ნიკოლაი ხაჯინსკიმ.

საქინფორმი.

ფოტოზე: ვლადიმერ პატეიშვილი და ნიკოლაი ხაჯინსკი.

ამინდი

აგვისტოში ტემპერატურა მოიმატებს...

უკანასკნელი სამი წელია მთელს საქართველოში ამინდი მკვეთრად შეიცვალა. ზაფხულობით ხანმოკლე წვიმები და ღრუბლიანობა გლობალურმა ცირკულაციამ გამოიწვია. ამ პროცესებს მაღლივი ციკლონი, დაბალი წნევის არე მართავს, რომელიც ამიერკავკასიის თავზეა მოქცეული, — განაცხადა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ სახელმწიფო დეპარტამენტში შემავალი ოპერატიული პროგნოზების სამსახურის უფროსმა ირაკლი ჩოგოვაძემ.

— დღესდღეობით საქართველოში შექმნილი ამინდის მდგომარეობა რაიმე განსაკუთრებული მოვლენით არ ხასიათდება, — თქვა მან. ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა ნორმალურია. ასეთი პირობები საუკეთესოა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მოსავლის ფორმირებისა და აღებისათვის.

ტენიანობის მომატება, ძირითადად, თბილისში აღინიშნება. ჰაერის აორთქლება ღრუბლების წარმოქმნას და სუსტ ნალექებს იწვევს. ღრუბლიანი ამინდები, სავარაუდოდ 27 ივლისამდე გასტანს. შავი ზღვის სანაპიროზე კვირის ბოლომდე მოსალოდნელია წვიმა. მაღალმთიან რაიონებში ნალექების მეტი რაოდენობაა ნავარაუდევი.

საქართველოში რადიაციული დაბინძურების დონე ნორმის ფარგლებს არ აღემატება.

აგვისტოში ჰაერის ტემპერატურა ჩვეულებრივთან შედარებით ოდნავ მოიმატებს. აგვისტოს საშუალო დღეღამური ტემპერატურა 25⁰ -ის ფარგლებში იქნება. შეიძლება 26⁰ -მდე გაიზარდოს, თუმცა ასეთი მაჩვენებელი რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

ოზონის ფენის ხვრელის პრობლემა სამყაროს არსებობის დღიდან დგას. ბუნებაზე ადამიანის უხეშმა ზემოქმედებამ ატმოსფეროში ბევრი რამ შეცვალა, — გაიზარდა ჰაერში ნახშირორჟანგის შემადგენლობა, ამან ოზონის ხვრელზე გამოიწვია ცვლილებები, ეს მოვლენა გარკვეულწილად დედამიწაზეც ახდენს ზემოქმედებას. ხოლო მავნე რადიაციული დასხივება და აქტიური მზე შუადღისას, 11-დან 14 საათამდეა.

საქინფორმი.

ხსოვნა

ზალიკო ბილანიშვილი



გარდაიცვალა ზალიკო ბილანიშვილი, ულალატო, საოცრად მიმნდობი და უაღრესად კეთილშობილი, მიამიტი კაცი, სპორტის ოსტატი (ფარიკაობაში), გაუტეხელი ვაჟკაცი და თავისი ამ თვისებებით ბევრის დამხმარე და ხელისშემწყობი. მას საოცრად ალამაზებდა სულიერი გაუტეხელობა და ოპტიმიზმი, რაც ბოლომდე მის თანამდევად დარჩა. ავადსახსენებელ სარეცელს მიახლებული ერთი წუთითაც არ მიეცა სასოწარკვეთას, იმედიანად უცქერდა მომავალს, და-ძმებისა და მათი შვილების ბედნიერების ხვალინდელ დღეს.

მუდმივ ფიზიკურ მოძრაობას ნაჩვევი, ავადმყოფობისას უძრაობამ დათრგუნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუდამ სწამდა, რომ ფარიკაობაში გაწვრთნილ მარჯვენას კვლავ სიკეთისათვის ძალუმად აამოძრავებდა. მოდუნებულმა ყოფამ ვერ დააკნინა მისი გონება, რომელიც საოცრად ლაღად მუშაობდა. ბოლოს თვალის ჩინმაც მიუტევებლად უღალატა, ვეღარ კითხულობდა, რაც გამოცდილმა კაცმა კარგად იცის, როგორი შეუგუებელი რამ არის.

ახალგაზრდობაში ეკონომიკამ გაიტაცა. გარკვეული ამაგი დასდო მის განვითარებას საქართველოში. თავისი უანგარო შრომისმოყვარეობისა და თავდადების წყალობით უდიდესი პატივისცემა დაიმსახურა სპეციალისტ-კოლეგებს შორის. ჟურნალისტური განათლების წყალობით რადიოგადაცემებს თვალჩინდაკარგული უფრო დაინტერესებით უსმენდა. მისი ბოლოჟამინდელი „მეგობარი“ ყველაზე სანდო გულთამხილავი ხომ რადიო იქცა. მასთან ერთად დღით თუ ღამით თვალდაბინდული და ფიქრმორეული სულ რაღაცაზე ოცნებობდა, დარდობდა... შვილებზე, მშობლიურ მხარეზე, რომელიც გაგიჟებით უყვარდა...

გარდაიცვალა ზალიკო ბილანიშვილი.

მეგობრების სახელით ნიკო ლეონიძე, გოგი გოგელია.

პანაშვიდი 24, 25 VII, 5 სთ., დაკრძალვა 26 VII, 3 სთ. თარხნიშვილის 21.

თბილისის მე-15 საშუალო სკოლის პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი

იზოლდა ნიკოლოზის ასული
იმედაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქინფორმის კოლექტივი გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს თამაზ კიკაბიძეს და მის დიდ ოჯახს ძვირფასი დედის

ლუბა ალფაიძე-კიკაბიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე გედევანი, შვილები გელა, მზია, ნანა ცინცაძეები, სიძეები რეზო შელიავა, ლაშა ქორქოლაძე, რძალი ხათუნა ბაკურაძე, შვილიშვილები ვახტანგი, დავითი, თეა, ანა, ქეთა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციალა ჩანკაშვილი

დაკრძალვა 24 VII, მისამართი: იოსელიანის ქ. №37, V სადარბაზო, ბინა 153.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ სამინისტროს საკადრო უზრუნველყოფისა და სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსს შალვა ტურაშვილს გარდაეცვალა მამა

ირაკლი ტურაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

„ბიზნეს-ცენტრი ისნის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ოთარ და ანდრო ღლონტებს გარდაეცვალათ ბებია

ეთერი ბახტაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პროფესორმასწავლებლები და სტუდენტები სამძიმარს უცხადებენ უნივერსიტეტის პრორექტორს ბატონ ნუგზარ შავგულიძეს დედის

თამარ სვანიძე-შავგულიძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მანანა, შვილი ქეთი, სიძე ავთო ადამია, ბიძა ბიზანტი გეგეშიძე, დეიდა თამილა მურუშიძე, ბიძაშვილები ლალი, ზაზა გეგეშიძეები, ცოლის და ზამირა, ცოლის დისშვილები ზურაბ, თამუნა ჩიგოგიძეები, ქვისლი გურამ ჩიგოგიძე, მძახლები ვახტანგ, იულია ადამიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოთარ გიორგის ძე მაჭავარიანი

პანაშვიდი 25, 26 VII, 5 სთ. გამოსვენება 27 VII, 3 სთ. მისამართი: თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №259 (ნაძალადევის რაიონი).

კომპანია „აიეტის“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კომპანიის ოფისმენეჯერი

ოთარ მაჭავარიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მადლიერება

მარტვილიდანაც „ახლოა ამერიკამდე“

ამერიკიდან საქართველომდე საკმაოზე მეტი მანძილია, მაგრამ მეგობრობამ არ იცის დრო და სივრცე. თქვენ, ამერიკელი ხალხის შვილები, ჭირსა და ლხინში გაუტეხელნი, სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით გარემოსილნი, თავწეული, ამაყად დააბიჯებთ შორს, ქართული მიწაზე...

ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებისთვის ბრძოლა, სამოქალაქო ომი, ოჯახური სიმყუდროვის დარღვევა, ყველგან დაუღალავი გარჯა, სიდუხჭირე, სამედიცინო ინვენტარის უქონლობა და თავგანწირული შრომა სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად... სწორედ ამ დროს, ფიზიკური გადარჩენის იმედის გაფერმკრთალებისას, მოევლინეთ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო დახმარების და განვითარების სააგენტო და მისი პარტნიორი ორგანიზაცია — საერთაშორისო ჰუმანიტარული სერვისის წარმომადგენლობა — საქართველოში თქვენი — ბატონ სტივი და ქალბატონ შერლონ პეტერსონების სახით.

ადვილი არ არის, ქველმოქმედის სახელი ატარო უცხო მიწაზე. შორს, საქართველოს ცის ქვეშ, გადის დაძაბული, რწმენით, დახმარების მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით განმსჭვალული დღეები. თქვენ ეხმარებით პატარებსაც, საქართველოს მომავალ ძლიერებას, მის ლამაზ ხვალინდელ დღეს. მოშიებული, ახალშობილის ნაკრებში კომბოსტოსავით მჭიდროდ გამოკრული ჩვილები, ტყუპი ბიჭები, ჯანსაღი და საიმედო ახალბედა მოქალაქეები მიჰყავთ დედასთან.

ვეკითხები: რა ჰქვია პატარას? — სტივი! მეორეს? — ჯარჯი.

„ჯარჯი ნუ დასდევ ჯიხვებსა“... გეგეჭკორები, ხორავები, ბაჩილავები, ციკოლიები, წოწორიები, თოდუები, წულაიები, კვაშილავები, დანელიები გაიზრდებიან, შეელენ ხმის დაბოხების ასაკში, მშობლიურ ცისქვეშ დაფრთიანდებიან და თქვენი და ჩემი სამშობლოს — ამერიკისა და საქართველოს სიყვარულში დაიხარჯებიან.

გაივლის დრო და, სამშობლოში დაბრუნდებით მისტერ. თან გაგყვებათ ვაჟკაცი, დაუშრეტელი ენერგიის მქონე, ამაყი ქართველი ხალხის მადლიერება.

ასევე დიდი სიყვარულით და უდიდესი პატივისცემით მინდა მოვიხსენიო საერთაშორისო დახმარების და განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის დირექტორი ლალი ჭანია, სამედიცინო მენეჯერი დავით ფიფია და მონიტორი გელა გულუა. თქვენი მოქმედებიდან ნათლად ჩანს, რომ თქვენ საკუთარი სამშობლოს — საქართველოს უანგარო სიყვარულით სუნთქავთ. თქვენი თანადგომა, ესოდენ მძაფრი და ამაღლებული, ადამიანებისადმი სიყვარულის განუმეორებელი სურნელით დამშვენებული, ერთგვარი მინიშნებაა იმ გზისა, რომლითაც უნდა იაროს ნამდვილმა პატრიოტმა და ქვეყნის შვილმა. მარტვილის სამშობიარო სახლის და მრავალპროფილიანი საავადმყოფოს საოპერაციო ბლოკებში „დედოფლობს“ თქვენს მიერ შემოტანილი მედიკამენტები — სანარკოზე საშუალებები.

მისტერ სტივ! მის შერლონ!

ღმერთმა დაგლოცოთ და მოგცეთ წარმატებები, დიდი სიხარული და გამარჯვება თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში.

დინარა ბურჭულაძე.
მარტვილი.

მემორიალი

იმ საბედისწერო დღეს

1937 წლის 22 ივლისს მწერალთა კავშირში გაისმა პაოლო იაშვილის თოფის გასროლის ხმა... ის მაშინ 42 წლისა იყო. სანადირო თოფით შემოსულა შენობაში იმ საბედისწერო დღეს... ჯერ იქვე გამომცემლობაში შეუვლია, მერე იმ ოთახში, სადაც საბიღიარდო იყო, თავი მოუკლავს. კედელს დიდხანს აჩნდა თურმე სისხლის შხეფები. შარშან, 22 ივლისს, პირველად გაიმართა რეპრესირებულ მწერალთა ხსოვნის დღე. ეს რიცხვი სიმბოლურად დააწესა მწერალთა კავშირმა და ამ ახალ ტრადიციას ნელ-ნელა ეყრება საფუძველი საქართველოში.

წელს გაიხსნა მემორიალური დაფა, სადაც მხოლოდ ის მწერლებია ჩამოთვლილი, რომლებიც კლასიკოსებად არიან მიჩნეული. ამჟამად 120-მდე რეპრესირებული მწერლიდან მხოლოდ სამიღა მოღვაწეობს — მარი აბრამიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი და შალვა მჭედლიშვილი. მწერალთა კავშირი მხოლოდ 22 ივლისს არ იხსენებს რეპრესირებულ და იმ მძიმე წლებგამოვლილ მწერლებს. აღსანიშნავია რევაზ კვერენჩხილაძის დიდი ღვაწლი, რომლის თაოსნობით ტრადიციულ ლიტერატურულ ორშაბათობებზე პატივს მივაგებთ ხოლმე მათ ხსოვნას — თქვა მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის თავმჯდომარემ თამაზ წივწივაძემ.

რეზო ჭეიშვილი: 1937 წელი თითქოს მშვიდად დაიწყო. ჩატარდა პუშკინის დღეები, ჩამოვიდნენ სტუმრები. მარტის თვიდან, მწერალთა იმ ჯგუფს, რომელიც აქტიურობით გამოირჩეოდა, საერთოდ აღარ ახსენებენ. ივნისის თვიდან კი ხალხის მტრებად და მოღალატეებად გამოაცხადეს. განსაკუთრებით სამ კაცს ასახელებდნენ: მიხეილ ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, პაოლო იაშვილს. 20 ივლისს „ლიტერატურულ საქართველოში“ ლავრენტი ბერიამ დაასახელა ხალხის მტრები და გამოყო მათ შორის პაოლო იაშვილი. ბრალდების აბსოლუტურად გაუგებარი ფორმულირება ასეთია: — საყოფაცხოვრებო შეუთავსებლობა, გარდა იმისა, რომ მისი შემოქმედება ეწინააღმდეგება იმდროინდელ აზროვნებას. 22 ივლისს პაოლომ თავი მოიკლა პროტესტის ნიშნად. შემდეგ დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები და დახვრეტები. ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა დაივიწყოს. 22 ივლისის, ხსოვნის დღის ტრადიცია უნდა გაგრძელდეს. ეს დღე ქართველი მწერლებისთვის 9 აპრილის ტოლფასია.

ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა ვერ შეძლო მოსვლა და თავისი სიტყვა გამოაგზავნა მეუღლის, მწერალ თამარ ჯავახიშვილის ხელით, 22 ივლისი, სამშობლოსათვის თავგანწირულთა სადიდებელ დღეს ნიშნავს. გავიხსენებ 1944 წლის აღდგომის დილას, საქართველოს უშიშროების სამინისტროს შინაგან ციხეში. აწ განსვენებულმა, ბრწყინვალე მამულიშვილმა ამირან მორჩილაძემ ამ სატუსაღოსთვის გაუგონარი რამ „ჩაიდინა“. ხმამაღლა წამოიწყო სიმღერა „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“, მაშინ, როდესაც ხმამაღლა დახველებაც კი რეჟიმის დარღვევად ითვლებოდა. რა თქმა უნდა, მთელი ციხე აჰყვა. ვმღეროდი მეც, გატაცებით და ნიშნისგებით. ზედამხედველები რკინის კარებზე გვიბრახუნებდნენ, ხმა ჩაიწყვიტეთო. ამას ყოველი ჩვენგანის მკაცრი დაკითხვები მოჰყვა — ვინ წამოიწყოო? ვინ იტყოდა. უნდა გაუწყოთ, რას ვგულისხმობდით ამ დიდებულ ჰიმნში — რწმენისათვის, სამშობლოსთვის თავგანწირული ადამიანი საფლავშიც, ანუ მკვდარიც კი სიცოცხლემინიჭებულია. ეს შეუპოვრობის ჰიმნია. დარწმუნებული ვარ, ქართველ ერს არასოდეს გამოელევა სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი მამულიშვილები და ეს ქართველი ერის მარადიულობის უპირველესი პირობაა.

შალვა მჭედლიშვილი: პაოლოსავით თავი რომ ვერ მოვიკალი, ხანდახან სინდისიც მქეჯნის. მე მიყვარს ეს კედლები და როცა მოვდივარ, ხშირად ვჩერდები იქ, სადაც სიმბოლურად ახლაც კი ვხედავ პაოლოს სისხლს. ის თავის მამას ეუბნებოდა ხოლმე — მე შენს შვილებში ყველაზე უფრო ვგავარ მხსვერპლად შესაწირ ხბოსო...

მაყვალა გონაშვილმა ლექსი „ზვარაკი“ რეპრესირებული მწერლების ხსოვნას მიუძღვნა. სიტყვა წარმოთქვეს **რევაზ კვერენჩხილაძემ, მინდია სალუქვაძემ, სილოვან ნარიმანიძემ, გოორგი გაჩეჩილაძემ, თამარ ერისთავმა.**

იმედია, ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე საქართველოს ყველა რაიონის მწერალთა ორგანიზაციებმა და შემოქმედებითმა კავშირებმაც აღნიშნეს.

ნანული ზოტიკიშვილი.

მხარე

მოხვა გადარჩა

საჩხერის მაღალმთიანი სოფლის სიხარული

ბოლო წლებში, საჩხერის მაღალმთიანი სოფელი მოხვა დაცლის პირამდე მივიდა. 167 კომლიდან თითქმის ნახევარმა იძულებით მიატოვა სოფელი. ცხადია, მიზეზები იყო: 1991 წელს მიწისძვრამ სასკოლო შენობა მიწასთან გაასწორა, მცხოვრებთ სახლ-კარი ჩამოუქცია და მათაც, სხვა რა გზა ჰქონდათ, ოჯახის გადასარჩენად მომთაბარე ცხოვრებას მიჰყვეს ხელი. ერთობ გაუჭირდათ მოსწავლეებსა და მათს აღმზრდელებს. მეზობელი სოფლის სკოლა მოხვიდან 12 კილომეტრზეა. მკაცრი ზამთრის პირობებში, რომელიც იქ არცთუ იშვიათია, თორმეტს კი არა, ერთ კილომეტრსაც ვერ დაძლევს კაცი. სკოლის დროებითი განთავსებისათვის სოფელს ვაგონები შეაშველეს, მაგრამ თორმეტი წელი რა პირობებშიც ასწავლიდნენ, მართლაც რომ, „ჯოჯოხეთია მოსაგონებლად“.

2003 წელი ბრწყინვალე თარიღად დამკვიდრდება მოხვის ისტორიაში. ახლახან, მრავალი კარგი საქმის მოთავემ, საჩხერის საქველმოქმედო ასოციაციამ „ატუმ“ რაიონის აღმშენებლობის ბარაქიან „შემოდგომას“ მოხვის არასრული საშუალო სკოლის შენობაც შემატა. სკოლის მშენებლობა „ქართუ-ბანკმა“ დააფინანსა და 200 მოსწავლეზეა გათვლილი. მშენებლობაზე ძირითადად ადგილობრივი მცხოვრებნი დაასაქმეს. მწვანით შემოსილ სოფელს ჩინებულად შეერწყა სკოლის ქათქათა კორპუსი. მიმღებმა კომისიამ შესრულებული სამუშაოები „ფრიადზე“ შეაფასა.

ასოციაცია „ატუს“ გამგეობის თავმჯდომარე როსტომ ჩაბრაძე და მშენებლობის უფროსი პეტრე ჭიხორია მოხველებს აგვისტომდე სკოლის ახალი ინვენტარით შევსებასაც დაჰპირდნენ.

რომ იტყვიან, სიხარულისგან „მიწაზე არ ედგათ ფეხი“ სკოლის დირექტორს ნატო მიქაძეს, რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ნარგიზ გაბაძეს, სოფლის გამგებელს აბელ გოგავას... ხარობდა მთელი სოფელი, სკოლის აღორძინებას ზეიმობდა, მთაში მთიელთა დაბრუნებას ზეიმობდა.

მშობლებმა სკოლის სატკივარიც გაგვანდეს: „ინგლისურის მასწავლებელი გვჭირდება, ნუ შეშინდებიან ქალაქელები, გულში ჩავიხუტებთ, ცივ ნიავს არ მივაკარებთ, ჩიტის რძესაც არ მოვაკლებთო“.

მოხვა გადარჩა. ახალი სუნთქვა ჩაიდგა. მთის სანახებს დიდხანს ეფინებოდა აგუგუნებული „მრავალჟამიერი“. კიდევ ერთი სოფელი ლოცულობდა საჩხერელ აღმშენებელზე.

სოზარ კუპატაძე.
„სრ“. საკ. კორ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიქმნა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რაინიგზის ჩიხი 20.